

გრაფემატული კვლევა

ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და
ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია

თბილისი
2025



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia



გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული
ჰუმანიტარიის ასოციაცია

სამეცნიერო პროექტი „ხელნაწერთა დათარიღების გრაფემატული კვლევა და მეთოდოლოგია“ (FR-21-7997) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project “Graphematic research and methodology of dating manuscripts“ (FR-21-7997) is being made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

რედაქტორი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნინიძე

ISBN 978-9941-9956-1-3

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი; ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია.

რედაქტორისაგან

„გრაფემატული კვლევა“ პირველი ქართული მონოგრაფიაა, რომელიც მიზნად ისახავს ავტორის ხელწერის საფუძველზე ტექსტების დათარიღებას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი პერსპექტივები გაუხსნა მსგავსი ასპექტების კვლევას მთელს მსოფლიოში და ჩვენც, როგორც თექვსმეტსაუკუნოვანი წერილობითი მემკვიდრეობის მქონე ერი, ვცდილობთ გამოვიყენოთ ეს უნიკალური შესაძლებლობა. დასაკვირვებლად ავირჩიეთ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალა, რომელსაც მდიდარი ბაზაც ჰქონდა და მაღალი კულტურული ღირებულებაც. კვლევა წარმოებდა ორი განსხვავებული მეთოდოლოგიით – როგორც ნაწილობრივ, ისე სრულად ავტომატიზებული სახით. კონსულტირებას გვიწევდნენ პროგრამირების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: ალისია ფორნესი და მაქსიმ იავიჩი.

შემუშავებული თანმიმდევრული სტრატეგიისა და ალგორითმების მეშვეობით დათარიღდა ოთხასამდე უთარიღო ტექსტი და დაისახა გზები ამავე მეთოდოლოგიის გამოსაყენებლად ხელნაწერთა ატრიბუციის ანუ ანონიმური ხელნაწერების ავტორთა იდენტიფიცირების მიმართულებით. ვფიქრობთ, გრაფემატულ კვლევებს სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ამოცანების გადასაჭრელად.

წიგნში გამოყენებულია შემდეგი აბრევიატურები:

„სგ“ – გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა 25 ტომად

„ქლმ“ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი

„გტცა“ – გალაკტიონ ტაბიძის ციფრული არქივი, რომელიც დაცულია ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარის ასოციაციაში.

გრაფემატული კვლევა და მისი გამოყენება ტექსტის დათარიღებისთვის

(თუა თვალვადე, მიაი ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი, ია ლაღუა)

საქართველოს თექვსმეტსაუკუნოვანი წერილობითი კულტურა აქვს და ამ ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი ხელნაწერები ინახება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ არსებულ არქივებში. შუა საუკუნეების ტექსტების უმეტესობა გადამწერების ხელწერით გვაქვს შემორჩენილი. ამიტომ გრაფემატული კვლევით მხოლოდ მათი გადაწერის დროს (შესაბამისად, ტექსტის შექმნის ზედა ზღვრის) და გადამწერის ვინაობის კვლევაა შესაძლებელი. სხვა ვითარებაა XIX-XX საუკუნეების მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან დაკავშირებით. მათი ავტოგრაფები სხვადასხვა საცავში ისეთი დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, რომ სავსებით შესაძლებელია მდიდარი ციფრული ბაზების შექმნა გრაფემატული კვლევისთვის.

მეცნიერების ამ მიმართულებისთვის ყველაზე შესატყვისი იქნებოდა „გრაფოლოგიური“ კვლევის დარქმევა, მაგრამ ეს ტერმინი მყარად დაიმკვიდრა ადამიანის ხელწერის მიხედვით მისი ხასიათის ამოცნობის ფსევდომეცნიერულმა მიმართულებამ, რომელსაც ჩვენს მიდგომებთან არაფერი აქვს საერთო.

ისტორიის ნებისმიერი მიმართულების, მათ შორის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიისა თუ ბიოგრაფიული კვლევებისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროებისა და მოვლენების დათარიღებას. ტექსტი, რომელსაც არა აქვს თარიღი, მოწყვეტილია ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტს, რითაც საგრძნობლად კნინდება მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება. ზოგ შემთხვევაში თარიღს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არსებითად ცვლის ავტორისეულ სათქმელს. ნებისმიერი სახის მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტის დათარიღებისთვის ფართოდ ვიყენებთ მისი შინაარსის ინფორმაციულ ანალიზს და ისტორიულ-შედარებით კვლევას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შინაარსი ამგვარი კვლევისთვის საკმარის საფუძველს ვერ იძლევა და ერთადერთი გამოსავალი რჩება ხელნაწერი წყაროს შექმნის დროის განსაზღვრა. ხელნაწერის შექმნის დრო ყოველთვის არ ემთხვევა

მასში გადმოცემული მოვლენების დროს, მაგრამ მისი დათარიღება მოვლენათა სავარაუდო დროის, სულ ცოტა, ზედა ზღვრის განსაზღვრაში მაინც გვეხმარება. მაგალითად, თუ კონკრეტული ავტოგრაფი 1927 წლით დავათარიღეთ, მასში წარმოდგენილი ტექსტი ამაზე გვიან შექმნილი ვერ იქნება.

ქართველ მწერალთა აკადემიური გამოცემების სამეცნიერო აპარატებსა და ცალკეულ ტექსტოლოგიურ ნაშრომებში ხშირად შეხვდებით განაცხადს, რომ ტექსტი დათარიღებულია ავტორის ხელწერის მიხედვით, მაგრამ არსად არის ნათქვამი, კონკრეტულად რა არგუმენტების საფუძველზე გამოიტანეს ასეთი დასკვნა. უახლესი ციფრული ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ კვლევის ეს მიმართულება არა ჰიპოთეზებზე, არამედ მთლიანად მეცნიერულ საფუძვლებზე დავამყაროთ.

რამდენად არის შესაძლებელი ხელნაწერის კვლევით მისი შექმნის დროის განსაზღვრა? როდესაც წერას ვსწავლობთ, ჩვენი ნაწერი თავდაპირველად სტანდარტულია და მნიშვნელოვნად არ შორდება წერის დედანში მოცემულ ფორმებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველა ადამიანის ხელწერას უვითარდება სპეციფიკური მახასიათებლები და რაც მეტს წერს ადამიანი, ეს სპეციფიკური ნიშნები მით უფრო მეტია. გარდა ამისა, ზოგჯერ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები გარკვეულ ძალისხმევას ახმარენ არა მხოლოდ ფაქსიმილეს შემუშავებას, არამედ გრაფემათა მოხაზულობის სტილსაც (მაგალითად, ამ მხრივ გამოირჩევა მწერალ გურამ რჩეულიშვილის ხელწერის სტილი). ხელწერის სტილიზება აიოლებს ავტორის იდენტიფიცირებას. რაც შეეხება ავტოგრაფის დათარიღებას ხელწერის მიხედვით, ეს ბევრად უფრო რთული, მაგრამ გარკვეულწილად მაინც მიღწევადი ამოცანაა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უცხოელ მეცნიერებს პირველი წარმატებები გრაფემატული კვლევით ტექსტების დათარიღების მიმართულებით ჯერ კიდევ კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამდე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰქონდათ. თეოდორა ვორდმა ამგვარი კვლევით დაათარიღა ემილი დიკინსონის ლექსები, მადელინ ჰაუსმა – ჩარლზ დიკენსის წერილები და სხვ.

უკანასკნელ ათწლეულებში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, რომ ხელნაწერის დათარიღების

კვლევებში გამოყენებული ყოფილიყო პროგრამირებისა და ხელოვნური ინტელექტის მიდგომები. იმისათვის, რომ შესწავლილ იქნას ამა თუ იმ ავტორის ხელწერის მახასიათებლები მოღვაწეობის წლების მიხედვით და შემდეგ თითოეული წლის მონაცემებთან შედარებით განისაზღვროს უთარილო ხელნაწერის შექმნის დრო, საჭიროა ამ ავტორის მდიდარი არქივი და ავტორის მიერვე დათარიღებული თითოეული წლის მასალა. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივები სავსეა დაუთარიღებელი მასალით, რომელიც ამ ნაკლოვანების გამო კუთვნილ ადგილს ვერ იკავებს ვერც ბიოგრაფიულ და ვერც ისტორიულ კონტექსტში. ბუნებრივია, ჩვენ დიდი სიამოვნებით დავათარიღებდით მათ, მაგრამ რამდენადაც კომპიუტერული ანალიზი ამ შემთხვევაში ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს, ძალზე მნიშვნელოვანია საკვლევი მასალის, მათ შორის თარიღიანების მოცულობა. ამაში შედის საწვრთნელი, ვალიდაციისა და ტესტირების პაკეტი.

იმისათვის, რომ გრაფემატული კვლევა სრულყოფილად ჩაგვეტარებინა, საჭირო იყო ისეთი ავტორის არჩევა, რომლის არქივშიც დიდი რაოდენობითაა როგორც თარიღიანი, ისე უთარილო ხელნაწერები. საქართველოს ხელნაწერთა უდიდეს საცავებში: საქართველოს ეროვნულ არქივში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ერთ-ერთი ასეთი მდიდარი პერსონალური არქივი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს. ის ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში ინტენსიურად წერდა ლექსებს და თან იყო ძალიან პროდუქტიული. პოეტის არქივში 1907-1959 წლების უამრავი თარიღიანი ხელნაწერია დაცული და არის ბევრი უთარილოც. შესაბამისად, კვლევის იმ მიმართულებისთვის, რომელიც ჩვენ გვანტერესებს, გალაკტიონ ტაბიძის არქივი საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა.

ქართული ციფრული ჰუმანიტარია ახლა იდგამს ფეხს და ხელნაწერთა ავტომატური დათარიღების მეთოდი საქართველოში დღემდე არავის გამოუყენებია, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. გრაფემატული მეთოდის გამოყენებით ხრონიზების

უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაათარილეს მკვდარი ზღვის გრაფილები¹. კომპიუტერული ტექნოლოგიები და შესაბამისი პროგრამები ხელნაწერის ავტომატური დათარიღების საშუალებას იძლევა, მაგრამ ამისათვის საჭიროა მეცნიერთა მიერ შერჩეული მდიდარი მონაცემთა ბაზა. გუსტავ ფლობერის უთარილო ხელნაწერებზე მომუშავე მეცნიერთა გუნდმა შეძლო ამ მწერლის ტექსტების დათარიღება 62% სიზუსტით და, მათი აზრით, მეთოდების განახლების საშუალებით შესაძლებელი გახდება ამ პროცენტის კიდევ უფრო გაზრდა². სამსონ ულმანმა გრაფემატული მეთოდი გამოიყენა მეთიუ არნოლდის ლექსის „დუვრის სანაპირო“ დათარიღებისათვის. მას მიაჩნია, რომ წარმატებული დათარიღებისთვის აუცილებელია, რომ მკვლევრის მიერ შედგენილ ბაზებში თითოეული წლის შესაბამისი, სულ ცოტა, სამი ათასი სიტყვის მოცულობის ტექსტი მაინც იყოს და თითო ასოს მოხაზულობის ინვარიანტების, სულ ცოტა, ორი ხაზი³. ტარა გილიამმა თავის კვლევაში „ავტორის იდენტიფიცირება შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ხელნაწერებში“ გამოიყენა მონაცემთა ბაზის კვლევის სამი ინოვაციური მიდგომა⁴. მიროსლავა ბოჟეკოვამ შეისწავლა 100-100 გამოსახულება 40 სხვადასხვა ავტორის ხელნაწერიდან და მიაღწია ავტორის იდენტიფიცირების 96,5 % სიზუსტეს⁵. მანოი კუმარ შარმმა და ვანშიკა ჩანდერიამ შექმნეს ავტორის იდენტიფიცირების მოდელი, რომელიც ზომავს „წერის დროს ერთნაირი გრაფემების გამოსახვისას და ერთნაირი მონასმების გაკეთებისას კალამზე დაწოლის დონეს და შემდეგ შეიმუშავენს ზეწოლის მახასიათებელს (დესკრიპტორს).

¹ Kalthoum Adam, Somaya Al-Maadeed, Younes Akbari, Hierarchical Fusion Using Subsets of Multi-Features for Historical Arabic Manuscript Dating. *J. Imaging* 2022, 8, 60, p. 10. <https://doi.org/10.3390/jimaging8030060>

² Uptal Garain, Swapan K. Parui, Thierry Paquet, Laurent Heutte, Machine dating of manuscripts written by an individual, *Journal of Electronic Imaging*, Jan 2008, Vol. 17, Issue 1.

³ Ullmann S. O. A., Dating through Calligraphy: The Example of „Dover Beach“, *Studies in Bibliography*, Vol. 26, 1973, 20-25.

⁴ Tara Gilliam, Writer identification in medieval and modern handwriting, University of York Department of Computer Science, September 2011, 160.

⁵ Miroslava Bozekova, Comparison of Handwritings, Physics and Informatics, Comenius University Bratislava, Slovak Republic, 2008, 7-8.

ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ მეთოდს მივყავართ გამამხნეველ შედეგამდე და საშუალო მიღწევა არის 98%¹. ადამ კალთოუმმა, სომაია ალ-მაადედმა და იუნეს აკბარმა შეიმუშავეს ინოვაციური მიდგომა, რომელიც აუმჯობესებს დათარიღების კლასიკურ მეთოდს მახასიათებლის დონეზე იერარქიული შერწყმის გამოყენებით და იძლევა დამაიმედებელ შედეგებს². კიდევ არაერთი პროექტისა და პუბლიკაციის დასახელება შეიძლება, რომლებიც ამტკიცებს მანქანათმცოდნეობის ტექნიკების გამოყენების ეფექტურობას ამ ტიპის კვლევებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი მეთოდები ტექსტების ატრიბუციისა და დათარიღებისთვის საქართველოში დღემდე არ გამოყენებულა, მაგრამ ამისი დიდი აუცილებლობაა ჩვენი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად. ეს ორი მიზანი – ანონიმური ტექსტის ატრიბუცია (ავტორის დადგენა) და უთარიღო ტექსტის დათარიღება მთლიანად შედარების, იდენტიფიცირებისა და გამორიცხვის მეთოდებს ეყრდნობა, ორივე საჭიროებს მდიდარ საკვლევ ბაზას მრავალი მაღალრეზოლუციური ბინარული გამოსახულებით (კვლევის ჩატარებამდე გამოსახულებიდან უნდა წაიშალოს „ხმაური“ ანუ ის ანაბეჭდები თუ ლაქები, რომლებიც ტექსტის ნაწილი არ არის). იმ შემთხვევებში, როცა მეცნიერთა მიზანი ავტორობის საკითხის გარკვევაა, ისინი იყენებენ ალგორითმსა და სხვადასხვა ავტორობის ხელნაწერების საწვრთნელ ბაზას, რომ შეიმუშაონ მახასიათებლების ვექტორები, კოდების წიგნი და თვითორგანიზებადი მახასიათებლების რუკა და გამოკვეთონ თითოეული ავტორისთვის სპეციფიკური, რაც შეიძლება მეტი მახასიათებელი. ამ მახასიათებლებს ვუწოდებთ „ავტორობის ვარიაციებს“ და „ავტორზე მიმანიშნებელ მახასიათებლებს“. რაც უფრო მკვეთრ განსხვავებას ვპოულობთ ამ მახასიათებლებში, ანუ

¹ Manoj Kumar Sharma, Vanshika Chanderiya, Writer identification using graphemes, Department of Computer and Communication Engineering, School of Computer Science & Information Technology, Manipal University Jaipur, 2019, 14.

² Kalthoum Adam, Somaya Al-Maadeed, Younes Akbari, Hierarchical Fusion Using Subsets of Multi-Features for Historical Arabic Manuscript Dating. J. Imaging 2022, 8, 60, p. 10. <https://doi.org/10.3390/jimaging8030060>

კლასიფიკატორებში, იმდენად მაღალია შედეგების ვერიფიკაციის მაჩვენებელი. მას შემდეგ, რაც მეცნიერები ამ მასალით წვრთნიან სისტემას, მასში უშვებენ ანონიმურ ტექსტს, რომ იპოვონ მასთან ყველაზე დიდი მსგავსების მქონე ხელნაწერი. რამდენადაც საწვრთნელი პაკეტების ყველა ტექსტის ავტორი ცნობილია, ყველაზე დიდი მსგავსების აღმოჩენა ამ შემთხვევაში ნიშნავს ავტორის დადგენას.

ხელნაწერთა ავტომატური დათარიღებისთვის საწვრთნელი ბაზა შედგება მხოლოდ ერთი ავტორის, მაგრამ სხვადასხვა წლის თარიღიანი ხელნაწერებისგან. სპეციალური ალგორითმის გამოყენებით ხდება თითოეული წლის მახასიათებლების გამოკვეთა. ამ კლასიფიკატორებს ვუწოდებთ მწერლისშიდა კლასიფიკატორებს, ანუ თარიღზე მიმანიშნებელ მახასიათებლებს. შემდეგ მეცნიერები სისტემას აწვდიან უთარიღო ტექსტს, რომ აღმოაჩინონ, რომელი წლის ავტოგრაფებთან ამჟღავნებს ყველაზე დიდ მსგავსებას (უახლოესი მეზობლის ვერიფიკაციის სისტემა). მიღებული პასუხი იქნება ამ უთარიღო ავტოგრაფის შექმნის წელი.

ორსავე შემთხვევაში, იქნება ეს ავტორის დადგენის თუ დათარიღების ავტომატური კვლევები, თავად საკვლევი ორიენტირი, ანუ ის, რისი შედარებაც ხდება, არის ორი სახის. გრაფემატული მიდგომა გულისხმობს ალოგრაფების კვლევას, ტექსტურული კი ისეთი ელემენტების კვლევას, რომლებიც არ არის არავითარ კავშირში გრაფემების რაობასთან. ეს კვლევა შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ანბანზე მათი იდენტიფიცირების გარეშე. ორივე მეთოდი გამოიყენება იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ მსგავსება-განსხვავებები და გამოიკვეთოს განმასხვავებელი მახასიათებლები, მაგრამ პირველ შემთხვევაში ვიკვლევთ, როგორ წერენ სხვადასხვა მწერლები ან ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა წლებში კონკრეტულ გრაფემებს. მსგავსებაც და განსხვავებაც ეხება გრაფემის ფორმებს. მეორე მიდგომისას მეცნიერები ყურადღებას არ აქცევენ გრაფემებს, ტექსტის შინაარსსა და იმასაც კი, თუ რა დამწერლობაა გამოყენებული. ისინი ორიენტირებულნი არიან ტექსტისგან დამოუკიდებელ სტატისტიკაზე, რომელსაც უწოდებენ ტექსტურულს. ესენია: გრაფემების, სიტყვებისა და საწერი ხაზების ერთმანეთისგან დაშორება, ველების სიდიდე, გრაფემათა ნაწილების ერთმანეთის მიმართ პროპორციულობა, ლიგატურები, ბმები, დახრილობა, საწერი ხაზიდან

გადახვევა, ასოთა სიმაღლისა და სიგანის შესაბამისობა, ქალღმრთისა და მელნის მახასიათებლები, ნაწერი ხაზის სიმაღლე, წერისას კალამზე დაწოლის ხარისხი, ხელაუღებლად ნაწერის სიგრძე, მომრგვალებულობა, კონტურის მიმართულება, კონტურების კვეთა, ჰორიზონტალური განფენილობის სიგრძე, ვერტიკალური განფენილობის სიგრძე, უწერი სივრცის განფენილობა, მელნის ანაბეჭდის სისქე და სხვ.

პროექტის „ხელნაწერთა დათარიღების გრაფემატული კვლევა და მეთოდოლოგია“ წევრები თავიანთ ამოცანად ისახავდნენ წმინდად გრაფემატულ ანალიზს, ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია კი თავის მხრივ ახორციელებდა დამხმარე პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა ბინარული დამუშავება, ციფრული ბაზების მომზადება და ალგორითმის შემუშავება უთარიღო ხელნაწერთა დათარიღებისათვის.

გრაფმატული კვლევის სირთულეები და პერსპექტივები

(ესმა მანია)

გრაფმატული მონაცემი არის ხელით შესრულებული გრაფემის მოხაზულობის აღწერილობითი მახასიათებლების ერთობლიობა. გრაფმატული კვლევა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული ავტორისთვის გრაფმატა მოხაზულობის მახასიათებლების კანონზომიერებებისა და ტენდენციების დადგენას. მთავარ საკვლევ წყაროდ აღებულია ავტოგრაფი, ხელწერა, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. ბუნებრივია, ეს მახასიათებლები არ არის მყარი ქრონოლოგიურ ჭრილში, ის გარკვეული პერიოდულობით იცვლება, განსაკუთრებით ისეთ ავტორებთან, რომლებიც ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან.

გრაფემის მოხაზულობის ტიპურობა და ატიპურობა

მიუხედავად იმისა, რომ ასოთა მოხაზულობა ყოველ კონკრეტულ წერით სისტემაში მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებულია, ნებისმიერი ადამიანის ხელწერა, თავისი უნიკალურობიდან გამომდინარე, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რომელიმე ავტორის ხელნაწერზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარდეს სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები მწერლის ხელწერის გაცნობისა და მიღებული მონაცემების სისტემატიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებაა საკვლევ ავტორის კალიგრაფიისთვის დამახასიათებელი გრაფმატა როგორც ტიპური, ისე ატიპური მოხაზულობების ცხრილის შედგენა. ტიპურში ვგულისხმობთ ასო-ნიშნების არა ისეთ ფორმებს, რომლებიც სტანდარტულთან მიახლოებულია, არამედ ისეთებს, რომლებიც ამ ავტორისთვის არის დამახასიათებელი და მის ნაწერებში არაერთგზის მეორდება. ეს ცხრილები გვეხმარება როგორც კონკრეტული კალიგრაფიის სპეციფიკის განსაზღვრა-ილუსტრირებაში, ისე ხელნაწერების ამოკითხვაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაკრული ხელით ნაწერი ტექსტების, კერძო ჩანაწერებისა თუ შემოქმედებითი პროცესის ამსახველი შავი ავტოგრაფების ამოკითხვაში მხოლოდ ამ ტიპის ცხრილის შედგენა და გრაფმათა მოხაზულობების კონკრეტული ავტორისათვის დამახასიათებელი ფორმების შესწავლა ვერ გვეხმარება, რადგან მათში ხშირად ვაწყდებით ისეთ ანომალურ მოხაზულობებსაც, რომლებიც, როგორც წესი, ამ ავტორს არ ახასიათებს. თუმცა საგულისხმოა ის, რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, ნებისმიერ ანომალურ მოხაზულობას ერთი და იმავე ავტორის წერით სისტემაში აქვს უსათუოდ რეგლამენტირებული ფარგლები, რომლისთვისაც ზღვრის დადება, განვითარების კონტურების შემოფარგვა, სწორედ ატიპური მოხაზულობების მახასიათებლებს შეუძლია.

გრაფმატული მონაცემის ტექსტოლოგიური კვლევის პოტენციალი

დათარიღება და ატრიბუცია ტექსტოლოგიური კვლევის ორი აუცილებელი კომპონენტია. ჰუმანიტარული კვლევის ერთ-ერთი საგულისხმო ამოცანაა დაუთარიღებელი არტეფაქტის დათარიღება და მისი დაკავშირება იმ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან, რომელშიც ის შეიქმნა. ნებისმიერი ტექსტი ფასეულია სწორედ ამ კონტექსტში.

არსებობს ხელნაწერი ტექსტის დათარიღების არაერთი გამოცდილი მეთოდი, მათი უმეტესობა დაკავშირებული შინაარსთან, კონტენტთან, ქვეტექსტურ თუ გარეტექსტურ მონაცემთან. მეორე მხრივ კი, არსებობს ტექსტების დათარიღების პალეოგრაფიული მეთოდები, თუმცა ისინი, ძირითადად, გამოიყენება შუა საუკუნეების ტექსტების დასათარიღებლად. შესაბამისად, ამ მეთოდის შესაძლებლობების გამოყენება ერთ წერილობით სისტემაში, მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთში, სადაც ნაკლებია თვალსაჩინო მარკერები, ბევრად უფრო რთულია. პალეოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც შეისწავლის ისეთ ტექნიკურ მონაცემებს, როგორებიცაა გრაფემების სიდიდე, პროპორციები, გრაფემების ერთმანეთისაგან დაშორება, ტექსტის ვირტუალური საწერი ხაზის მიმართ განლაგება, მხატვრული და დეკორატიული დეტალები გვერდებზე და სხვა, გრაფმატული კვლევის პროცესის დამხმარე გზად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ე. წ. ახალი ტექსტების არაკონტენტური დათარიღების ერთ-ერთი გზა გრაფმატული კვლევის მეთოდის გამოყენებაა, რაც, როგორც უკვე ითქვა, ითვალისწინებს ერთი კონკრეტული ავტორისთვის გრაფმატა მოხაზულობის მახასიათებლების კანონზომიერებებისა და ტენდენციების დადგენას და მათ სტრუქტურირებას ქრონოლოგიურ ინტერვალებად.

გრაფმატული კვლევის პრინციპი

კვლევის მეთოდოლოგია უნდა დაყრდნობოდა ერთ პრინციპს: იდენტური კომპონენტების დიდი სიმრავლის აღქმის შედეგად უნდა გამოკვეთილიყო კონკრეტული საკვლევი მოხაზულობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ქრონოლოგიურ ჭრილში. სტერეოტიპულად განზოგადებული მონაცემები, როგორც დამწერის კონკრეტული წლისთვის ნიშნეული შაბლონი, უნდა გამოყენებულიყო დაუთარიღებელი ხელნაწერების დათარიღებისათვის.

ამავე დროს, მუშაობის პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა იმის დადასტურება, თუ როგორ ჰგავს გრაფემები ერთმანეთს წლების განმავლობაში, არამედ – სწორედ ქრონოლოგიურ ჭრილში თითო ასოს ან წყვილის მოხაზულობაში რამე განმასხვავებელი ნიშნის მოძიება. სწორედ ამ მიზნით, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ყველა წლის ასო-ნიშანთა მოხაზულობის ბაზა და მოგვეცა ათი ათასობით გრაფმატზე დაკვირვების საშუალება, შეიცვალა ჩვენი საბაზისო ცხრილი. ეს ცვლილება გამოიწვია კვლევის ასეთმა შედეგმა: აღმოჩნდა, რომ ყველა სხვა გრაფმატზე მეტად 53 წლის განმავლობაში მოხაზულობითი მდგრადობა შეინარჩუნა ა და ი ხმოვნებმა, ისევე როგორც წერტილისა და მძიმის მოხაზულობამ. იმის გამო, რომ ეს ერთეულები კვლევას შემდგომ ეტაპს არაფერს შემატებდა, მათზე მუშაობა შეწყდა.

შესაბამისად, მუშაობა გაგრძელდა ცალკეულ გრაფემებსა და გრაფმატა წყვილებზე, რომლებსაც, პირიბითად, „ერთეული“ ვუწოდეთ, რადგან თვალსაჩინო მახასიათებლების გამოვლენა მოსალოდნელი იყო როგორც ცალკეულ გრაფემებში, ისე გრაფმატა წყვილებსა და გადაბმების მარგინალურ კომპონენტებში.


ამ მეთოდისთვის აუცილებელი იყო დიდი ბაზების მომზადება და დაკვირვება კარდინალურ ტენდენციებზე. თითოეული გრაფმა დაიყო რამდენიმე ვალიდურ ელემენტად და თითოეულ ელემენტში გამოიყო

მისი მრავალფეროვანი ვერსიები – ტიპები. გვქონდა შემთხვევები, როდესაც ერთი გრაფემის ერთი ელემენტის ერთმა კონკრეტულმა ტიპმა, სულ მცირე, 12 მოდიფიკაცია გამოავლინა. გრაფემების კომპონენტების მეტად ფართო მრავალფეროვნება, ერთი მხრივ, ართულებდა კომპონენტების ამ სიმრავლეში ორიენტაციას, მეორე მხრივ, სისტემატიზაციის ახალი გზების ძიებას მოითხოვდა, რამაც აუცილებელი გახადა ხელნაწერში გამოყენებული თითოეული გრაფემის კოდური ვერსიის შექმნა, რომელიც ხშირად ორ ათეულზე მეტ იდენტიფიცირებულ კომპონენტს შეიცავს – საბოლოო ჯამში, თითოეული გრაფემა, წლების მიხედვით, დაშლილია ოცამდე სახელდებული კომპონენტით.

გრაფემატული კვლევის მეთოდზე მუშაობისას გასათვალისწინებელია არაერთი სირთულე, რაც, თავისი სპეციფიკურობის გამო, გრაფემის მახასიათებლების ერთიან საბაზო შაბლონად ქცევას შეუშლიდა ხელს. ქვემოთ ვისაუბრებთ რამდენიმე ასეთ პრობლემაზე.

სხვაობა გრაფემათა ზომებში

ასო-ნიშანთა გრაფიკული ბაზის შესაქმნელად ყველა ხელნაწერი მუშავდება წინასწარ შეთანხმებულ, ერთსა და იმავე სტანდარტში. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნის თანახმად, ყველა დასამუშავებელი ხელნაწერი ფართოვდება ერთი და იმავე რეზოლუციით, მაგრამ გრაფემების ზომებს შორის განსხვავება მაინც ძალიან დიდია:




ეს სხვაობა შეინიშნება ერთსა და იმავე ხელნაწერშიც კი:



ფურცელზე ნაწერის განსხვავებული პროექცია

ხშირად, განსაკუთრებით ღია ბარათებზე შესრულებული ტექსტები გვერდებზე განლაგებულია არასტანდარტული პროექციით. იხ. დიაგონალზე განფენილი ერთ-ერთი ასეთი ტექსტი. მსგავსი ხელნაწერის გრაფემებად დაშლის დროს ეს



გავლენას ახდენს ნებისმიერი მოჭრილი გრაფემის ფორმაზე რამაც შესაძლოა, მასალის ავტომატიზებულ ანალიზს

ზუსტი დასკვნის მიღებაში ხელი შეუშალოს.

ხელწერის ვარიაციები ერთსა და იმავე საარქივო ერთეულში


გალაკტიონ ტაბიძის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ბუნება გრაფემათა მოხაზულობის ეკლექტურ სურათს გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა მწერლის დღიურები, რომელთა გვერდები ერთმანეთს იშვიათად ჰგავს. მართალია, ისინი ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთს ეკუთვნის, მაგრამ ხშირად სხვადასხვა თემას ეხება, სხვადასხვა განწყობით იწერება და, შესაბამისად, გრაფემები მეტად განსხვავდება ერთმანეთისგან. იხ. ერთსა და იმავე დღიურში ხელწერის ვარიაციების ნიმუშები:



გრაფემის კონტურის დეფორმაცია

განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც გრაფემათა მოხაზულობის კონტურები იცვლება გარე ფაქტორების ზემოქმედებით. მაგალითად, გვაქვს შემთხვევები, როდესაც

საწერი მასალის (მელანი საშრობ ქალაღდზე) ზემოქმედებით გრაფემა დეფორმაციას განიცდის, რამაც შესაძლოა, არასწორი



გეზი მისცეს კვლევას, როგორც ეს წარმოდგენილი ხელნაწერის შემთხვევაში ჩანს. ასეთი ნიმუშები, როგორც არაავთენტური ავტორის ხელწერისთვის, საკვლევ ბაზაში არ შეგვყავს.

დეკორაციული დეტალები

გრაფემების პარალელურად, ყურადღებას ვამახვილებთ ტექნიკურ და დეკორაციულ დეტალებზე, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალაში არც თუ იშვიათად გვხვდება. იმის გამო, რომ ავტორი ხშირად მიმართავს საგანგებოდ დეკორატიული ელფერისთვის მოფიქრებულ და შესრულებულ გრაფემებს, რომლებიც კომბინირებულია სხვადასხვა გრაფიკულ ელემენტსა თუ გამოსახულებასთან, მათ გვერდს ვუვლით იმ რისკის გამო, რომ ასეთმა ერთეულებმა, შესაძლოა, ფონური ტენდენციების გამოკვეთას შეუშალოს ხელი.








ფსიქო-სომატური მდგომარეობის ანარეკლი ხელწერაზე

მართალია, საჭიროა თოთოეული გრაფემის მოხაზულობისა და გადაბმის მოდელების დეტალური შესწავლა, მაგრამ კვლევის პროცესში ყოველთვის აქცენტს ვსვამთ მხოლოდ იმ კომპონენტებზე, რომელთაც შეუძლიათ ქრონოლოგიური იდენტიფიკატორების ფუნქციის შესრულება.

ამ თვალსაზრისით, ერთი თავისებური შემთხვევა გვხვდება სიცოცხლის ბოლო, 1959 წელს. გრაფემათა წყვილის „ტო“ ეს ნიმუში, თავისი კუთხოვანი სტილისტიკით, აშკარად გამოირჩევა თუნდაც მეტად მრავალფეროვანი, მაგრამ ერთი გრაფემატული სისტემის ფაქტურისგან. ამავე წლის სხვა ხელნაწერებში გვხვდება სხვა გრაფემების ასეთივე კუთხოვანი ელემენტებიც:

 – ზ-ს თავი;  – ც-ს მუცელი;  – ვ-ს ზედა და ქვედა

ოვალები,  – ი-ს თავი;  – ა-ს ქვედა წაწვეტება. მსგავსი მოვლენა ნიშნეულია გრაფემათა წყვილებისთვისაც –

 „რე“,  „რო“,  „რს“,  „რტ“, -
 „ს“,  „რი“  „სუ“.

ეს თავისებურება შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ უკავშირდება ისეთ ფიზიოლოგიურ მოვლენას, როგორიცაა ტრემორი, კუნთების უნებლიე, რიტმული მოძრაობა, რასაც სწორედ ასეთი ფრაგმენტირებული, წყვეტილი, „გაქცეული“ მოხაზულობები შეიძლება გამოეწვიოს.

1959 წლის გრაფემათა მოხაზულობის ეს თავისებურება შესაძლოა გაპირობებული იყოს ავტორის მძიმე ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობით. ამ ვარაუდს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეს ხელნაწერები, ძირითადად, შესრულებულია სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში საავადმყოფოში.

ფსიქო-სომატური გავლენები ხელწერაზე ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი პერსონალური მოცემულობაა.

ფაქსიმილეს შემადგენელი გრაფემები

პოეტის გრაფემათა მოხაზულობის სისტემაში ერთი მეტად საგულისხმო ტენდენცია იკვეთება: ცალკეული გრაფემების მოხაზულობა ტექსტებში – თემატიკის, გვერდებზე განლაგების, მიზანდასახულობის მიუხედავად – განსხვავდება გრაფემათა მოხაზულობისგან ფაქსიმილეში, როგორც პერსონალური იდენტიფიკაციის ყველაზე თვალსაჩინო გრაფიკულ მარკერში. სავარაუდო იყო, რომ გალაკტიონ ტაბიძე ამ კომპონენტს თავის შემოქმედებაში განსაკუთრებული ხაზგასმით მიუდგებოდა, რაც დაადასტურა ფაქსიმილეს ასობით ვერსიამ.

ერთი დაკვირვება: ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივებში დაცული ფაქსიმილეებიდან ვარიაციული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველას ინტელექტუალური მემკვიდრეობა, სადაც ვხვდებით პოეტის ფაქსიმილეს 20-ზე მეტ ვერსიას, საერთო ჯამში, 270 საარქივო ერთეულიდან. პროპორციულად, ეს საკამოდ მაღალი მაჩვენებელია და შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმას, რომ ავტორი იყენებს ფსევდონიმს და შინაგანი ვალიდაციისთვის ერთგვარად დიდი მუშაობა უწევს:





შესაძლოა, დავუშვათ, რომ გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილეს რამდენიმე ასეული ვერსია, ხშირად, რადიკალურად განსხვავებული სტილისტიკით, მისთვის ჩვეული მანერულობის გარდა, საკუთარი თავის იდენტიფიკაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის მიმანიშნებელი იყოს.

თუ დავაკვირდებით ჩვენს საკვლევ ობიექტს, გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილეს, ამ ორ სიტყვაში („გალაკტიონ ტაბიძე“) ერთზე მეტი ერთი და იგივე ასოებია – ა-3-ჯერ, ი-2-ჯერ, ტ-2-ჯერ. ჩვენი დაკვირვების ვექტორი მივმართეთ არა ასოების – „ა“-სა და „ი“-სკენ, რაკი კვლევის წინა ეტაპზე,

გრაფემათა განვითარების ქრონოლოგიურ პერსპექტივაზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ყველა სხვა გრაფემაზე მეტად 53 წლის განმავლობაში მოხაზულობითი მდგრადობა შეინარჩუნა სწორედ ამ გრაფემებმა, რაკი მათი მოხაზულობის ერთკომპონენტიანი, პრიმიტიული აღნაგობა ვარირების მეტად მწირ შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ საკვლევი აქცენტი შევაჩერეთ ასო „ტ“-ზე. ჩვენთვის გრაფემა „ტ“ ფაქსიმილედან საინტერესო იყო არა მხოლოდ იმავე წლის სხვა ტექსტებში გამოვლენილ მოხაზულობებთან, არამედ – ერთსა და იმავე ფაქსიმილეში გვარსა და სახელში მოცემული ერთეულების შესადარებლადაც. ამასთან, დეკორატიული ელემენტების სიმრავლით სწორედ გვარის დასაწყისის „ტ“ გამოირჩევა.

„ტ“ გრაფემა ქვედა და შუა რეგისტრის ორკომპონენტიანი (სფერული ან ოვალური ფორმის ზევით თავგახსნილი სიმრგვალე და კვანძი/კაუჭი/ზაფთა მარჯვენა მხარეს) ასოა და, შესაბამისად, ალტერნატიული ვერსიების სიმრავლის შესაძლებლობას იძლევა, რაც დაადასტურა კიდევ მისმა ვარიაციებმა.

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილეში „ტ“ გრაფემა გვხვდება ორჯერ, სახელში  სიტყვის შიგნით, გვარში – დასაწყისში, ამის ხაზგასმა იმისთვის გვჭირდება, რომ ჩვენს საკვლევ წყაროებში გვხვდება გვარის დასაწყისი „ტ“-ს მთავრული ვერსიები – ხაზს ზედა დაწერილობები, რაც დასტურდება 1907 წელს. მაგალითად: მსგავს ნიმუშთან  გვაქვს საქმე 1930 წელსაც: – ამ მაგალითებში გრაფემა „ტ“ არღვევს სახაზო სისტემის ჩარჩოებს და, როგორც გვარის პირველი ასო, მთავრულ, გამორჩეულ და დომინანტურ ადგილს იჭერს.

1908-14 წლების ნიმუშებში ფაქსიმილეს შემადგენელი გრაფემა „ტ“ ტექსტის შესაბამისი ელემენტისგან განსხვავებული მოხაზულობით გვხვდება: საწყისი მარცხენა გვერდი დადაბლებული და ღიაა, როგორცავე ტექსტებში ვერ ვხვდებით.





ასეთი, ოდნავ განსხვავებული კომპონენტებით, გვხვდება იგი 1935 წლის ერთ ავტოგრაფში, 1907 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე კი ფაქსიმილეს გრაფემა „ტ“-სთვის ნიშნეულია კვანძოვანება მარცხენა კედლის დასაწყისში. იხ.



ნიმუშები ტექსტიდან:

იხ. ნიმუშები



ფაქსიმილეებიდან:

გრაფემა „ტ“-ს ასევე ახასიათებს დაწყება სწორი ხაზით, რომელიც მახვილი კუთხით უერთდება ასოს მარცხენა საწყის კონტურს:




პირველ მაგალითში (საწყისი მარცხენა გვერდის დადაბლება და ღიაობა) ვნახეთ, რომ ერთი და იმავე გრაფემის მოხაზულობა განსხვავდება ტექსტსა და ფაქსიმილეში. ეს, ჩვენი ვარაუდით, გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: ტრადიციულად, ასო „ტ“-ს მოხაზულობაში ქვედა დიდი, მომრგვალებული კონტურის კედლები ზედა ელემენტის, ე. წ. ბაფთა-კაუჭის, დაწყებამდე თანაბარია. პირი, რომლისთვისაც ეს ასო მშობლიური ენის ელემენტია, გაუცნობიერებლად წერის დროსაც არ არღვევს ამ მომრგვალებული კონტურის კედლების სიმაღლეს. როცა დამწერი ამ „დარღვევას“ მიმართავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ხდება ცნობიერად, კოგნიტური ჩანაფიქრის გამო, როცა ავტორი მას დეკორატიულ მიზანდასახულობის, მით უფრო, ფაქსიმილეში, პირადი მაიდენტიფიცირებელი ელემენტის ორიგინალობისთვის მიმართავს. ამით შეიძლება აიხსნას ფაქსიმილეს შემადგენელი „ტ“-ს მარცხენა კედლის სიმოკლე.


მეორე მაგალითში, რომელიც ასოს დასაწყისის კვანძოვანებას და მოკლე სწორი ხაზით დაწყებას ეხება, პირველისგან განსხვავებით, ერთგვარ გრაფიკულ მექანიკურ მანუალურ ჩვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავტორს საწერი ინერციისთვის საწყისი კვანძის ან, უბრალოდ, სწორი ხაზის კეთების სურვილი უჩნდება. შესაბამისად, რაკი ეს არის არა დეკორატიული, არამედ მექანიკური ელემენტი, მას ვხვდებით როგორც ტექსტში, ისე ფაქსიმილეში. დასაწყისის კვანძოვანება თუ მოკლე სწორი

ხაზით დაწყება, როგორც წერიტი ჩვევა, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სპეციფიკას და თითქმის მთელს შემოქმედებით პროცესს გასდევს.

1916 წლიდან ფაქსიმილში გრაფემა „ტ“-ს ორ დამოუკიდებელ კომპონენტად – ცალკე ქვედა დიდი, მომრგვალებულ კონტურად და ცალკე ზედა, ე. წ. ბაფთა-კაუჭად – ვხვდებით:



ფაქსიმილეს შემადგენელი გრაფემა „ტ“ 1921-27 წლების შემთხვევებში განიცდის ასოს ორგანული ელემენტის – მისი ტრადიციული შემადგენელი ნაწილის „განლევას“, ე. ი. ქვედა დიდი, მომრგვალებული კონტური ნაწილობრივად წარმოადგენილი, ეს განსაკუთრებით ეხება მარჯვენა რკალურ კედელს ან მის ქვედა ნაწილს, რასაც კარგად ასახავს შემდეგი მაგალითები:



1921-22 წლებში ამ შემთხვევების ნიმუშები გვხვდება ტექსტებშიც:



როგორც ამ ფორმის ხანგრძლივი, თითქმის 7-წლიანი გამოყენების შედეგი, რადგან, ტრადიციულად, დეკორატიულ ელემენტებს ტექსტში არ მიმართავს.

ასოს მოხაზულობაში კონტურის ნაკლებობისგან განსხვავებით, როგორც ეს იყო უახლოეს ზედა ნიმუშებში, გვხვდება მისი ანტიპოდური შემთხვევებიც – კონტურის სიჭარბე, თანაც უშულოდ იმ ელემენტში, რომელსაც უკვე განვილილ შემთხვევაში (ქვედა დიდი, მომრგვალებული ნაწილში) კონტური დააკლო:



ამ საილუსტრაციო მაგალითებში ავტორმა კონტური დაამატა როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ და დიდი მომრგვალებული ნაწილი გაკვეთა კიდეც.

საგულისხმოა ის, რომ თუ კონტურის ე. წ. „განლევის“ ბოლო შემთხვევა გაქვს 1924 წელს, მისი სიჭარბის შემთხვევებს ვხვდებით მომდევნო – 1925 და 1926 წლებში.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შემთხვევა, რადიკალური ჩარევა გრაფემის მოხაზულობაში, გვხვდება 1922 წლიდან, როდესაც ე. წ. ბაფთა-კაუჭი გრაფემას ერთვის არა ტრადიციულად, მარჯვნივ, არამედ – მარცხნივ. ეს ტენდენცია გრძელდება 1927 წლამდე:



მოყვანილი ნიმუშები ადასტურებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს დაწერილობა მიიღწევა ხელის ერთი მოსმით, ზოგიერთში კი – ხელის ალებით დაწერილი ორი დამოუკიდებელი კომპონენტის კომბინაციით. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ორივე შემთხვევაში ავტორს სურს, რევოლუციური ცვლილება შეიტანოს გრაფემის მოხაზულობაში.

თუ დავუკვირდებით ქართული ანბანის განვითარების ეტაპებს, შევხვდებით გრაფემა „ტ“-სთვის ასომთავრულიდან მხედრულზე გარდამავალ შემდეგ მოხაზულობებს:



საუკუნეების ნიმუშებს. როგორც ვხედავთ, ანომალური და რადიკალური არაფერია გალაკტიონ ტაბიძის ამ ჩანაფიქრსა თუ არაცნობიერ წამოცდენაში, როგორც ეს შესაძლოა, თავიდან მოგვჩვენებოდა. სინამდვილეში, ამას გრაფემა „ტ“-ს განვითარების ევოლუციური ეტაპები მოწმობს. ბუნებრივია, შუა საუკუნეების ეს ნიმუშები, თავის მხრივ, იმის შედეგია, რომ ასომთავრულ ანბანში გრაფემა „ტ“-ს თავი მარცხენა მხარეს აქვს – **P**. გრაფემის ამგვარი მოხაზულობის ტენდენცია გალაკტიონ ტაბიძესთან, ფაქსიმილესგან განსხვავებით, არ აისახება ტექსტზე.

გამონაკლისი, როგორც საკვანძო წერტილი

ჩვენი საკვლევი წყაროების ამ და სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე, გალაკტიონ ტაბიძის გრაფემათა მოხაზულობის სისტემაში ისეთი მკაფიომიჯნიანი, საერთო, განზოგადებული ქრონოლოგიური

ტენდენციების დადგენა, რომლებიც თავიდან ბოლომდე გასდევდეს მისი მოღვაწეობის სრულ პერიოდს, როგორც მოსალოდნელი იყო, რთული აღმოჩნდა. ეს გამოწვეულია არაერთი ფაქტორით, მათ შორის ავტორის სპეციფიკური პიროვნული და შემოქმედებითი ბუნებით, ფსიქიკური მდგომარეობების, განწყობების მრავალგვარობით, გრაფემათა მოხაზულობაზე ასახული მაღალი ფსიქო-სომატური მგრძობელობით, ტექსტების თემატიკის, ჟანრების, მიზანდასახულობის თუ ადრესატების მრავალფეროვნებით, თავისებური მანუალური ტექნიკით, გრაფემათა სტანდარტული ელემენტების თამამი ცვლით, დამატებით, შემოკლებით, ლირიკული კომპონენტების გამოყენებით, ხაზს ზედა და ხაზს ქვედა სისტემების ნგრევით და ა. შ. ამიტომ გრაფემათა მოხაზულობის ისეთი ქრონოლოგიური ტენდენციების გამოსავლენად, როგორც ხელს შეგვიწყობდა უთარილო ხელნაწერების თუნდაც საორიენტაციო დათარიღებაში, გვიწევს მივმართოთ დაკვირვებებს გამონაკლისებზე, აქცენტი დავსვათ ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, გამოვყოთ არასტანდარტული მახასიათებლები, ვიმუშაოთ კონკრეტული გრაფემების ტიპებისა თუ ელემენტების ქრონოლოგიურ გავრცელებასა ან, პირიქით, რომელიმე ქრონოლოგიურ ჭრილში ამ კონკრეტული ტიპის თუ ელემენტის საერთოდ არარსებობაზე და ა. შ.

გრაფმატული მონაცემი მაღალი ხარისხის კვლევითი პერსპექტივით

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გრაფმატული კვლევის მეთოდოლოგია ახალია და მუშაობის პარალელურად იხვეწება გზები და საშუალებები. ჯგუფური მუშაობის პირობებში ივსება როგორც ბაზები, ისე დაკვირვებები. საანალიზო მასალისადმი ანალიტიკური მიდგომები ბევრ შედეგს აჯამებს – ამსხვილებს ან ცხრილავს. მუშაობის პერიოდში, ინტენსიური დაკვირვებების კვალდაკვალ, როდესაც ეფექტიანია ფართო ქრონოლოგიური ინტერვალების ფონური ტენდენციების გამოკვეთა, განსაკუთრებით საყურადღებოა გამონაკლისების (თუნდაც მხოლოდ ერთი განსხვავებული ნიმუშის) გათვალისწინება და დასკვნაში შესაბამისი პროპორციის ალტერნატივის დაშვება. ზოგჯერ თვითმიზნურად ქცეულ შედეგზე უფრო მნიშვნელოვანია ასი ათასობით ნიმუშის სტრუქტურირება თუ თავისებურებების აღწერა და ამის შედეგად, ავტორის შემოქმედებითი ბუნების სირთულისა თუ

ამოუხსნელობის აღიარება. სინამდვილეში, „ამოუხსნელობა“ სამომავლო, ტექნოლოგიურად უფრო დახვეწილი ციფრული ჰუმანიტარის კვლევების პერეოგატივაა და ეს შეუქცევადი პროცესია.

გრაფმატული კვლევის მეთოდს, არაერთი ხარვეზის მიუხედავად, ტექსტის დათარიღებისა თუ მეორე ტექსტოლოგიური ამოცანის – ატრიბუციისთვის – შეუცვლელი უპირატესობები გააჩნია და საკმაოდ მაღალი ხარისხის კვლევით პერსპექტივას ამჟღავნებს.

კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია

(თეა თვალავაძე, მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი, ესმა მანია)

გრაფიკული მასალის ამოკრება და ქრონოლოგიური ბაზის შექმნა

გრაფემატული კვლევის დროს დაკვირვების ობიექტი ასოთა მოხაზულობაა, მაგრამ გადაბმული წერის შემთხვევაში იმთავითვე ვაწყდებით ერთ სერიოზულ პრობლემას. ხელის აუღებლად წერისა და, შესაბამისად, ასოების გადაბმისას მათი ერთმანეთისაგან გამოცალკევება ისე, რომ ზმაში შემავალი გრაფემების მოხაზულობები არ შეიცვალოს, შეუძლებელია. ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ისეთი, როგორც იქნებოდა გადაუბმელი წერის შემთხვევაში. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ასოთა წყვილები კი არ დაგვეშალა, არამედ შეგვესწავლა ისეთი სახით, როგორც ხელნაწერშია წარმოდგენილი. მით უფრო, რომ, ჩვენი აზრით, ბმის ელემენტი შეიძლება გადაკვლევისთვის გრაფემათა მოხაზულობებზე არანაკლებ საინტერესო ყოფილიყო.

რამდენადაც ჩვენი მიზანი იყო გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა დათარიღება, შევექმნით შაბლონი, რომელშიც ჩამოწერილი იყო 33 ქართული ასო და ასოთა ყველა ის წყვილი, რომლებიც შეიძლება ტექსტში გადაბმული სახით შეგვხვდებოდა. გალაკტიონ ტაბიძის ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში შეგვხვდა 561 ასეთი ერთეული (ასოთა წყვილი). თითოეული ასოსა და ასოთა წყვილის ქვეშ ჩავსვით ცხრილის ჩარჩო. შემდეგ დავიწყეთ სხვადასხვა წლის თარიღიანი ხელნაწერების დაშლა. თითოეული ავტოგრაფიდან ვაკოპირებდით ყოველი ასოსა და ასოთა წყვილის გამოსახულებას და ვსვამდით შესაბამის ცხრილში. იხ. ამონარიდი ასოთა წყვილის „ან“ 1914 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის ცხრილიდან.



სულ გავანალიზეთ და დავშალეთ 1907-1959 პერიოდის თითოეული წლის 2-3 დოკუმენტი, სულ 130 ხელნაწერი. ასე შევექმნით

გალაკტიონის წერილობითი მემკვიდრეობის გრაფიკული ერთეულების (ცალკეული ასოებისა და ასოთა წყვილების) ერთიანი ბაზა. როდესაც გადაბმული იყო რამდენიმე ასო, მათ ვაჯგუფებდით შემდეგი პრინციპით: პირველი ორი, მეორე და მესამე, მესამე და მეოთხე, მეოთხე და მეხუთე და ა. შ. ისე, რომ სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი და გათვალისწინებული ბმაში შემავალი თითოეული გრაფემის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნაწილი.

გალაკტიონ ტაბიძე, ისე, როგორც არაერთი სხვა მწერალი, ხშირად უბრუნდებოდა თავის თხზულებათა ავტოგრაფებს და აგრძელებდა მათზე მუშაობას. საარქივო მასალებში უამრავია შემთხვევა, როცა ტექსტის ნაწილები გადახაზულია და ჩანაცვლებულია სხვა სიტყვებითა და ფრაზებით. თუ ეს ცვლილებები განსხვავებული ფერის მელნით ან ფანქრით არის შეტანილი, გვიანდელი ჩარევის კვალის დანახვა იოლია, მაგრამ შესწორებები ქვედა შრის მსგავსი ფერის ფანქრით ან მელნითაც შეიძლება იყოს გაკეთებული. ამიტომ ვითვალისწინებდით, რომ თუ გადაშლილი ტექსტის ალტერნატიული ვარიანტი იმავე ხაზზე არ არის მოთავსებული, თუ გადაშლილ ტექსტზეა გადაწერილი, წერია ხაზებს შორის ან ფურცლის ველებზე, ასეთი სწორებები ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს გაკეთებული, მათ შორის, წლების შემდეგაც. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ ქრონოლოგიური ბაზის შესაქმნელად თარიღიანი დოკუმენტების დაშლისას ამოგვეკრიფა გამოსახულებები დოკუმენტის მხოლოდ პირველი შრიდან.


ქრონოლოგიური ბაზისთვის დოკუმენტების შერჩევასაც მოგვიხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება. გალაკტიონის არქივში ბევრია ცალკეულ ფურცელზე სუფთად გადაწერილი ლექსი, ბოლოში თარიღით. როგორ მივმხვდარიყავით, იმავე წელს იყო ტექსტი გადათეთრებული თუ მოგვიანებით, რომელიმე პერიოდულ ორგანოში წარსადგენად ან კრებულში შესატანად? რას ნიშნავდა რეგულარული გარეკანზე, თავფურცელზე, ცალკეული ლექსის ან ლექსების ციკლის წინ მიწერილი თარიღი? ეს ამ ტექსტების დაწერის დრო იყო თუ კონკრეტულ სუბსტრატში გადაწერის? გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ თუ წლის აღმნიშვნელ რიცხვს სიტყვიერი კომენტარი არ ახლავს თან, რომლიდანაც ჩანს, რომ ეს გადაწერის დროა, იგი ტექსტების შექმნის თარიღად უნდა მოვიაზროთ. რაც შეეხება სუფთად გადაწერილ ტექსტებს ბოლოში

თარიღით, ამ კონკრეტული ასლების შექმნის დროის განსაზღვრა მხოლოდ გრაფემატული კვლევით შეიძლება და აბსურდული იქნებოდა მსგავსი საეჭვო მასალის შეტანა თარიღიანი ხელნაწერების ბაზაში, რომელსაც შემდგომი კვლევები უნდა დაეყრდნოს. გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერი რვეულის (გტცა 476) თავფურცლის დასაწყისში წერია 1909, მაგრამ ის უფრო გვიან აღმოჩნდა გადაწერილი. როდესაც ჩვენთვის ცნობილია ნაწარმოების შექმნის თარიღი, მისი ნებისმიერი სუფთა ხელნაწერის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ისინი ამ თარიღზე ადრეული ვერ იქნება. იმის გამო, რომ თუნდაც ერთი ხელნაწერის არასწორი თარიღით ჩასმა ქრონოლოგიურ ბაზაში უარყოფითად აისახება კვლევის შედეგებზე, ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ ამ ბაზაში შესატანი მასალის შერჩევისა და კლასიფიცირებისას.

კვლევის პირველ ეტაპზე გრაფემატული ერთეულების ფორმები დაჯგუფებული გვქონდა 130 ფაილად. თითოეულ მათგანში წარმოდგენილი იყო კონკრეტული წლის კონკრეტული ხელნაწერის სრული გრაფემატული მონაცემები. მასალის ასეთი ორგანიზება მოსახერხებელია დიაქრონიულ ჭრილში თითოეული წლის მონაცემთა ანალიზისთვის, მაგრამ ვერ დაგვეხმარებოდა გრაფემათა მოხაზულობების ქრონოლოგიური განვითარების შესასწავლად. იმისათვის, რომ მასალა ჩვენთვის უფრო მოსახერხებელი ფორმით დაგველაგებინა, ჩვენ მიერ დამუშავებული დოკუმენტებიდან ამოკრებილი 594 გრაფემატული ერთეულიდან თითოეულისთვის შევქმენით ცალკე ფაილი, რომელშიც ამ ერთეულის მასალა სრულად განვალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამ გზით ჩვენ თვალწინ გადაიშალა ერთეულის მოხაზულობის განვითარების ყველა ეტაპი, წლების მიხედვით. ამ დოკუმენტების ზოგადმა მიმოხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ცვლილებები გრაფემის მოხაზულობაში შეიძლება ერთდროულად არ მოიცავდეს მის ყველა ნაწილს, არამედ ეხებოდეს რომელიმე კონკრეტულ ელემენტს. სწორედ ეს ელემენტები უნდა გამხდარიყო ჩვენი ჩაღრმავებული კვლევის ობიექტი და არა მთლიანი გრაფემა. ამიტომ საჭირო იყო მათი იდენტიფიცირება და ბაზების შესაბამისი ორგანიზება. რამდენადაც ჩვენ მიერ აღწერულ 600-მდე ერთეულს ამ რაოდენობაზე ბევრად მეტი ელემენტი ექნებოდა, დასაწყისისთვის გადავწყვიტეთ, არ შევხებოდით ასოთა წყვილებს და

დაკვირვება გვეწარმოებინა მხოლოდ ცალკე მდგარი გრაფემების ქრონოლოგიურ განვითარებაზე.

იმისათვის, რომ მოგვეწესრიგებინა და დაგვეჯგუფებინა ცალკე დაწერილი გრაფემების გამოსახულებები, გამოვიყენეთ არაბული ციფრები. ამ ციფრებით, პირველ ყოვლისა, აღვსუსხეთ თითოეული გრაფემის ცვლადი ნაწილები, ანუ ელემენტები, შემდეგ კი აღვნიშნეთ ამ



ელემენტის მოხაზულობის ვარიაციული სახეები, ანუ ტიპები. იხ. გრაფემა ე-ს მეორე ელემენტის (მისი ზედა ნაწილის) ტიპები, რომლებიც გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის 1907-1959 წლების ხელნაწერებში.

თითოეულ ასოში, მისი მოხაზულობის სირთულის შესაბამისად, გამოვყავით 2-დან 6-მდე ელემენტი, თითოეულ ამ ელემენტს კი სხვადასხვა წლის ხელნაწერებში აღმოაჩნდა 2-დან 12-მდე ტიპი. ისეთ მარტივ გრაფემებში, როგორებიც არის, მაგალითად, „ი“ და „ა“, საკმარისი იყო მხოლოდ ორი ელემენტის გამოყოფა, რომლებიც შეესაბამებოდა გრაფემის ზედა და ქვედა ნაწილებს, მაგრამ გრაფემა „ლ“-ს ანალიზისთვის საჭირო გახდა 6 ელემენტის გამოყოფა, რადგან ცვლილებები შეინიშნებოდა ამ ასონიშნის ქვედა მარცხენა, ქვედა მარჯვენა, ზედა მარცხენა, ზედა შუა და ზედა მარჯვენა ნაწილების მოხაზულობაში და იმ ჰორიზონტალური ხაზის ფორმაში, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე უკეთებდა ამ გრაფემას გარკვეულ წლებში. ჩვენ მიერ გაანალიზებული 130 დოკუმენტის საფუძველზე ცალკეულ გრაფემათა დაწერილობაში სულ გამოვლინდა 436 გრაფემატული ელემენტის ტიპი (გეტ), რომლებსაც ხელნაწერთა დასათარიღებლად კვლევითი ღირებულება უნდა ჰქონოდა.

გრაფემათა მახასიათებლების გამოყოფა

მას შემდეგ, რაც შევქმენით წლების მიხედვით თითოეული გრაფემისა და გრაფემათა წყვილის გამოსახულებათა ბაზა, დავიწყეთ მათი ანალიზი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გალაკტიონის ხელწერისთვის დამახასიათებელი დეტალების გამოსავლენად. ამისათვის ყურადღებით ვსწავლობდით ერთი და იმავე ერთეულის (გრაფემის ან გრაფემათა წყვილის) გამოსახულებებს წლების მიხედვით.

ვიდრე კვლევის ტექნოლოგიას წარმოვადგენდით, აუცილებელია, განვმარტოთ ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინები. ტერმინს „სტანდარტული“ ვიყენებთ იმ მოხაზულობებთან მიმართებით, რომლებიც მართლწერის სტანდარტულ წესებს ესადაგება, „ტიპურს“ იმათთან მიმართებით, რომლებიც დამახასიათებელია გალაკტიონისთვის, ხოლო ატიპურს, რომლებიც გალაკტიონთან შედარებით იშვიათად გვხვდება. გრაფემათა მოხაზულობების დიაქრონიული სურათის კვლევისას აქცენტს ვაკეთებთ სწორედ ატიპურ მახასიათებლებზე, რადგან ტიპურები მეტ-ნაკლებად ყველა წლის ხელნაწერებში მეორდება და დათარიღებისთვის არარელევანტურია. გრაფემის მოხაზულობის იმ ნაწილს, შტრიხს, ელემენტს, რომელიც სხვადასხვა წლის ნაწერებში არსებითად განსხვავებული ფორმით გვხვდება, ვალიდურ ელემენტს ვუწოდებთ, ხოლო მის თითოეულ განსხვავებულ მოხაზულობას – ვალიდური ელემენტის ტიპს და ვანიჭებთ ცალკე კოდს, რომელიც შედგება ერთეულის დასახელებისგან (კუთხოვან ფრჩხილებში), ვალიდური ელემენტის ნომრისგან (დახრილი ხაზის მარცხნივ) და ვალიდური ელემენტის ტიპისგან (დახრილი ხაზის მარჯვნივ) კოდის დასრულების აღსანიშნად ვიყენებთ კუთხოვან ფრჩხილს.

თითოეული ასოს სახეცვლილება ხდება მისი შემადგენელი ერთი ან რამდენიმე ნაწილის სახეცვლილებით. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საკვლევ ერთეულში გამოვყოფთ ამ შემადგენელ ნაწილებს, ვალიდურ ელემენტებს.





კვლევისას აღვწერთ მხოლოდ ვალიდურ ელემენტებს ანუ ისეთებს, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა წლის ავტოგრაფებში გვხვდება, მაგრამ ვალიდურად არ მივიჩნევთ იმ ტიპებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველა

წელს მეორდება. როდესაც ცალკეული წლის ავტოგრაფებში კონკრეტული ვალიდური ელემენტის რამდენიმე ტიპი გვხვდება, წლის მახასიათებლებში თითოეული მათგანი შეგვაქვს. როდესაც მთელს საკვლევ ბაზაში კონკრეტული გრაფემის რაღაც მოხაზულობა მხოლოდ ერთი-ორჯერ გვხვდება, მას კვლევაში არ ვითვალისწინებთ. მაგალითად, გალაკტიონის მთელს არქივში მხოლოდ ორგან გვხვდება ასეთი „ყ“ გრაფემა და ამიტომ ის კვლევისთვის არავალიდურია.



როდესაც გრაფემის რომელიმე წლის ხელნაწერებს ერთი და იმავე ელემენტის რამდენიმე ტიპი ახასიათებს, მაგრამ ერთი ან ორი მათგანი ბევრად ხშირია, მათ კოდს ორჯერ ვიმეორებთ ამ ფაქტზე მისანიშნებლად.

ა

იმის გამო, რომ თითქმის ყველა წლის ავტოგრაფებში გვხვდება, არ ვახასიათებთ რკალურ ქვედა ნაწილს, ზედა მარჯვენა ნაწილის აპრეხილ მოყვანილობას , ჰორიზონტალური ხაზით დამთავრებულს , ბოლოში გარეთ პატარა კუთხოვანი კაუჭით  ან დიდი კუთხით  დამთავრებულს.

1/

გრაფემის პირველ ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ქვედა ნაწილი და მისი შემდეგი ელემენტები:



1/1

 შუაში კუთხესავით $\gt a < 1/1$


1/2

 ძალიან რედუცირებული $\gt a < 1/2$

1/3

 მთლიანად გაშლილი $\gt a < 1/3$


1/4

 სწორხაზოვანი $>a < 1/4$


1/5

 გარეთ კუთხით $>a < 1/5$


1/6

 შიგნით კაუჭით ან სავესე კაუჭით $>a < 1/6$

1/7

 კვანძით $>a < 1/7$

1/8

 ქვემოდან გამყოლი ხაზით $>a < 1/8$

2/

გრაფემის მეორე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ზედა ნაწილი:


1 2 3 4 5 6 7 8 9 10



2/1

 ქვედა ნაწილზე დიდია $>a < 2/1$


2/2

 მრგვალი კაუჭით $>a < 2/2$


2/3

 კუთხოვანი $>a < 2/3$

2/4

 კვანძით $>a < 2/4$

2/6



შიგნით კაუჭით, სავსე კაუჭით შეკრული ღია ან

სავსე $> a < 2/6$

2/7




შიგნით კუთხოვანი კაუჭით ან კუთხით $> a < 2/7$

ბ

1/

გრაფემის პირველ ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ზედა მარცხენა ნაწილი:



1/1



სქელი კვანძი $> b < 1/1$

1/2



თხელი კვანძი $> b < 1/2$

1/3



თანმხვედრი ან ოდნავ დაცილებული ხაზები და ერთი ჩამოგრძელებული $> b < 1/3$

1/4



მარჯვნივ თხელი მახვილი კუთხით $> b < 1/4$

1/5



მარჯვნივ კუთხით $> b < 1/5$

1/6



მარჯვნივ სავსე კუთხით >ბ<1/6]

1/7



დამორებული ხაზებით >ბ<1/7]

1/8



კუთხოვანი ან კაუჭოვანი >ბ<1/8]

1/9



მრგვალი >ბ<1/9]

1/10



ერთი ხაზით >ბ<1/10]

1/11



შ-სავით >ბ<1/11]

2/

გრაფემის მეორე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა მარჯვენა მხარე მთლიანად:

1



2



3



2/1



ამოზნექილ-ჩაზნექილი >ბ<2/1]

2/2



მხოლოდ ამოზნექილი >ბ<2/2]

2/3



მარჯვნივ კუთხოვანი >ბ<2/3]

3/

გრაფემის მესამე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ქვედა ნაწილი:

1



2



3



4



5



6



3/1



შეუკვრელი >ბ<3/1]

3/2



წაგრძელებული >ბ<3/2]

3/3



მარჯვნივ სწორი, მარცნივ - რკალური >ბ<3/3]

3/4



მოსამკუთხედო >ბ<3/4]

3/5



რკალური ან კაუჭივით >ბ<3/5]

3/6




ქვედა ნაწილი სიმეტრიულად არის შუაში >ბ<3/6]

ბ

იმის გამო, რომ თითქმის ყოველი წლის ავტოგრაფებში გვხვდებოდა არ აღვწერეთ უბრალოდ რკალური ზედა ნაწილი და ქვემოთ ოვალური, ქორდისებური.

1/

გრაფემის პირველ ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ზედა ნაწილი:





1/1

 მარცხნივ კუთხით $\text{>გ}<1/1]$

1/2

 მომრგვალებული კუთხით $\text{>გ}<1/2]$

1/3

  სავსე კუთხით ან კუთხოვანი კაუჭით $\text{>გ}<1/3]$



1/4

 ორმაგი ხაზით და მარცხნივ კაუჭით $\text{>გ}<1/4]$

1/5

 მთლიანად მახვილკუთხოვანი $\text{>გ}<1/5]$

1/6

  შიგნით კაუჭით ან სავსე კაუჭით $\text{>გ}<1/6]$

1/7

 კვანძით $\text{>გ}<1/7]$

1/8



კუთხოვანი, მარჯვნივ რკალური >გ<1/8]

1/9



თითქოს ორი კუთხეა >გ<1/9]

2/

გრაფემის მეორე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ქვედა ნაწილი:

1



2



3



2/1



შეუკვრელი >გ<2/1]

2/2



რვიანივით >გ<2/2]


2/3



შუაში უერთდება >გ<2/3]

დ

არ აღვსუსხეთ, როცა თავი უბრალოდ შეკრული, ქვემოთ გახსნილი ან

წრიულად ჩახვეულია  , ასევე არ გაგვითვალისწინებია ქვედა დახრილი ან მოხრილი ხაზი, ღია ან დახურული კვანძი




1/


გრაფემის პირველ ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა:



1/1




1/2



1/3




1/4



1/5




1/6



1/7



1/8



კუთხოვანი ფორმის >დ<1/8]

1/9



სავსე თავი >დ<1/9]

2/

გრაფემის მეორე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ქვედა ნაწილი:

1



2



3



4



5



6



7



8



2/1



შიგნიდან შეკრული ან თითქმის, გაგრძელების გარეშე

>დ<2/1]

2/2



შიგნიდან შეკრული და სავსე, გაგრძელების გარეშე >დ<2/2]

2/3



შეუკვრელი >დ<2/3]

2/4



შიგნით კაუჭით ან სავსე კაუჭით >დ<2/4]

2/5



ბოლოში გამსხვილებით >დ<2/5]

2/6



სუფთა რკალური >დ<2/6]

2/7



შიგნით კუთხით >დ<2/7]

2/8



შიგნით პატარა რკალით >დ<2/8]

3/

გრაფემის მესამე ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა ზემოთა ორკომპონენტის ნაწილი:

1



2



3




4



5



6



3/1



მარჯვენა ზემოთ ღია ან ჩახვეული >დ<3/1]

3/2



მარჯვენა შეკრული >დ<3/2]

3/3



მარჯვენა თითქმის შეკრული >დ<3/3]

3/4



მარჯვენა გაკვანძული, ზუსტად ან ქვემოთ

ხაზით >დ<3/4]

3/5



მარჯვენა სავსე კვანძით ან სავსე >დ<3/5]

3/6




მარჯვენა ღია და კუთხით >დ<3/6]

ე

არ მოვნიშნეთ მთლიანად სწორხაზოვანი ან ბოლოებში ძალიან პატარა წანაზარდებით

1/

გრაფემის პირველ ვალიდურ ელემენტად გამოიკვეთა მისი ზედა ნაწილი:



1/1



ძალიან მახვილი კუთხით $>e < 1/1$

1/2



მარცხნივ სავესე კაუჭი $>e < 1/2$

1/3



მარცხნივ მრგვალი კაუჭი გაგრძელებით $>e < 1/3$

1/4



- 778: „უმანკო სული“ („რა გამეფდება ქვეყნად სიჩუმე...“); „ს“ („ოჰ, აღარ ძალმიძს ამ საუბართან...“); „ნაძვი საფლავზედ“ („შუალამეა... გარეშემო დედამიწა...“); „ღრუბელი“ („მოწმენდილს ცაზე ღრუბელი...“); „განთიადისას“ („ვარსკვლავთა კრება ციმციმით ქრება...“); „ფიქრი“ („არ შეგიბრალებს ადელვებული...“) „რომანსი“ („ქვეყნად რა არის სასიხარულო...“) „ტუსაღის სიმღერა“ („გათენდა... ჩუმად შემოანათა...“) „ნიავს“ („ნიავო, შენსა ლხენასა...“)
- 1130: „ალავერდი“ (ვუძღვნი ჩემს თანამოძმეებს) („ოჰ, ტოლუმბაშო, შენ არ გვარგიხარ...“); ჩანაწერი ბავშვობის შესახებ“

1908 წლის აპრილი-ნოემბერი

- 20: ჩანახატი „დედინაცვალი“ (ვუძღვნი მასწ. მ. ჩ.); „დემონი“ (ლერმონტოვისა“ ნაწყვეტი.

¹ რამდენადაც მასალის უდიდესი ნაწილი შავი ავტოგრაფებია, ლექსების სათაურები კი ხშირად იცვლებოდა, ინციპიტებს (საწყის ფრაზებს) ვუთითებთ სათაურიანებთანაც.

- 52: „სიმღერა“ (ეპიტაფია) („ვინც ხალხის კეთილდღეობისათვის...“); *** („ნუ, ნუ დამიშლით გრძნობის გამოთქმას...“)
- 182: „ვარსკვლავი“ (დამეა...ცაზედ მთვარე კაშკაშებს...“)
- 416: „რად დაივიწყა მასწავლებელმა თმის გადავარცხნა“ მოთხრობა ვან ვორსტისა (თარგმანი); *** („ცამ შავი ბადე გადაიშორა...“)
- 731 „შემოდგომა“ („ხმა გავარდა სოფელშია, რაღა უჭირს ივანესო...“);
- 784: *** (ნუ, ნუ დამიშლი გრძნობათ გამოთქმას...“)
- 791: წერილი (ბატონო ტარასი და ქალბატონო ეპრასია...“)

1909-1910 აგვისტო

- 3: *** („ტურფავ, რას დასჩერებიხარ მდინარის ზვირთთა დენასა...“); „ჩამავალი სხივები“ (კ. ბალმონტისა) („ჰოი შვენებავ ცის დასავალის...“); „საფლავის ქვაზედ“ („აქ განისვენებს ვინც მედგარ ბრძოლთ...“)
- 4: „მოგონება“ („მოგონებებში გადაფრენილი...“); *** („მე მინდა ტალღას ეხეთქებოდეს...“)
- 5: „მსურს კვლავ ახალი ვიწო ცხოვრება“.
- 16: „ბაირონიდან“ („მშვიდობით! და თუ ზეცა მიიღებს...“); „ბიბლიურ ჰანგზე“ („ვიყავ მდიდარი, ვიყავ მწვრთნელი...“); „კორდიდან“ („სძინავს ღრმა ძილით მოქანცულს სოფელს...“)
- 19: „გლადიატორი“ ბაირონისა („მომძისაგანვე დაუნდობლად გულ-განგმირული...“); *** („ვფიცავ ცის ღმერთებს ჩემში არ არი...“)
- 23: „მოსავალი“ (კოლცოვიდან) („წავალ, დავხედავ ჩვენს ყანებს...“); „მეხრე და ყვავილი“ („როდნოე სლოვოდან“)
- 30: „მოცარტი და სალიერი“ პუშკინის.
- 40: „გამოსალმება“ („ წყვდიადი ფარავს დაფენილს სოფელს...“); „ვანტაზია“ (ოცნება ტკბილი და ნეტარება...“);

- 46: „ჰიმნი“ („ერთი ნუგეში და მისწრაფება...“); ჩანაწერი ამ ლექსის შესახებ.
- 58: „საშკა ფრანტიშვილი“ რომანი, (შუა ღამეა, საშკას არ სძინავს...“);
- 133: „ალბომში“ (წუთთა შვენება თანდათან ჰქრება...“); „იავარდები“ („რომ მქონდეს ფრთები, რა აღტაცებით...“)
- 149: „დღიურიდან“ („დღე სევდითაა გარემოცული...“); დღიურიდან („საბრალო მონავ! შენი ხვედრია...“) *** („ეჰ, მუზავ, ხედავ ცის ჩამქრალ ვარსკვლავს...“) *** („დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს...“);
- 152: „ჯორჯიაშვილი“ („მახსოვს, ვიდეგი გარინდებული...“)
- 166: „ელეგია“ („მიშფოთავს სული... შავ-ბნელ წყვიდადს შთაუნთქავს არე...“)
- 172: „მოცლილი სიმღერა სიმპატიური ახალგაზრდა პოეტისა („ჩამოკრა სიმებს და სევდიან ხმებს...“)
- 174: „მელოდია“ („ოჰ, გვედრები, თუ კვლავ პატივს სცემ...“);
- 181, გვ. 1: იგავ-არაკი („საცმელი წინას არ ჰგავს...“)
- 184: „განთიადისას“ („კვალად გათენდა... კვლავ სიდიადით...“)***(ძმა ძმას ვერ არჩევს, სურს, რომ დაჩაგროს...“)
- 185: *** („მაშინ ტანჯვები სულს მიხუთავენ...“); სოფელი ჭყვიშის შესახებ;
- 197: „ახალ ტალღას“ („მუდამ თანმსროლი ფიქრი მწვავდა...“); „პირველ ტალღას“ („მე არ მიყვარს, როცა მშვიდად...“)
- 207: „კედლები“ (სემინარიელ მეგობრებს) („ველარ გვწვდება დღის შვენება...“)
- 209: „ზამთრის საღამო“ („სულს მოსწყინდა ერთფერობა...“)
- 261: „ნუ თუ?“ (ნუ, ნუ იკვანძები ცხოვრების გზავს...“) პროზა;
- 280: „მელოდიები“ 14 ტექსტის ჩამონათვალი;
- 287: *** („სიცოცხლისავე საფლავს მაგონებს...“); *** („ნიავი ნელი, ეთამაშება...“)
- 289: *** („ნაზი პეპელა თავს დასციმციმებს...“);
- 339: „ქართველი ქალი“ / „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი...“ („მე მიყვარს, როცა ფანდურით ხელში...“) პოემა;
- 340: „მელოდია“ პოემის ნაწილი („ჰანგსა ვმღეროდი

სამგლოვიაროს...“);

- 344: „პოეტი“ „ჰე, გონდოლიერ...“); *** („ გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი...“); *** („მონა, ტანჯული გარემოსაგან...“);
- 353: „ამირანი“ (ლეგენდა“ („ნუ გასთელავთ ადამიანს...“); „მელოდია“ ვუძღვნი დიდებულ თანამედროვე მგოსანს („სული შფოთავს... გამაგონე სევდიანი შენი ხმები...“); „მელოდია“ („ნელი ნიავი ატოკებს ზღვის ლელით მოსილ ნაპირებს...“)
- 363: „ბრძოლაში ვეძებ“ („ჰოი, შვენებავ გაბრწყინვებულო...“); „სონეტი“ („ ჩემგან შორს მყოფი...“) *** („ზღვაა გული... ერთ მძლავრ ტალღას...“)
- 374: „ვაი დღენი... დღენი...“ ერთ მოქმედებიანი პიესა ლექსად. („არა, თამადავ, შენ არ შეგშენის...“)
- 379: „ყვავილებში“ იდილია („ყვავილებისგან ვწნავდი გვირგვინებს...“); „ტყის ფოთლები“ („მზის სხივს ელოდა... ცელქობდა, თრთოდა...“)
- 387: „მსახიობ ქალს“ („როცა ფიქრებით დატყვევებულ-გარემოცული...“);
- 390: „ცხოვრება“ ნადსონის მიბაძვა („ნუ დაენდობი იმის სახეს კეთილს, მომხიბლავს...“ „დედა“ („რა თბილი დღეა... მზე დაქათქათებს...“)
- 392: „პოეტი და მწუხარება“ („დიდი ხანია აღშფოთებული...“)
- 393: „პოეტი“ სალოვეი („ჩამოკარ სიმებს, დეე მათ ჟღერას...“); „პოეტი და მწუხარება“ („მითხარი რაც გსურს, მე ყურს დაგიგდებ...“/ „მე კვლავ მარტო ვარ, კვლავ გულის ძგერა...“)
- 404: „მ. ნ-ს“ („შავი აჩრდილი, მკაცრი და ფრთხილი...“)
- 405: „საფლავი“ (მახსოვს სადამო... რა საუცხოვოდ...“)
- 423: „მველი და ახალი“ დრამატული ნაწყვეტი („ვინ უწყს რამდენი ტანჯვა და დევნა...“)
- 456: „სამი სურათი“ ფანტასტიური ნაწყვეტები („ახ, გაზაფხული ტურფა სიმწვანით...“)
- 475: „ადამი“ („დიდება შემქმნელს სამყაროსას...“)
- 501: „ქართველი ქალი“ პოემა („მე მიყვარს, როცა ფანდურით ხელში...“) ჩანაწერი ქართველი ქალის შესახებ ხელს აწერს Accordi
- 530: „ნორჩი ყვავილი“ („ველზე ვიწექი სევდიანი,

გარინდებული...“

- 534: „ფერხულში“ („როცა ბრბომ წარმტაც სიამოვნებით...“) ახალი ტალღა? („სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს...“
- 551: „ცის ანგელოსი გზას მიიკვლევდა“ („ირღვევა ბნელი... დანამულ მდელოს...“) / „მდინარის დუდუნს წყნარად უგდებს ყურს...“
- 563: *** („ვინ და გვყავს მეთქი, ასე ვფიქრობდი...“ „საფლავი“ (სასაფლაოზე როცა ყვავილი...“)
- 588: „დავასაფლავეთ“ („აგერ დასავლით მზე ესვენება...“); „ფრთები“ („მომეცით ფრთები, მომეცით...“)
- 593: „მწვავე გენია“ პოემა („განთიადია.. ვარსკვლავთ კრებული...“)
- 613: „საფლავებს“ („რა წარმტაცია და მომხიბლავი მაისის ღამე...“); „სიმღერა“ („ჩემგან შორს მყოფს, გადახვეწილს...“); „წითელი...“ („დავიღალენით ცხოვრების გზაზე...“)
- 632: პიესა („ვერას გახდებით... როცა მე არ მსურს...“)
- 639: *** („საფლავს მივეცი ცივი სხეული...“); „რომანსი ...-ს“ ნინა გრიზიდან („გელოდი, სატროფოვ... ტანჯვა-შფოთვაში...“)
- 640: ვახტანგ მეექვსეზე ნარკვევი
- 706: „კოლხიდა“ („იქ ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩხრიალღებს...“)
- 721: „მეგობრები“ მოთხრობა
- 725: „სიმღერა“ („ლურჯი ნისლი ლურჯ ცას მოსწყდა...“); „მარტოობა“ (ალბომში) („ფიქრი ღბილ ნათელს...“) Accordi „ნისლი“ (ვუძღვნი გ. ქუჩიშვილს) (ლურჯი ნისლი ლურჯის მთების...“); „ახალი გზის წინ“ („სიო ღრუბელს ფრთით...“) „შემოქმედების ტანჯვები“ („მწუხარებისას შევკმნი სახეს უკვდავსა და ნაზს...“); „მუშების სიმღერა“ („ლურჯ ზღვამ ზეცის ლურჯი ნისლი...“)
- 728: *** („მისი ბედი ნუ დაგავიწყდება...“)
- 733: „გაზაფხულდება“ („მსურს სხვა ღმერთთაგან შენ ერთი მწამდე...“) „ნუ მღერი“ (ი. გ-ს) („ნუ მღერი ჰანგებს, იმ ჰანგს რომელიც...“)
- 738: „ჩემი სურათი“ („ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი, ის საფლავშია...) / „გვირგვინი ობოლ საფლავს

ამშვენებს...“ „პოეტი“ („სიმი შეირხა, ათრთოლდა ჩანგი...“)

- 742: პომიდან („ყოველ მკრთალ წერტილს, ყოველ შემთხვევას...“)
- 754: პოეტი“ („ჩვენ ვსაუბრობდით, გახსოვს, ლამაზო?“) *** (შენ, მეგობარო, შენ ხარ ჩემი ტკბილი იმედი...“)
- 770: ნაწყვეტი პომიდან („დილით მსწავლულთა გროვაში გართულს...“); ჩანაწერი ქართველ ქალზე, მოხსენებისთვის ან ნარკვევისთვის
- 785: *** („რა თბილი დღეა... მზე დაქათქათებს...“)
- 786: „სიმღერა“ („ბინდი ღამისა ჰქრება ისე, ვით მოჩვენება...“)
- 894: *** „დატანჯულს და განაწვალებს ვისკენ აღზნებ ცისფერ თვალებს...“)
- 899: „ყაყაჩო“ („მითხარ, ნამი გაზაფხულზე...“)
- 904: *** („მაგრამ იმ დღეებს ვერ დავივიწყებ...“)
- 931: „საიდუმლოა“ („მთვარე ფერმკრთალი, ვარსკვლავთ ციმციმი...“)
- 934: „მწუხარება“ პოემა („სიცოცხლით სავსეს, ოცნებაში მყოფს...“)
- 942: „ლერწამი ჭინჭრებში“ („აგერ აწითლდა აღმოსავლეთი...“)
- 955: პომიდან *** („ასე ამბობდა ქალწული ქალი, შავ სარეცელზე გადაწოლილი...“)
- 956: *** პომიდან („განთიადისას, როცა ცისკარი...“)
- 957: პომიდან („სხვაგვარი იყო ჩემი ცხოვრება...“)
- 965: „მოგონება“ ვუძღვნი ლ-ს („ვდგევარ მარტოკა კვლავ ძველ ნანგრევებს...“)
- 970: „არტიტის დღიურიდან“ („დღეს ოცდახუთი შესრულდა წელი...“); „მონასტერში“ ლეგენდა („მთის წვერზე... სოფელს მოშორებული...“); „მინდია და გიორგი“ პიესა; „მონასტერში“ დრამატული პოემა ხუთ მოქმედებად შინაარსია. „სულამითი“ („ოდესმე კიდეც მოვიგონებ შენს ძვირფას სახელს...“); *** პიესიდან („მოწყენილია არემარე, მშვიდი მთაბარი...“); ბაირონიდან („რაა დიდება სამარადჟამო...“); პოემა „ქართველი ქალი“ („მე მიყვარს, როცა ფანდურით ხელში...“); *** („ერთს კოცნას ვსთხოვდი, ვსთხოვდი აღზნებით...“); *** („გიყვარვარ თუ არა, მითხარი...“); ლექსების კატალოგი, 61 ერთეული, „რომანსი“ („არ ვდარდობ, ტურფავ, დაკარგულ

იმედს...“); „ჩვენება“ („შუალამეა, მთვარე კაშკაშებს...“); *** („მე მინდა შენი ნაზი ღიმილი...“); „წმიდაო ღმერთო“ (ბალმონტიცხური („როცა ცის სივრცეს მიმოვბნევა...“); „სიყვარული“ ფანტაზია („ზღვის გაღმა, შორს, შორს, ობოლ კუნძულზე...“); კრაპივნიცკის გარდაცვალებაზე, ვრუბელის გარდაცვალებაზე, „სამშობლოში“ ელ...ს („სადაც მთების დიადემის...“); „კაინი“ („არ ასვენებს კაინს შური...“); „კაინი“ („ძმა მოჰკლა, არ შეიბრალა...“); „ფრანტიშვილი“ კომედია ხუთ მოქმედებად („მამ შენ არ ჰფიქრობ დაქორწინებას...“); „ამურის ძებნაში“ პოემა; „ქებათაქება“ („ვერც ნაზი ია ბუჩქს ქვეშ მიკრული...“); „ქანდაკება“ (ხელს ნუ შეახებთ ქანდაკებას, არ გამიფუჭოთ...“); „მელოდიები“ („ შენსკენ ვილტვოდი ცხოვრებისაგან...“); „სიკვდილი“ („როცა სველ კედლებს შორის მდებარეს...“); „პოეტი“ („ შენს ჩანგის ჟღერას და ხმას ზეციურს...“) / „შენს ციურ ხმებს, ჩანგის ჟღერას...“); ბოდენშტადტიდან („ჩვენს წინ ყვავილი გადახრილიყო...“); „საათი“ სატირა („პროგრესისტები თათბირობდნენ...“); „რითმები“ ვუძღვნი N-ს („ღვინო მომეცი, ღვინო მწყურია...“); *** („ხმა ჩაიკმიდეთ, ვერაგებო...“); „პოეტი“ („არ ვნაღვლობ, ტურფავ...“); *** (ზეცას გულ-დანაშულს მე არ ვთხოვ შველას...“); „“ („მითხარი, რისთვის არ გხიბლავს ზეცა...“); *** („როცა სხვის საფლავს მე ვაცქერდები...“); „ჭალადიდელის ხსოვნას“ („მახსოვს პირველად...“); „ჯვარი“ („მინახავს ჯვარი...“); „სადამო“ („მნათობი მთებში გადაიმალა...“); „ცხოვრებასთან“ ვუძღვნი მეგობარს დემონს („დეე შავბნელმა სევდა-ნაღველმა...“); „პანინი“ („მეგობრებო, არასდროს ისე...“); *** („ოჰ, მეგობრებო, თქვენ არ იცით, რარიგ მსურს ბრძოლა...“); *** („უკანასკნელად მსურს ბედი ვსცადო...“); „პოეზია“ ბავშვს, წრფელ იმედით გასხივოსნებულს...“); „პოეტი და მწუხარება“ („მგოსანი სახეგაბრწყინვებული...“); „დემონი“ („შუალამეა, ცის კალთებზე ვარსკვლავნი კრთიან...“); *** „სევდა მეწვია, ნისლმა დაბურა...“); „პირველი ტალღა“ („ზღვის დუმილს წყნარსა სევდით სავსე მე ყურს ვუგდებდი...“) „გაჰკრთა სხივები აღმოსავლეთზედ...“ / როცა ზღვის სივრცეს უბოლოოს და თვალუწვდენელს...“); *** („ახ, რისთვის მიყვარს ეგ სავსე ღამე...“);

„გოდება“ სადაც მარადქამს...“); „ტალღებზე“ („სადაც ნაზად სივრცე შორი...“); პოემიდან („შენც ჩემო ცაცხვო, ტოტებგაშლილო...“); 1909 წლის ოქტომბერში წაკითხული წიგნების ჩამონათვალი.

- 1028: „მელოდიები“ ღამის კაემანს („მზე კვლავ ამოვა ცისა ლაჟვარდზე...“)
- 1127: „წვიმა“ („ეს ცრემლებია, ცის თვალთაგან გადმოხეთქილი...“); „სუმბული“ მ. ნ-ს („ვერ გაახარებს შენს ცისფერ თვალებს...“); „ჰანგსა ზეციურს“ („ჰე, ბევრი კვნესა და ვაება გამომიცდია...“)
- 1131: ნაწყვეტი კაზიმერ ტეტმაიერიდან („და უნუგეშოდ თავი დაჰკიდა...“);
- 1150: „ბრანდი“ პიესა
- 1161: „ერთხელ... საღამოს“ ერთმოქმედებიანი პიესა ლექსად („დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ...“); „ნაკადი“ იდილია („მთის წიაღიდან მოჩქრიალებს...“); „პოეტი“ „ოცნების ფრთაზე შვების ცრემლს ღვრიდა...“)
- 1165: „დავასაფლავეთ“ („მშვიდი ღამეა ნიავი ნელი...“)
- 1166: *** „ბრბო უმეცარი, შეუგნებელი...“
- 1168: „საახალწლო“ ოცნება („მარტოდ მარტო ვარ, შავი ფიქრები...“); „ვუძღვნი მაროს“ („რაც უფრო დღენი მისწრაფვიან...“); „სტიროდე“ სონეტი „ვეღარ ვიხილავთ დღესა საამოს...“)
- 1169: მელოდიები „ღამის კაემანს“ („მზე კვლავ ამოვა ცისა ლაჟვარდზე...“); „მელოდია“ „დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ...“)
„სააღდგომო ეპიგრამები მსახიობებს
- 1182: „მგონის საფლავზე“ („უმანკო ჩვილი, სევდით აღვსილი...“);
- 1183: „გვირგვინოსანი“ პოემა „არ სძინებია მეფეს, როდესაც...“); ხაოსი „ზღვას დასციმციმებს ვარსკვლავთა კრება...“); სააღდგომო ეპიგრამები
- 1192: ნაწყვეტი პიესიდან
- 1213: „გაზაფხულს, მხოლოდ გაზაფხულს!“ („ახ, მიყვარს, როცა წალკოტში...“)
- 1214: „საგაზაფხულო“ („რა თბილი დღეა, მზე დაქათქათებს...“)
- 1217: *** („გამოიცდია შავბნელი ღამე...“)

- 1219: *** („მზეო, როდესაც შენი სხივი მომხვდება გულზე...“)

1910 სექტემბერი-დეკემბერი

- 146: „იαιროზის ასული“ პოემა ; *** („ღამეა, წყვდიადს ფრთა გაუშლია...“) „მგოსანი“ („მოჰ არ ძალმიძს ამ ოთახში...“) (ნაწყვეტები პოემიდან „შადრევანა“ / „საახალწლო სიზმარი“ / „ყვავილები ოთახში“);
- 189: „ოდესმე“ (რაისას) („დღეს მე ყვავილი ჩავდევი წიგნში...“; „სიამე“ („წვიმის წვეთი გულს მეცემა...“)
- 365: პოემა „სატანა“ / „სიჩუმის ანგელოსი“; „პოეტის დემონის ხსოვნას“:
- 380: *** „ეჰ, წამკითხველო, დამიგდე ყური...“ სენტენციები, ამოწერილი სხვადასხვა ავტორის ტექსტებიდან:
- 414: „მუსიკა“ („ტკბილი მუსიკა მე არ მაწყნარებს...“):
- 425: „შადრევანი“ პოემა:
- 460: „წინასწარმეტყველი“ („დავდივარ ობლად... დავდივარ ერთი...“):
- 468: „ნადიკო“ („შემოდგომის ცივი დღეა...“) / „მეძავე“ „შემოდგომა... მრისხანე ქარი...“) „დიდება“ („ქვეყნის დიდება დიდებას ეძებს...“):
- 503, გვ: 9-11) „ამოკრებილი სიტყვები და აზრები“:
- 531: „მგოსანი“ („როდესაც მარტოდ მარტო დავრჩები...“) – (ნაწყვეტი პოემიდან „შადრევანა“ ანუ „საახალწლო სიზმარი“):
- 564: „ცხოვრების შინაარსი“ მანფრედი და მეფისტოფელია ნახსენები: მეტყოდნენ პოეტი ხარო: „მოგონება“ („ცის ეთერი ცით ლტოლვილი...“ „მოგონებანი“ („იყო დრო, როცა შენ ღიმილით მიჩვენე ზეცა...“) „მგოსნის ტრალიკომედია“ (ვუძღვნი ი: გრიშაშვილს) („ტოლ-მეგობრებში ამაყობდი შენს „ზე-კაცობით“...“):
- 633: „შადრევანი“ (პოემა ორ ნაწილად); „ვიდოდა მწირი მიუსაფარი“ დრამა სამ მოქმედებად:
- 725: „სიმღერა ასოთ ამწყობისა“ (ვუძღვნი ნ: ჟორდანას) „მარტოობა“ (ალბომში); „ნისლი“ (ვუძღვნი გ ქუჩიშვილს); „ახალი

გზის წინ“ („სიო ღრუბელს ფრთით...“) „შემოქმედების ტანჯვები“ („მწუხარებისას შევქმნი სახეს...“):

- 777: უსათაუროდ პოემის 5-6 თავები: მთავრდება ფრაზით „ჰპოვე იესო ნაზარეველი“
- 866: საახალწლო ეპიგრამები:
- 895: *** „სასიხარულო და სანეტარო / ტანჯვამ დამიხშო ბედის კარები...“:
- 911: „ნეტავი როდის მზე ჩაესვენა“ („ყველა კვდება, ყველა ჰქრება...“):
- 967: „ფარვანა“ (ნათელს, აღზნებულს...“):
- 1116: „სიჩუმის ანგელოსი“ / „ორთეოსი“ / „შემოდგომის ნისლი“ / „თვითმკვლეელი“ / „ლეგენდა“ („მორს იყო მხარე, სადაც სიყვარულს...“) „ჩემო იავ-ნანა“ („ჰაერთან ერთად ისუნთქე შხამი...“):
- 1181: „ყორანი“ („ჩემებრ ბედით დასჯილს გ: ქუჩიშვილს) („ვკვნესდი, ვჩიოდი...“); „ლამის ფრინველი“ („ლამის სივრცეში სატრფოს ალერსს ვევედრებოდი...“):
- 1201: *** („მთვარეს შუქი სიყვარულის მოხდენილად ტანთ აცვია...“)

გალაკტიონ ტაბიძის ავტოგრაფების დათარიღება გრაფემატული კვლევებით (თეა თვალავაძე)

უთარილო ტექსტები მოწყვეტილია ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტს, რითაც საგრძნობლად კნინდება მათი კულტურული ღირებულება. ზოგ შემთხვევაში, თარიღს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ არსებითად ცვლის ავტორისეულ სათქმელს. ნებისმიერი სახის მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტის დასათარიღებლად ფართოდ ვიყენებთ მისი შინაარსის ინფორმაციულ ანალიზსა და ისტორიულ-შედარებით კვლევას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც შინაარსი ამგვარი კვლევისთვის საკმარის საფუძველს არ იძლევა და ერთადერთი გამოსავალი რჩება ხელნაწერი წყაროს შექმნის დროის განსაზღვრა გრაფემატა საერთო თუ სპეციფიკური ნიშან-თვისებების ანალიზით. უკანასკნელ წლებში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ხელნაწერის დათარიღების კვლევებში პროგრამირებისა და ხელოვნური ინტელექტის მიდგომების გამოყენება.

გალაკტიონ ტაბიძის არქივი, რომელიც ლიტერატურის მუზეუმს გადმოეცა პოეტის გარდაცვალებისთანავე, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია საქართველოს ფონდსაცავებში დაცულ სხვადასხვა მწერლის არქივთა შორის. ამიტომ გრაფემატული კვლევის საგნად, როგორც მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისე ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც, სწორედ ეს არქივი ავირჩიეთ. აღნიშნულ ფონდში მრავალი ხელნაწერი ინახება ავტორისეული თარიღით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 2003-2008 წლებში გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის 25 წიგნი და 2012 წელს გაკეთდა მწერლის ვებგვერდი, პირობითად ათწლეულების მიხედვით ან სრულიად დაუთარიღებელი დარჩა 3000-მდე ლექსი და ჩანაწერი. უთარილო ხელნაწერების დიდი რაოდენობის დათარიღება თუ შემჭიდროვებული ქრონოლოგიის დადგენა მოხერხდა გრაფემებისა და მათი წყვილების მოხაზულობის შედარება-შეჯერებითა და რომელიმე კონკრეტული წლის ფაქსიმილეების სპეციფიკური მახასიათებლების დადგენით.

„ზ¹“ და „ჯ²“ გრაფემების გამოყენების გათვალისწინებით, „წერილი N1 დღიურიდან“ დაწერის თარიღად განისაზღვრა 1907-1908 წლები.

რადგან „ლ²“ და „დ²“ ასო-ნიშანი ავტოგრაფებში იკვეთება 1911 წლიდან, მრავალი ხელნაწერი დათარიღდა 1911 წლით ან შემდგომი პერიოდით: „ლექსები – „მაისის ვარდი“ („ზამთრის სუსხში...“), „მაისი“ („მიმზიდველი და წარმტაცი ველი...“), „ღრუბელს“ („ოჰ, ნუ დაახშობ მზის სხივებს...“), „ორი პოეტი“ („ვარდს ვინ არ აქებს? ის კი ობოლი...“), „დანგრეული ტაძარი“ („წმიდათა წმიდას ვინ შეახო ხელი გრძნეული?...“), „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“ („მიწიდან ლალის ალი ავარდა...“), „იავ-ნანა (ვუძღვნი ჯარისკაცების შვილებს)“ („ნუ შრიალებ ალვის ტოტო...“), „მიკელ-ანჯელო“ („ტიტანიური ანგელოსი...“), „მამია გურიელის საფლავზე“ („თავ-დახრილი, მწუხარე...“), „ქალი და ხელოვნება“ („ხავერდოვან მინდვრის ბალახს...“), „იელვებს, კიდევ იელვებს“ („გაიელვებს ერთი წუთით...“), „ესაა“ („აღტაცება სულს რომ ფარავს – ესაა...“), „სემინარიიდან“ („გასული მინდვრებში სემინარიიდან...“), „პირველი მერიდიანი“ („გულიდან გულმა გაგიყოლიოს...“), „მეგლი“ (ჰორაციუსის მიბაძვა), „ეკლის ხეები“ („სულ წინად ამ ადგილს...“), „მაისი საზღვარგარეთ“ და სხვა; უსათაურო ლექსები – „უნდა, თავგამეტებით გადალახო სიყალბე...“, „დაჰქროლა სიომ... დაჰქროლა წყნარად...“, „ჩემს სულში დაჰქრის ბრწყინვალეობა და ელვარება...“, „გრძნობა აღელდა, სული ამბობდა...“, „ჩემს წინ ცაცხვის ხეს მაღალ მწერვალთ...“, „ეხლა ღამეა... და მეც არ ვიცი...“, „შენ ცხრაასიდან იყავი ლომი...“, „გული, ოჰ, გული...“, „რომელთაც ჩემზე სურთ უფროსობა...“, „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში...“, „მე მეზიზღება მყუდრო ნაპირი...“, „სანამ წვიმა გადივლიდეს...“, „ვერ გაიგონებს ძახილს ვერავინ...“, „რა კი მივალწიეთ მწერვალს ნაპრალისას...“, „ხშირად დავდივარ სარკმელთა ახლო...“, „ვერ მივალწიე სასურველ მიზანს...“, „დრო აღარ არის ბოდვის...“, „ტბა შრიალებდა, როგორც შოპენის...“, „თვითმკლელობა არის ლაჩრობა“, „მახსოვს ხორაგაულის...“, „მოსჩანს შორი ქედი...“, „საღამოთი ნაცნობ შარით...“, „ორთქმავალი – ლაღზე

¹ მახასიათებლების აღსანიშნად აქაც ვიყენებთ იმ სიმბოლოებს, რომლებიც წარმოდგენილია ქვეთავში „დროის მოკლე ინტერვალისთვის დამახასიათებელი მოხაზულობის გამოყენება დასათარიღებლად“.

ლადი...“, „ოთახი. ღამე. შრიალის შიში...“, „ვნებავ, რისთვის მომალდი...“, „მშვენიერია ზღვა მთვარეული...“, „მოგონების ნაზი მტვერი...“. „მოგონების ნაზი მტვერი...“, „გული მთხოვე, მეგონა...“, „ჰაერიდან თუ რკინიდან...“, „რომ გაუყვე გზას...“, „ო, ჩემო ლექსო! როს წვეულება...“, „და ამაოდ გეძებენ...“, „ნება მომეცით, ვიყო თქვენს ახლო...“, „ზამთარი, ზამთარი...“, „გამაგებინე, ჩემს წარსულში რაა ისეთი...“, „ვაიმე, ვაიმე...“, „მინც რა ვიცი...“, „მთელი კვირა დაყვავი...“, „მიტოვებული კოშკი რას სტირის...“. და სხვა; სტატია „დეკადანსი და ქართველი ახალგაზრდა მწერლები“, ესკიზი „ღამის აკორდი“, ჩანაწერები – „ახირებული სულიერი განწყობილება...“, „უცხო ცის ქვეშ“, „ვეშაპი“, „ალპები“, „კიფერონომია“, მანქანათა რახრახი ძრავს სტამბის კედლებს...“, „ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით...“ და სხვა; მოგონებები – „მე და დემონი“, „ხე მეფისჭალაში“, „ულამაზესი ქალი, მერი შერვაშიძე...“, „ალექსანდროვის ბაღში სურათს იღებს სამი ახალგაზრდა...“, ნიკო სულხანიშვილზე, განდევილზე (დომინიკა ერისთავზე) და ლადო დარჩიაშვილზე და სხვა; თარგმანები – ედგარ ალან პოს „მალშტრემი“, ედვარდ უაითის მოთხრობა „მწევარი“, ოსვალდ შპენგლერის სტატია „ფილოსოფია ლირიკის“ და სხვა; ავტობიოგრაფიული ფრაგმენტები – „ქუთაისიდან 30 ვერსის მანძილზე მდებარეობს ჩემი სამშობლო სოფელი ჭყვიში...“ და „დავიბადე 1892 წელს. მამის, სახალხო მასწავლებლის გარდაცვალებიდან 7 თვის შემდეგ...“ და სხვა; პიესა „ცეცხლი“, უსათაურო პიესის „ლოზენი სთხოვს იმპერატორს...“ 9 გამოსვლა და სხვა.

გალაკტიონ ტაბიძის პირველ კრებულში გამოქვეყნებული ლექსების პირობითი დათარიღება ხდება 1914 წლის ივნისამდე, მაგრამ ორი გრაფემის – „დ²“ და „ლ²“ – გამოყენების მიხედვით, თარიღი შემჭიდროვდა 1911 წლიდან 1914 წლის ივნისამდე. მათ შორისაა უსათაურო ლექსები – „არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!“, „დღეს ჩემი დღეა, დაბადების დღე...“, „გარედ სწვიმს და თოვს...“, „მე გულ-აღმად დავემხვე...“, „მდინარის პირზე ვნახე ტირიფი...“, „მთვარე ღრუბელქვეშ შუა-ღამისას...“ და სხვა.

იმავე „დ²“ და „ლ²“ გრაფემების, ამასთანავე, ფაქსიმილეში გვარის დაბოლოებასთან ვერტიკალური ხვეულის გამოყენების მიხედვით, რამდენიმე ათეული ავტოგრაფი დავათარიღეთ 1911-1915 წლებით: პოემა „თასი“ („მწარე დუდუნით იგონებდა...“), ლექსები – „ბაგრატის ტაძრის

ნანგრევებთან“ („ცის კაბადონს ანათებს მთვარე...“), „ბრწყინავს ვარსკვლავი“ („ცა მხიარულობს...“), „ხატის წინ“ („ისმოდა ჩქარი გრგვინვით „ოსანნა“...), „მეოთხე მხარე“ („ვარსკვლავთა ზევით...“), „ვარდი სილაში“ („ქარმა კარები შემომამტვრია...“), „საშემოდგომო ოკტავები“ („დათვერი განა? განა მოგწყინდა?...“), „ელეგია“ („მე ვიგონებდი სიყმაწვილის დროს“...); უსათაურო ლექსები – „დამნაშავე ხარ...“, „თანდათან ბნელდება, ბნელდება...“, „აცივდა, მალე მოვა ზამთარი...“, „მივქრევარ და სიყრმიდან...“, „ვიდექი ხიდთან...“, „მიყვარდა იმ დროს...“, „ოცნებავ, ღმერთავ!...“, „პირველი ფოთლით იმოსება ტყე...“, „ხედავ ამ ყვავილს...“, „ესკიზი „პოეტი და სიკვდილი“ და სხვა.

„ტ“ გრაფემის მარჯვნივ გახსნილი ქვედა ნაწილისა და ზედა ნაწილის ციფრის „8“ მაგვარი ბაფთის გათვალისწინებით, 1916-1927 წლებით დათარიღდა უსათაურო ლექსები – „როგორ გაცივდა თქვენი ოცნება...“, „ჩემს სულში დაჰქრის ბრწყინვალეობა და ელვარება...“ და სხვა.

გრაფემატული კვლევების მიხედვით დათარიღებისას, საწყისი თარიღის გარდა გამოვიყენეთ შინაარსობრივი მონაცემებიც. მაგალითად, უსათაურო ლექსი „ორიანტიში ამას წინად...“, გრაფემის „ლ²“ მიხედვით დაწერილი უნდა ყოფილიყო 1911 წელს ან შემდეგ, მაგრამ რადგან სასტუმრო „ორიანტი“ გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე 1921 წლის ჩათვლით მოქმედებდა, ლექსს ვათარიღებთ დროის ამ შუალედით – 1911–1921; ცისფერყანწელებზე მოგონების „აქ ალი არსენიშვილმა თავის გულწრფელ სიტყვაში...“ სავარაუდო თარიღია 1916 წელი ან შემდეგ, რადგან ცისფერყანწელთა ორდენი დაარსდა 1916 წელს. ლექსი „სერგეი ესენინი“ („იყო ტფილისში პოეტი სერგეი ესენინი...“) ასევე ლ² გრაფემის მიხედვით დაწერილია 1911 წელს ან შემდეგ, მაგრამ შინაარსის მიხედვით უნდა დათარიღდეს 1924 წლის სექტემბრიდან, რადგან სერგეი ესენინი პირველად თბილისში ჩამოვიდა 1924 წლის სექტემბერში; დიალოგი პიესისთვის: „მეფე პოეტების“ („გალაკტიონ ტაბიძე: ქიმერა, რასა მალავ?...“), „ლ²“-სა და მარჯვნივ გახსნილი 8-იანის მაგვარი ბაფთიანი „ტ“-ს მიხედვით უნდა დათარიღებულიყო 1916-1927 წლებით, მაგრამ ვათარიღებთ 1921 წლის იანვრიდან 1927 წლის ჩათვლით, რადგან 1921 წლის იანვარში, კენჭისყრის შედეგად, გალაკტიონ ტაბიძე აირჩიეს პოეტების მეფედ. უსათაურო ლექსიც „დიდება ხალხს, მდგარს მშვიდობის სარდლად...“ გამოყენებული გრაფემის „ლ²“-ის მიხედვით უნდა

დაგვეთარიღებინა 1911 წლიდან პერიოდით, მაგრამ ვათარიღებთ 1933 წლით ან შემდეგ ლექსის ვარიანტზე მიწერილი სიტყვების „სახალხო პოეტი“ მიხედვით, რადგან ეს წოდება გალაკტიონ ტაბიძეს მიენიჭა 1933 წელს; თეოფილ გოტიეს ლექსის „იდუმალი ნათესავობა“ (პანთეისტური მადრიგალი)“ თარგმანსა და იმავე გვერდზე მიწერილ უსათაურო ლექსს „ნება მომეცით, ვიყო თქვენ ახლო...“ ვათარიღებთ 1914 წლით ან შემდგომი პერიოდით გალაკტიონ ტაბიძის პირად ბიბლიოთეკაში არსებული ნიკოლაი გუმილიოვის მიერ ნათარგმნი თეოფილ გოტიეს კრებული „მინანქრები და კამეები“ 1914 წლის რუსული გამოცემის მიხედვით. ამ უკანასკნელ შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, შინაარსის მიხედვით დათარიღებამ დაავიწროვა გრაფემატული კვლევით დადგენილი დროის ინტერვალი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არცერთ შემთხვევაში ამ ორი განსხვავებული მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოსულა.

ჩატარებული გრაფემატული კვლევების მიხედვით, ამ ეტაპზე დათარიღდა 354 ლექსი, ჩანაწერი თუ თარგმანი. ამით საფუძველი ეყრება კვლევის ახალ მიმართულებას, თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე დამყარებული მეთოდოლოგიის შემუშავებას, ხელნაწერების ასო-ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობების ვარიანტული ბაზების შექმნასა და უთარიღო ხელნაწერების მექანიკურ დათარიღებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად და ავთენტურ ისტორიულ თუ ბიოგრაფიულ კონტექსტთან მათ დასაკავშირებლად.

ფაქსიმილების მიხედვით დათარიღება

(თეა თვალავაძე, ია ლაღუა, გიორგი კალანდაძე)

გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა გრაფემატული კვლევის პირველ ეტაპზე პროექტზე მომუშავე გუნდმა, რომლის მიზანი იყო მის პირად არქივში დაცული უთარილო ხელნაწერების დათარიღება, აირჩია 1905 წლიდან 1959-ის ჩათვლით თითოეული წლის 2-3 თარიღიანი ხელნაწერი, დაშალა სკანირებული გამოსახულებები, შეადგინა გრაფემებისა და გრაფემატული წყვილების ბაზები, გამოკვეთა დათარიღების თვალსაზრისით ყველაზე ინფორმატიული ელემენტების ტიპები და მოახდინა მათი კოდირება, შემდეგ კი ამავე პრინციპით დაამუშავა უთარილო ხელნაწერთა ბაზა და წლების მიხედვით გამოვლენილი ცალკეული სპეციფიკური ნიშნების მიხედვით სცადა მათი დათარიღება¹. როგორც სატესტო ხელნაწერების დათარიღებამ გვაჩვენა, ზუსტი თარიღის დადგენაში ხელს გვიშლიდა ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ საკვლევად გამოყოფილი 622 გრაფემატული ტიპიდან დიდი უმრავლესობა ფარავს ამ მწერლის მოღვაწეობის ყველა პერიოდს და ეს გავლენას ახდენდა შედეგებზე.

იმის გამო, რომ ყველა გრაფემის ყველა ნიშან-თვისების ერთიანმა შედარებითმა კვლევამ მაღალი შედეგი ვერ მოგვცა, გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა ისეთი კონკრეტული ელემენტების კონკრეტული ტიპების კვლევის ჩატარება, რომლებიც დროის რომელიმე მოზრდილ მონაკვეთებში სტაბილურად გამოიყენებოდა ან, პირიქით, არ გამოიყენებოდა. ამ მიზნით ჩავატარეთ ჩვენ მიერ გამოყოფილი 622 ტიპიდან თითოეულის კვლევა კოდების წიგნის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში თითოეული ტიპი რომელიღაც წლის ხელნაწერებში გვხვდებოდა, მომიჯნავე წლებისაში – არა, მაგრამ ერთი-ორი წლის შემდეგ ისევ ჩნდებოდა. ბუნებრივია, ასეთი შედეგი ამ წლების

¹ Tvalavadze, Tea, et al. "Automated Dating of Galaktion Tabidze's Handwritten Texts." International Conference on Computer Science, Engineering and Education Applications. Cham: Springer Nature Switzerland, 2023.

ხელწერათა შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებაზე მეტად შემთხვევითობით იყო გამოწვეული. მეორე მხრივ, ამ კვლევის შედეგად გამოვლენილი კონკრეტული ტიპების გამოყენების ან არგამოყენების მსხვილი დროითი ინტერვალები შეიძლება დათარიღებისთვის კარგი დასაყრდენი ყოფილიყო.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ გამოყოფილი ტიპების უმრავლესობა ერთი-ორი წლის ხელნაწერებში მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე გვხვდება: 1910-იან წლებშიც, 20-იანშიც, 30-იანშიც, 40-იანშიც და 50-იანშიც. შესაბამისად, მხოლოდ ამ ბაზებით ტექსტის ზუსტი დათარიღება შეუძლებელი იყო, მაგრამ შეგვხვდა რამდენიმე გამონაკლისიც, მაგალითად, თარიღიანი ხელნაწერების კვლევამ ცხადყო, რომ ელემენტის ტიპს >გ<2/2] პოეტი იყენებდა მხოლოდ 1908 წლის აპრილიდან 1910 წლის დეკემბრამდე¹. შესაბამისად, ეს ფაქტი დაგვხმარა ათობით ისეთი უთარიღო ხელნაწერის დათარიღებაში, რომლებშიც ეს სპეციფიკური ტიპია გამოყენებული.

რამდენადაც კოდების წიგნის შედგენისას ჩვენ აღვუხსეთ თითოეული წლის ხელნაწერებში ამა თუ იმ ტიპის არსებობა, მაგრამ არ აღვნიშნუხსავს ამ ტიპის პროცენტული მიმართება ამავე ელემენტის სხვა ტიპებთან, კვლევის დროს დადებით სტატისტიკაზე უფრო მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა უარყოფითი სტატისტიკა, ანუ იმის აღნუსხვა, თუ რომელი ტიპები არ გვხვდება რომელ წლებში. რამდენადაც გალაკტიონის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ხელნაწერი 1905 წლისაა, ყველაზე გვიანდელი კი – 1959-ის, ელემენტის ტიპები, რომლებიც არ გვხვდება, მაგალითად, 1905-1915 წლებში, მიგვანიშნებდა, რომ ამ ელემენტის გამოყენება 1916 წლიდან დაიწყო და ის უთარიღო ხელნაწერები, რომლებშიც ის გვხვდება, შეგვეძლო დაგვეთარიღებინა 1915 წლის შემდგომი პერიოდით. ელემენტის ტიპები, რომლებიც 1949-1959 წლებში გვხვდება, მიგვანიშნებდა, რომ ამ ტიპის გამოყენება პოეტმა შეწყვიტა 1949 წელს და საშუალებას მოგვცემდა, ის უთარიღო ტექსტები,

¹ Iavich Maksim and Maia Ninidze, "Advancements in Dating Undated Manuscripts through Dual Methodologies", 29th International Conference "Information Society and University Studies" – IVUS 2024.

რომლებშიც ის გვხვდება, დაგვეთარიღებინა 1949 წლამდე პერიოდით. ბუნებრივია, მხოლოდ ერთ გრაფემაზე დაყრდნობით გადამწყვეტი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. ამიტომ ამასთან ერთად ვატარებდით სხვა გრაფემათა კვლევასაც ჩვენ მიერ დადგენილ სავარაუდო პერიოდთან შესაბამისობის მიმართებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ელემენტის ტიპის გამოყენების ან არგამოყენების მოზრდილი დროითი ინტერვალები დამოუკიდებლად უთარილო ტექსტის დათარიღების პრობლემას ვერ წყვეტს, მაგრამ მან შეიძლება კარგ შედეგზე გაგვიყვანოს კომპლექსური კვლევისას, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სხვა მეთოდებით გამოიკვეთა რამდენიმე სავარაუდო თარიღი და ჩვენ გვიხდება მათგან ერთის არჩევა.

მაგალითისთვის განვიხილავთ გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის შემთხვევას, მან 1933 წელს გამოაქვეყნა ლექსი „პირველი მისი“ ქვეშ მინაწერით „ლექსი წარმოთქმული არალეგალურ სადამოხე 1908 წელს, პირველ მისს“. თარიღად 1908 წელი მიწერილი აქვს არა მხოლოდ პუბლიკაციას, არამედ ავტოგრაფებსაც. საქმე ის არის, რომ გალაკტიონი რეგულარულად აქვეყნებდა თავის ლექსებს და თუ რაიმე გარეგანი გარემოება არ უშლიდა ხელს, გამოუქვეყნებელი არაფერი რჩებოდა. 1918 წელს საქართველოს ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატების მოსვლის, 1921 წელს კი საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის გამო, 1918 წლიდან ამ ლექსის გამოქვეყნებას, ბუნებრივია, წინ არაფერი დაუდგებოდა. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ პოეტმა ლექსს სხვა თარიღი მიაწერა თავისი „რევოლუციური წარსულის“ სურათის გასამდიდრებლად¹. თუ გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაში იყვნენ მწერლები სტალინის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ეს სულაც არ არის გასაკვირი. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ აზრს, რომ გალაკტიონს შეეძლო თარიღის ასეთი მისტიფიკაცია, აღარავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ ავტორის მიერ ამ ლექსის თარიღის მისტიფიკაცია ფაქტობრივ დონეზე დადასტურებული დღემდე არ ყოფილა.

¹ გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 2017, გვ. 250-251.



ლექსის 6 ავტოგრაფიდან ხუთი თარიღიანია. ორ მათგანში თარიღად 1905 წელია მითითებული, ორში – 1908, ერთს კი ლექსის ბოლოს აწერია 1933 წლის 26 აპრილი. ავტორის მიერ ლექსის თარიღის ასეთი ცვლა, ბუნებრივია, მისი მისტიფიციერების ეჭვს აძლიერებდა, მაგრამ გრაფემატულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა ამ ვარაუდის ფაქტობრივი დადასტურება. რამდენადაც ლექსის სამი ავტოგრაფი (ქლმ, N4763, N5381, N5552) იმდენად ნასწორებია, რომ ცხადად ასახავს ლექსის შექმნის და არა მისი „გადაწერის“ პროცესს, აშკარა იყო, რომ გრაფემატული კვლევით ამ ხელნაწერების შექმნის დროის განსაზღვრა დაგვეხმარებოდა ტექსტის შექმნის დროის განსაზღვრაში. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა საკმაოდ მარტივი იყო, უნდა აგვეჩია ხელნაწერებზე მიწერილი სამი სავარაუდო თარიღიდან ერთი. რამდენადაც 1905-1908 წლების ხელწერას ყველა ის მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც კვლევა უნდა ჩავგეტარებინა, საერთო აქვს, ფაქტობრივად, არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა მათსა და 1933 წელს შორის, აქ კი განმასხვავებელი ნიშნები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა.

1911 წლამდე გალაკტიონის ხელნაწერებში არ გვხვდება ორრკალიანი დ-ს ($>დ<3/$) არცერთი ელემენტი. ორრკალიანი რ-ს ($>რ<4/$) და „ლ“-ს ზედა დამატებითი ხაზისა ($>ლ<6/$) ელემენტები არ გვხვდება 1909 წლამდე, გრაფემა „შ“-ს ტიპი ($>შ<2/7$) – 1910-მდე, „წ“-ს ტიპი ($>წ<1/9$) 1912-მდე, „პ“-ს ტიპი ($>პ<3/4$) – 1915-მდე და სხვ. შესაბამისად, ლექსის „პირველი მათის“ საკვლევ ხელნაწერებში ამ ელემენტების არსებობა, და თან დიდი რაოდენობით, ფაქტობრივი დადასტურებაა იმისა, რომ ისინი 1933 წელსაა შექმნილი და არა 1905-ში ან 1908-ში.

გრაფემატული კვლევით ხელნაწერთა დათარიღების მთავარი დასაყრდენი არის წლების მიხედვით მოხაზულობათა სისტემური ცვალებადობა. ადამიანები, მით უფრო კი მწერლები, ხშირად მუშაობენ ცალკეულ გრაფემების მოხაზულობებსა და მათ გადაბმებზე, მაგრამ, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, ბევრად უფრო მეტს მუშაობენ თავიანთ ფაქსიმილებზე, რომლებიც პირდაპირ ასოცირდება ავტორის ინდივიდთან. შესაბამისად, გრაფემატული კვლევის შემდეგ ეტაპზე გადავწყვიტეთ, დაკვირვება გვეწარმოებინა გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილებზე.


პოეტის ერთი მოგონებიდან ვიგებთ, როგორ აკვირდებოდა ის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში თავისი სიმღერის მასწავლებლის ხელმოწერის პროცესს: „შარაბი-ძე: ამ ძეს ქვევით გაჰკრავდა სწრაფი ჯერ ერთი, მერე მოუხვევდა მეორე ხაზით, მერე კიდევ მესამე ხაზს მიამატებდა. ეს იყო ნოტის ხაზები და ამ ხაზებზე ისევე სწრაფად და ლამაზად გაიყვანდა ნოტების გასაღებს, რომ გაოცებას ვეძლეოდი...“¹.

როგორც ჩანს, ისე მოსწონდა მასწავლებლის ხელმოწერის ეს სტილი, რომ თავადაც დაამუშავა



მსგავსი ხელმოწერა. ვიოლინოს გასაღებს თავიდან თავადაც ხელმოწერის ქვედა ნაწილში ჰორიზონტალურად გამოსახავდა (დ-273), შემდეგ კი დაიწყო თავისი სახელისა და გვარის ინიციალებისთვის ვერტიკალურად მდგარი ვიოლინოს გასაღების ფორმის მიცემა. ძალიან მოსწონდა, როდესაც სახელისა და გვარის ინიციალები, უკეთეს შემთხვევაში კი მარცვლები მეორდებოდა.

რამდენიმე ფურცელი აქვს გავსებული იერონიმ იასინსკის რუსული ხელმოწერებით. ჯერ სახელის ინიციალი შეცვალა გვარის ინიციალის მსგავსი ასოთი, შემდეგ გვარის დაბოლოება შეცვალა მდედრობითი სქესის დაბოლოებით, თავად გვარში ჩართო ინიციალის შემცველი კიდევ ერთი მარცვალი, მოიგონა სახელი, რომელიც იმავე მარცვლით დაიწყებოდა, რომლითაც გვარი იწყება და სხვ. ამ ყველაფერზე დაკვირვება დაგვეხმარა იმ ვარიაციების ანალიზში, რომლებსაც ის უკეთებს საკუთარ ფაქსიმილეს.



გალაკტიონ ტაბიძე ძალიან მგრძნობიარე იყო ავტორობის საკითხისადმი. სხვის მიერ არათუ მისი მთლიანი ლექსის, არამედ ცალკეული რიტმების მითვისებასაც კი ის მტკივნეულად განიცდიდა. ამიტომ ჩვეულებად ჰქონდა, რომ ერთ რვეულში ათობით ლექსიც რომ ჩაეწერა, თითოეულის ბოლოში აწერდა ხელს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ცხადი იყო, რომ გრაფემატული კვლევისთვის მდიდარი მასალა გვექნებოდა. თავდაპირველად პოეტის უმდიდრესი საარქივო მასალიდან

¹ გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-508, 5.

ამოვკრიფეთ ყველა ფაქსიმილე, შემდეგ თარიღიანი ხელნაწერების ფაქსიმილეები დავალაგეთ წლების მიხედვით, უთარიღოებისგან კი შევადგინეთ ცალკე ბაზა. კვლევა დავიწყეთ თარიღიანი ფაქსიმილეების შესწავლით, ფაქსიმილეს შემადგენელი ელემენტებისა და ელემენტებს შიგნით ტიპების გამოყოფით. აქაც, ისევე, როგორც ტექსტური ნაწილის ანალიზისას, დათარიღებისთვის განსაკუთრებით ფასოვანია მოხაზულობათა ის ტიპები, რომლებიც ავტორის ფაქსიმილეებს დროის კონკრეტულ ინტერვალში ახასიათებდა. ისეთები კი, როგორებიც თითქმის ყოველ წელს გვხვდება ან სულ რაღაც ერთი-ორჯერ, დათარიღებისთვის უსარგებლოა.

გალაკტიონმა ლექსების გამოქვეყნება 17 წლის ასაკში, 1908 წელს დაიწყო და იმთავითვე ნათელი გახდა მისი უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი. რამდენადაც ის ბუნებით ესთეტი იყო, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თავისი ლექსების ავტოგრაფების ქვეშ როგორი ფაქსიმილე იქნებოდა. ამიტომ ამაზე ბევრს მუშაობდა. მის რვეულებში არაერთგან შეხვდებით ერთმანეთის მიყოლებით დაწერილ უამრავ ფაქსიმილეს ან სხვადასხვაგვარად სტილიზებულ ხელმოწერებს, რომლებიც ფაქსიმილეზე მუშაობისა და მისი დახვეწის პროცესს ასახავს. ერთგან ხელმოწერას გემის ფორმა აქვს, სხვაგან – ორნამენტის, გრაფიკათა კონტურები ზოგან გამსხვილებულია, ზოგან წაგრძელებული ან კუთხოვანი, ზოგან კი სახელისა და გვარის ინიციალები ერთმანეთში შერწყმულია ან ერთმანეთში ჩასმული.



პოეტის არქივში დაცული ხელმოწერები შედგენილობის თვალსაზრისით სხვადასხვა სახისაა: სახელი და გვარი სრულად, სახელი შემოკლებით („გალ.“) და გვარი სრულად, სახელის ინიციალი და გვარი სრულად, სახელის ინიციალი და გვარი შუაში შემოკლებით („გ. ტ-ძე“), სახელი და გვარი ინიციალებით („გ. ტ.“), მხოლოდ სახელი (გალაკტიონი“), მხოლოდ სახელის ინიციალი („გ.“), სახელის ინიციალი და გვარი, რომლის ბოლო ასოები სწრაფი წერის გამო არაიდენტიფიცირებადია. ამ დაწერილობათაგან წლების მიხედვით

ყველაზე დიდ ვარიაციებს განიცდის ბოლო შემთხვევა, ტიპური, ავტომატიზირებული ფაქსიმილე, რომლის მიზანია ავტორზე მინიშნება და არა ყველა გრაფემის სრულყოფილად გამოსახვა.

გალაკტიონს, როგორც ჩანს, ძალიან მოსწონდა ფაქსიმილეებში სიმეტრიული ელემენტების არსებობა. ზემოთ საუბარი გვექონდა, როგორ გახადა მან სიმეტრიული იასინსკის გვარის ხელმოწერა. რაც შეეხება




საკუთარ ფაქსიმილეს, 1910 წლიდან ის იწყებს სახელისა და გვარის ინიციალებისთვის მუქი ჰორიზონტალური ხაზების დამატებას, რომ სიმეტრია აღქმადი იყოს. ზოგჯერ ამ ინიციალებს აერთიანებს ერთი ჰორიზონტალური გამუქებული ხაზით და ამსხვილებს ფაქსიმილეს მარჯვენა ნაწილში გაკრული ხელით ნაწერი ვერტიკალური ხვეულის ზედა და ქვედა ნაწილებს, რომლებიც სიმეტრიულია ასო გ-სთვის ან გ-სა და ტ-სთვის დამატებული ჰორიზონტალური ხაზების. ასეთი ფაქსიმილეები გვხვდება 1915 წლის ჩათვლით.



ფაქსიმილეში სიმეტრიის შემოტანის სურვილი გალაკტიონს ამის შემდეგაც რჩება, მაგრამ 1916 წლიდან ამისათვის ის აღარ იყენებს ვერტიკალურ ხვეულებს და ცდილობს, რომ სიმეტრია შემოიტანოს ფაქსიმილეში შემავალი გრაფემების ცალკეული რკალური ფორმების გამუქება-აქცენტირებით. ასეთებია, მაგალითად, ტ-ს მარჯვნივ გახსნილი რკალი და ე-ს მარცხნივ გახსნილი რკალი, რომლებიც ფაქსიმილეს თითქოს ჩარჩოში აქცევენ. როდესაც ფაქსიმილეში სახელი ინიციალით არის წარმოდგენილი, ბოლო ასო „ე“-სთან ამ სარკისებურ სიმეტრიას ქმნის არა გრაფემა „ტ“-ს, არამედ „გ“-ს მარჯვნივ გახსნილი რკალი.



1917 წლიდან პოეტი იწყებს სრულად დაწერილ სახელში „გალაკტიონ“ „გ“-სთან ერთად „ლ“-ს დამატებითი ხაზის, ზოგჯერ კი ხაზოვანი ო-ს ჰორიზონტალისა და „ნ“-ს ზედა ნაწილის გამუქებას.



შესაბამისად, ფაქსიმილეთა ქრონოლოგიური ბაზის შედარებითი კვლევით გამოიკვეთა სამი დროითი ინტერვალი. გაირკვა, რომ 1910-1915 წლებში იყენებს „გ“-სა და „ტ“-ს სიმეტრიას მათთვის ჰორიზონტალური ხაზების დამატებით და ასევე უმატებს ვერტიკალური ხვეულის გამუქებულ ზედა, ქვედა ან ორივე: ზედა და ქვედა ხაზებს, 1916 წლიდან იყენებს სახელის ინიციალისა და გვარში „გ“, „ტ“ და „ე“ გრაფემების ცალკეული რკალური მოხაზულობების გამუქებას, 1917 წლიდან კი დახრილად დაწერილი „გ“-ს ზედა ნაწილის, ლ-ს დამატებითი ხაზის, კუთხოვანი ო-ს ჰორიზონტალისა და ნ-ს ზედა რკალის სიმეტრიას.

უთარილო ტექსტების ფაქსიმილეების ბაზის კვლევის შედეგად გამოვლენილი ზემოხსენებული პირველი ნიშნის გამოვლენის გამო 1910-1915 წლებით დავათარილეთ საარქივო ერთეულები: ქლმ: 45, 416, 650, 651, 1330, 1319-1327, 1361, 2176; მესამე ნიშნის გამო 1916-ის შემდგომი პერიოდით: ქლმ 471-19, 507-2, 527-6, 603-12, 618-1, 637-8, 655-2, 1378 და 24551-242, ხოლო მეოთხე ნიშნის მიხედვით 1917 წლის შემდგომი პერიოდით: ქლმ 420-8, 488-1, 496-3, 638-10, 1378, 1678, 1718 და 3819. სულ დათარიღდა გალაკტიონ ტაბიძის 22 ლექსი, 1 პოემა, 1 პიესა, 14 დღიური და 2 პირადი წერილი. მართალია, ტექსტების ნაწილთან მიმართებით შევძელით დროითი ინტერვალის მხოლოდ ქვედა ზღვრის განსაზღვრა, მაგრამ თუნდაც ასეთი მიახლოებითი თარიღის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბიობიბლიოგრაფიაში მასალა ლაგდება ქრონოლოგიის მიხედვით და ტექსტის მიახლოებითი თარიღის განუსაზღვრელობის შემთხვევაში იგი წიგნში საერთოდ ვერ შეგვაქვს.

თუ გარდა იმისა, რომ ფაქსიმილეს მიხედვით ტექსტს ვათარილებთ 1910-1915 წლებით, მაგრამ მასში არის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ამ ინტერვალის შიგნით მხოლოდ კონკრეტულ პერიოდში იხმარება, დროის ინტერვალს შესაბამისად ვავიწროებთ.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ ორი სხვადასხვა კრიტერიუმით გამოთვლილი დროის ინტერვალები რაღაც მონაკვეთში იკვეთება და

შესაძლებელი ხდება დროის უფრო დაკონკრეტება. მაგალითად, ლექსის „ისევ ცრემლები...“ (გტცა N31, გვ. 2) ავტოგრაფი გრაფემების „გ“ და „ტ“ გამუქებული ჰორიზონტალური ხაზებით მიგვანიშნებს 1907-1910 წლებზე, ამავე ფურცელზე დაწერილი მეორე ლექსის „ბაირონისებური“ ავტოგრაფი (გტცა N31, გვ. 1) კი – 1910-1915 წლებზე. რამდენადაც ამ ორ დროით ინტერვალს საერთო აქვს 1910 წელი, ამ ფურცელზე განთავსებული ავტოგრაფები ყველა დაწერილი უნდა იყოს 1910 წელს.

გრაფმატული წყვილებისა და ფაქსიმილების კომპლექსური კვლევა (ია ლაღუა)

ციფრული ჰუმანიტარია თანამედროვე დისციპლინაა, რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციაზეა ორიენტირებული. თანამედროვე ციფრული ჰუმანიტარია მოიცავს სხვადასხვა მეთოდოლოგიას, როგორცაა მონაცემთა ვიზუალიზაცია, ტექსტთა ანალიზი თუ ციფრული არქივების შექმნა. გრაფმატიკა კი, როგორც წერითი სისტემებისა და მათი ელემენტების კვლევა, ისტორიულად ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კარგად აპრობირებული მიმართულებაა. გრაფემების ფუნქციისა და ევოლუციის ანალიზი წარმატებით გამოიყენებოდა შუასაუკუნეების ხელნაწერთა დათარიღებისთვის. გრაფემების ფორმათა ვარიაციების, ტექსტის სტრუქტურისა და ორთოგრაფიული ნიშნების შესწავლა-ანალიზის შედეგად ხერხდებოდა ხელნაწერის შექმნის კონკრეტული პერიოდის დადგენა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა შესაძლებლობა მისცა მკვლევრებს, წერითი სისტემების განვითარების პროცესები უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ და სხვადასხვა კულტურაში მათი ტენდენციები და ურთიერთობები გააანალიზონ. ეს პროცესი კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც მას ერთი მწერლის ხელნაწერთა დათარიღებისთვის ვიყენებთ.

გრაფმატული კვლევები ხელნაწერების დათარიღებაში უნიკალურ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის გვაძლევს საშუალებას, დეტალურად გავაანალიზოთ მწერლის წერითი სტილი, გრაფემების ევოლუცია და ამის საფუძველზე შევიქმნათ დასაბუთებული წარმოდგენა კულტურული-ისტორიული კონტექსტის შესახებ. ასეთი კვლევები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწერლის შემოქმედების კომპლექსურ ანალიზში. დაუთარიღებელი ხელნაწერები ხშირად კონტექსტის გარეშეა და, შესაბამისად, ძნელია მათი შინაარსის, მწერლის სტილის ევოლუციისა და ისტორიული მნიშვნელობის სრული შეფასება. გრაფმატული მიდგომა ამ პრობლემას ინოვაციურად წყვეტს, რადგან ის ტექსტის ვიზუალური და სტრუქტურული მახასიათებლების დეტალური ანალიზით ქმნის ახალ მტკიცებულებებს, არგუმენტებს, რომლებიც არა მხოლოდ დათარიღების,

არამედ ავტორის კულტურული და შემოქმედებითი კონტექსტის უკეთესად გაგებასაც უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევები სიახლეა, ზოგადი გამოცდილებისა და მონაცემების შეჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი მწერლის ხელნაწერების დათარიღებისას გრაფემატული კვლევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისთვის. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ ტექსტების ქრონოლოგიური სტრუქტურის შექმნის, არამედ მწერლის შემოქმედებითი ევოლუციისა და ისტორიულ კონტექსტში მისი როლის უფრო სიღრმისეული გაგებისაც. სწორედ ხელნაწერების დათარიღებითაა შესაძლებელი მწერლის ტექსტების ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა. ეს თანმიმდევრობა კი აუცილებელია იმის გასაგებად, თუ როგორ იცვლებოდა ავტორის ინტერესები, თემატიკა და წერის მანერა დროთა განმავლობაში. თითოეული გრაფემის ანალიზი, როგორცაა: გრაფემების ფორმისა და კალიგრაფიის შეცვლა, ორთოგრაფიული ნიუანსები თუ სხვა დეტალები, შეიძლება სტილისტიკური ცვლილებების ინდიკატორებად გამოდგეს. ამ ცვლილებების დადგენა კი გვეხმარება განვსაზღვროთ, როგორია მწერლის შემოქმედებითი პროცესის ეტაპები, მაგალითად, დასაწყისი ხანა, სტილის ჩამოყალიბება და შემდგომი ცვლილებების მიზეზიც და მიზანიც.

ხელნაწერის დათარიღება ისტორიული კონტექსტის რეფლექსიის საშუალებასაც გვაძლევს, რადგან დათარიღება ხელნაწერებს აკავშირებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან, სოციალურ გარემოსთან ან კულტურულ ტენდენციებთან. ეს დაკავშირება საშუალებას გვაძლევს, მწერლის ტექსტები ეპოქის ფართო კონტექსტში შევაფასოთ და უკვე არგუმენტირებულად დავასაბუთოთ, თუ როგორ აისახა ეს მოვლენები მის ნამუშევრებზე. ასევე, შეგვიძლია გავანალიზოთ, როგორ იცვლებოდა მწერლის ტექსტებში თემები და იდეები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მწერლის ცხოვრება და შემოქმედება სხვადასხვა ისტორიულსა და სოციო-კულტურულ პერიოდს მოიცავს.

გრაფემატული კვლევებისთვის შეირჩა გალაკტიონ ტაბიძის არქივი, რომლის უდიდესი ნაწილი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. გალაკტიონის არქივი

საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც თარიღიანი, ისე უთარილო ტექსტები და ეს მასალა დროის 53-წლიან ინტერვალს მოიცავს.

გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა გრაფიმატული კვლევა რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებდა - გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა კორპუსის ასო-ნიშანთა მოხაზულობების ვარიანტული ბაზების შექმნას, წლების მიხედვით მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოკვეთას, გადაბმების სპეციფიკის ანალიზს, ფაქსიმილეთა გრაფიმატულ ანალიზს, თითოეული ასო-ნიშნის კოდირებას - გრაფემის ერთეულის მოხაზულობის განვითარების ყველა ეტაპის წარმოჩენას წლების მიხედვით და, საბოლოოდ, ასეთი კომპლექსური ანალიზით უთარილო ტექსტების დათარიღებას.

გრაფიმატული კვლევისას ძირითადი საყრდენი გრაფიმათა მოხაზულობაა, მაგრამ ძალიან საინტერესოა დაკვირვება ასოთა გადაბმებზე, ბმის ელემენტებზე. ამის სანიმუშოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ „ზ“-ს რამდენიმე ასოზე ბმის ელემენტებზე დაკვირვება. ზოგადად „ზ“ გრაფემა, ცალკე აღებული, მოხაზულობის თვალსაზრისით გარკვეულ თავისებურებებს ავლენს გალაკტიონთან, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მისი სხვა ასოსთან ბმის თავისებურებებიც, რომელსაც თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ:

1. **„ზ“-სა და „ა“-ს გადაბმა:** დასაწყისში დომინირებს გადაბმის ტიპი, როდესაც „ზ“ ასოს ზედა მრგვალი ნაწილი გაგრძელებულია და ისეა მიერთებული შემდგომ „ა“ ასოსთან, გადაბმის ხაზი გამოკვეთილია. 20-იანი წლების დასაწყისში არ ჩანს გადაბმის ხაზი და „ა“ გრაფემა „ზ“ ასოს ზედა ნაწილთანაა მიერთებული. 40-იან წლებში ჩნდება გადაბმა „ზ“ ასოს ქვედა მრგვალი ნაწილიდან, რომელიც ზოგჯერ შეკრულია და ზოგჯერ გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ადრინდელი ტიპის (ზედა ნაწილით) გადაბმაც ჩნდება, უკვე დომინირებს გადაბმის ტიპი, რომელშიც „ზ“ გრაფემის ქვედა ნაწილია გადაბმული მეორე, „ა“ ასოსთან. შედეგი შეიძლება ასე გამოვსახოთ:

- **ზედა ნაწილით** გადაბმა: 10-იანი, 20-იანი, 30-იანი წლები




- ქვედა ნაწილით გადაბმა: 40-50-იანი წლები; ამ პერიოდში, ასევე, შეინიშნება ორივე ტიპის



გადაბმაც (ზედა ნაწილით გადაბმა გვხვდება 1942, 1949, 1952, 1959 წლებში)

2. „ზ“-სა და „ე“-ს გადაბმა:

- 1907-1908 წლებში „ზ“ გრაფემა „ე“-სთან გადაბმულია „ზ“ ასოს ქვედა მრგვალი ნაწილით.
- 10-იანი წლებიდან ბოლომდე „ზ“ ასო „ე“-სთან უმეტესად გადაბმულია „ზ“ გრაფემის ზედა მრგვალი ნაწილით. გადაბმის ხაზი უმეტესად წარმოადგენს „ე“ ასოს ზედა ნაწილს.





მართალია, 10-იანი წლებიდან ძირითადი ზედა ნაწილით გადაბმაა, თუმცა, ერთეულის სახით გვხვდება რამდენიმე შემთხვევა: 1928, 1930, 1937, 1938, 1946, 1949 და 1957 წლებში.



3. „ზ“-სა და „ი“-ს გადაბმა:

- 1907 წელს „ზ“ გრაფემა „ი“-სთან გადაბმულია „ზ“ ასოს ქვედა მრგვალი ნაწილით.
- 1909 წლიდან ბოლომდე „ზ“ ასო „ი“-სთან უმეტესად გადაბმულია „ზ“ გრაფემის ზედა მრგვალი ნაწილით გამოწვევის: ორივე ტიპის გადაბმა გვხვდება 1955 და 1959 წელს.




4. „ზ“-სა და „ო“-ს გადაბმა:

- 1907 წელს „ზ“ ასო „ო“-სთან გადაბმულია „ზ“ გრაფემის ქვედა მრგვალი ნაწილით. შემდეგ ასეთი გადაბმა გვხვდება 1953 და 1955 წელს. ამ გადაბმისას გამოყენებულია ერთფეხიანი „ო“ და „ზ“ გრაფემის ქვედა მრგვალი ნაწილი შეუკვრელია.



- 1911 წლიდან „ზ“ ასო „ო“-სთან უმეტესად გადაბმულია „ზ“ გრაფემის ზედა მრგვალი ნაწილით, რომელიც შეკრულია. ამ გადაბმისას გვხვდება ორივე ტიპის „ო“, თუმცა უფრო მეტად - ორფეხიანი „ო“.
- ორივე ტიპის (ზედა და ქვედა ნაწილებით) გადაბმის ცალკეული შემთხვევები გვხვდება 50-იან წლებში.



5. „ზ“-სა და „რ“-ს გადაბმა:

- 1907 წელს გადაბმა გვხვდება „ზ“ გრაფემის ქვედა მრგვალი, თავშეკრული ნაწილით. ამის შემდეგ ყველგან გვხვდება ზედა მრგვალი ნაწილით გადაბმა.
- ზედა ნაწილით გადაბმისას გადაბმის ხაზი მიერთებულია „რ“ ასოს ზედა თავთან.
- „ზ“-„რ“ გადაბმისას თითქმის ყოველთვის გამოყენებულია ერთფეხა „რ“, გარდა ერთი გამონაკლისისა, 1929 წელს, როდესაც ორფეხა „რ“ გვხვდება.




რასაკვირველია, გალაკტიონის ხელნაწერებში ასოთა ბმების თავისებურებები ბევრად უფრო ვრცელი და მრავალფეროვანია. თუმცა, აქ მოყვანილი რამდენიმე მაგალითით შევეცადეთ გვეჩვენებინა მათზე დაკვირვებისა და ანალიზის პროცესი. მიღებული მონაცემები, ცალკე აღებული, შესაძლოა, ვერ იძლევა გამოკვეთილსა და მყარ შედეგს დათარიღებისთვის, მაგრამ თუკი ამ მონაცემს კომპლექსურად, სხვა კომპონენტებთან ერთად გამოვიყენებთ, არგუმენტირებულ შედეგამდე მივალთ.

რაც შეეხება გალაკტიონის ფაქსიმილებს, ისინი მართლაც შესანიშნავი წყაროა და გვაძლევს საშუალებას, თვალი მივადევნოთ თითოეული გრაფემის განვითარებასაც და სტილიზებასაც. პოეტი ამ მხრივაც გამორჩეულია და მისი ხელრთვები საოცრად მრავალფეროვანია. არის პერიოდები, როდესაც ყოველ ლექსს ყოველ გვერდზე დართული აქვს ხელმოწერა; ასევე, ერთ გვერდზე რამდენიმე ხელმოწერაა, რაც გვაჩვენებს, როგორ ამუშავებს პოეტი მათ.

იმისთვის, რომ გამოგვეკვიათა გალაკტიონის ფაქსიმილეს თავისებურებები, ყველა ხელნაწერი დავამუშავეთ წლების მიხედვით და შევადგინეთ შესაბამისი ბაზა, რომელმაც საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით, როგორ ამუშავებდა პოეტი ხელწერას, რა კომპონენტს ამატებდა ან აკლებდა, როდის გვხვდებოდა სტილიზებული (მაგალითად, დაბოლოება ვიოლინოს გასაღების ფორმით). ანალიზის შედეგად გამოიკვიათა რამდენიმე თავისებურება, როგორცაა ის ფაქტი, რომ სიმეტრიისა და სტილიზებისთვის იყენებს როგორც ჰორიზონტალურ ხაზებს, ისე ასოების ნაწილებს.

როგორც აღმოჩნდა, თავდაპირველად სიმეტრიას ქმნის „გ“ და „ტ“ ასოების პარალელური ჰორიზონტალური ხაზების




გამკვეთრებით, რომელსაც ამატებს ხვეულებს როგორც გვარის დაბოლოებად, ისე ცალკე ნაწილად და ეს მოიცავს 1910-1915 წლის პერიოდს.


- „გ“ + ხვეულის ზედა და ქვედა დაბოლოება




- „გ“ + ხვეულის ზედა დაბოლოება




- „გ“ + ხვეულის ქვედა დაბოლოება



- „გ“ + „ტ“ + ხვეულის ზედა და ქვედა დაბოლოებები



მოგვხსენებათ, დათარიღება კომპლექსურ კვლევას მოითხოვს. შესაბამისად, ჩვენი შედეგი გადავამოწმეთ ერთი ისტორიულ-ბიოგრაფიული კონტექსტის მიხედვით. ფაქსიმილები, რომლებშიც სიმეტრია შექმნილია ასოების „გ“ და „ტ“ შუა ნაწილში ჰორიზონტალური ხაზების დართვით, გვაქვს დროის მოკლე ინტერვალში. არცერთი ხელნაწერი თარიღიანი არ არის და ამიტომ მახასიათებლის გამოყენების ინტერვალის დადგენას კვლევა დასჭირდა.



რამდენიმე ასეთი ხელმოწერა არის დიდ საერთო რვეულში 1912 წლის 12 მაისით და 1 ივნისის მომდევნო ახლო პერიოდით დათარიღებულ ტექსტებს შორის¹. გარდა ამისა, ასეთი ხელმოწერით ორგან გვხვდება ლექსი „ალბომში“², მაგრამ არცერთგან არ არის დროზე მინიშნება. ასეთივე ხელმოწერით მთავრდება რაისა ჩიხლაძისადმი მიწერილი უთარილო წერილი³. რაისა ჩიხლაძეს გალაკტიონი დაშორდა 1912 წლის შემოდგომამდე. მიხეილ ბოჭორიშვილის 1912 წლის ივნისით ან მომდევნო ახლო პერიოდით დათარიღებულ წერილში ის უკვე მოკითხვას უთვლის ოლია ოკუჯავას და აღარაფერს ეკითხება რაისაზე. ასეთივე ხელმოწერა გვხვდება პოეტის განუხორციელებელი პირველი წიგნის ლექსების ნუსხასთან, რომელიც 1912 წლის ოქტომბერზე გვიანდელი ვერ იქნება⁴, რადგან 22 ოქტომბერს გალაკტიონმა უკვე იცოდა, რომ წიგნი ვერ გამოვიდოდა. განხილული ავტოგრაფების მიხედვით ფაქსიმილეს ამ ტიპით ტექსტებს მიახლოებით ვათარილებთ 1912 წლის მაისი-ივნისით.

ასე რომ, კომპლექსურმა მიდგომამ მოგვცა საშუალება, მაგალითად, ბიოგრაფიული დეტალების გამოყენებით, განგვესაზღვრა ხელნაწერის პერიოდი და ამით დავკვირვებოდით ფაქსიმილეების გრაფემებს. მართალია, „გ“ და „ტ“ ასოების სტილიზებით შექმნილი ფაქსიმილეები მოიცავს 1910-1915 წლებს, მაგრამ თუკი ფაქსიმილეზე დართული ხვეულის ზედა ხაზი არაა გამუქებული, ეს არის 1912 წელი. ამან მოგვცა საშუალება, ხელნაწერთა დათარიღებისთვის უფრო კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩო განგვესაზღვრა.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, კვლევამ გამოკვეთა, რომ **1916 წლიდან ბოლომდე** ფაქსიმილეზე მუშაობისას ავტორი ამკვეთრებს მხოლოდ ასოებს.

1916, 1917
და 1919 წლებში
ერთეული



¹ გტცა N198, გვ. 71, 73, 75, 89.

² ავტოგრაფი, გტცა N69, გვ. 27. ავტოგრაფი, გტცა N1040, გვ.1.


³ ავტოგრაფი, ქლმ, 24551.16. გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 57.

⁴ ავტოგრაფი, გტცა N618.

შემთხვევები გვხვდება, 1921 წლიდან კი იწყებს ასოთა გამკვეთრებას: „გ“, „ლ“-ს ზედა ხაზი, „ტ“, „ნ“ და ზოგჯერ „ო“-ც:

მათ შორის:


- „გ“ + „ლ“-ს ზედა ელემენტი + „ნ“ (1921 და 1931 წლები).




პირველ

შემთხვევაში „ნ“-ს ზედა, მოხრილი ნაწილია გამკვეთრებული, მეორე შემთხვევაში - ქვედა, შერთების ნაწილი, რომელსაც გამკვეთრებით დაუკარგა სიმრგვალე.


- „გ“ + „ლ“-ს ზედა ელემენტი 1922, 1926 წლები.



- „გ“ + „ლ“-ს ზედა ელემენტი + „ტ“ 1922 წ.



- „ტ“ + „ე“ 1950 წელი



- „გ“ + „ლ“-ს ზედა ელემენტი + „ნ“ + „ო“ 1922 და 1933 წლები



- „გ“ + „ტ“ + „ე“ 1925 და 1949 წლები



ფაქსიმილეთა სტილურ სახესხვაობებზე დაკვირვებისა და გრაფემატული ანალიზის საფუძველზე დათარიღებისთვის გამოვიყენეთ მიღებული დასკვნა, რომ გალაკტიონი 1910-1915 წლებში ამკვეთრებს **გ და ტ** ასოებს და ფაქსიმილეს დაბოლოებას დართულ **ზედა და ქვედა, ჰორიზონტალურ ხაზებს**, ხოლო 1916 წლიდან გარკვეულწილად ცვლის დამოკიდებულებას, არ იყენებს პარალელურ ხაზებს და ამკვეთრებს მხოლოდ ასოებს, ძირითადად - „გ“, „ლ“-ს **ზედა ხაზს**, „ტ“, „ნ“ ასოებსა და ზოგჯერ „ო“-საც. 1916-1919 წლებში ამის ერთეული შემთხვევები გვაქვს. ძირითადად კი ამ ტიპის მუშაობას იწყებს 1922 წლიდან და აგრძელებს ბოლომდე, 1958 წელსაც გვხვდება სტილიზებული ასოები.

ფაქსიმილეს ანალიზის ამ ქრონოლოგიურმა ჩარჩომ და ასევე, კვლევისას გამოკვეთილმა სხვა გრაფემატულმა თავისებურებებმა საშუალება მოგვცა, დაგვეთარიღებინა დაუთარიღებელი ხელნაწერები.

გრაფემატული კვლევა ქმნის იმ საფუძველს, რომელიც ხელნაწერთა შინაარსის, სტრუქტურისა და ისტორიული მნიშვნელობის სიღრმისეული ანალიზისთვისაა აუცილებელი. ერთი მწერლის ნაწერების გრაფემატული კვლევებით დათარიღება კი არა მხოლოდ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას აღადგენს, არამედ მწერლის შემოქმედებითი გზის, წერის სტილის განვითარებისა და კონტექსტის გაგების შესაძლებლობას განაპირობებს. სწორედ ამიტომ იძლევა გრაფემატული კვლევები იმის მყარ საფუძველს, რომ მიღებული დასკვნა იყოს არგუმენტირებულად დასაბუთებული და არა ჰიპოთეზური.


შედეგად, ვფიქრობთ, გრაფემატული კვლევები, ციფრული ანალიტიკური ტექნოლოგიების პარალელურად, კიდევ უფრო გაფართოვდება და შესაძლებლობას მისცემს მკვლევრებს, შექმნან ხელნაწერთა დათარიღების სისტემური მეთოდოლოგიები. ეს ხელს შეუწყობს ისტორიული ტექსტების ინტერაქციულ კვლევას, მწერლის შემოქმედების განვითარების ზუსტ რეკონსტრუქციას და მისი მემკვიდრეობის უფრო ფართო ინტერპრეტაციას.

გალაკტიონის ორ რვეულში მოთავსებული უთარილო ლექსებისა და ჩანაწერების კომპლექსური კვლევა (გიორგი კალანდაძე, ლევან ბებურიშვილი)

ერთ-ერთი გამოწვევა, რაც სადღეისოდ გალაკტიონოლოგიის წინაშე არსებობს, არის პოეტის უთარილო ლექსებისა და ჩანაწერების დათარიღება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია კვლევის კომპლექსური მეთოდის მომარჯვება, რაც გულისხმობს გრაფემატული, ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების ინტეგრირებას. გრაფემატული კვლევა მნიშვნელოვანი სიახლეა ქართული სამეცნიერო სინამდვილისთვის. ამ მეთოდმა შესაძლებლობა მოგვცა, გარკვეული შედეგები მიგველო გალაკტიონის უთარილო ტექსტების მიახლოებით თუ ზუსტი თარიღის განსაზღვრის თვალსაზრისით.

გალაკტიონ ტაბიძის ვრცელი ციფრული ბაზიდან ამოვკრიბეთ მისი ყველა ხელმოწერა. გავყავით ისინი ორ ნაწილად - თარიღიანებად და უთარილოებად, თარიღიანი ფაქსიმილეები კი დავაჯგუფეთ წლების მიხედვით. ავტოგრაფებიდან პროგრამა Paint 3d საშუალებით ამოვჭერით ფაქსიმილეები იმგვარად, რომ სრულად ყოფილიყო წარმოჩენილი მათი ყველა დეტალი. ამგვარად, ჩვენს წინ გადაიშალა გალაკტიონ ტაბიძის ფაქსიმილეების მრავალწლიანი სპექტრი. ამ პანორამამ საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით და გამოგვეყო ის თავისებურებანი, რომლებიც ამა თუ იმ წლის ფაქსიმილეებს ახასიათებდა. შემდეგ ისინი შევუდარეთ უთარილო ხელნაწერებს, რითაც დადგინდა არაერთი უთარილო ავტოგრაფის სავარაუდო თარიღი.

მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ხელმოწერის ბოლოს ვერტიკალური ხვეულები მხოლოდ 1908-1915 წლებში გვხვდება და ამ პერიოდის თვალსაჩინო თავისებურებაა.



ეს სპეციფიკური მახასიათებელი შეგვხვდა უთარილო ხელნაწერებშიც, რამაც მათი შექმნის სავარაუდო ინტერვალად შემოსაზღვრა 1908-1915 წლები. ცალკეული ასოების გრაფემატული კვლევით სავსებით

დამაჯერებლად გამოიკვეთა, რომ ორკალიანი „დ“ და ზემოთ დამატებითხაზიანი „ლ“, თუ მათთან ერთად კომპლექსში არ არის სპეციფიკური „გ“ გრაფემა (რომელიც მხოლოდ 1908 წლის აპრილიდან 1911 წლამდე ინტერვალშია), მხოლოდ 1911 წლიდან გვხვდება. შესაბამისად, ფაქსიმილეებით განსაზღვრული დროის ინტერვალი 1908-1915 დავიწროვდა და გახდა 1911-1915. ამ პრინციპით დათარიღდა პოეტის ლექსები: „მეოთხე მხარე“ („ვარსკვლავთა ზევით, ვარსკვლავთა ზევით...“ (ა-1378-3), „ხედავ ამ ყვავილს...“ (ა-1321), „ვიდექი ხიდთან... ხავსიან კლდეს გადაყრდნობილი...“ (ა-1319), „მიყვარდა იმ დროს...“ (ა-1320), „ვარდი სილაში“ („ქარმა კარები შემომატვრია...“ (ა-1322), „ოცნებავ, ღმერთავ!..“ (ა-1323), „პირველი ფოთლით იმოსება ტყე...“ (ა-1324), „თანდათან ბნელდება, ბნელდება, ბნელდება...“ (ა-1325), „ხატის წინ“ („ისმოდა ჩქარი გრგვინვით „ოსანნა“... (ა-1326), „ავივდა, მალე მოვა ზამთარი...“ (ა-1327), „მივექრვიარ და სიყრმიდან...“ (ა-1361), „ელეგია“ („მე ვიგონებდი სიყმაწვილის დროს“... (ა-1330) და მრავალი სხვა.

კომპლექსური კვლევა დაგვეხმარა პოეტის არქივში დაცული ორი უთარილო რვეულის (№415 და 416) მასალის დათარიღებაშიც. თავდაპირველად ვისაუბრებთ 415-ე რვეულზე და უპირველესად შინაარსობრივი თვალსაზრისით მიმოვიხილავთ მასში წარმოდგენილ მასალებს.

რვეულის პირველ გვერდზე ვხვდებით ორ ლექსს. პირველი მათგანს – „სიცივეში“, ეპიგრაფად უძღვის ლაფორგის რუსულენოვანი ციტატა. პოეტს ლექსზე მუშაობა შეუჩერებია და დაწერილი სტრიქონები გადაუხაზავს. იმავე გვერდზეა ჩაწერილი ლექსი „გამომეცხადე“, რომელიც გალაკტიონის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

მეორე გვერდზე წარმოდგენილია ასევე დაუმთავრებელი ლექსი, რომელსაც თავდაპირველად „წინასწარმეტყველი“ რქმევია, თუმცა შემდეგ პოეტს სათაური გადაუხაზავს.

რვეულის მესამე-მეოთხე გვერდები უკავია დაუმთავრებელ მოთხრობას „ქარიშხლიანი ღამე“. მცირე პროზაულ მონაკვეთში მოთხრობილია სატუსალოდან ახლად გამოსულ იორამ ავალიშვილზე, რომელსაც დახმარებას სთავაზობს ახალგაზრდა სკოლის მასწავლებელი.

მეხუთე გვერდზე ვხვდებით რუსულ ენაზე გაკეთებულ ასეთ ჩამონათვალს: „1. Студент драгун. 2. Будущая Патти. 3. Певчий. 8. Вор. 9.

Худоник, пожарный. 10. Квартирная хозяйка. 12. Босьяк. 13. Вор. 14. Худодник. 15. Заяц... 29. В цирке.“ გავარკვიეთ, რომ ეს არის იმ მოთხრობათა სათაურები, რომლებიც შესულია ალექსანდრ კუპრინის პროზაულ ციკლში „კიევიური ტიპები“ („Киевские типы“, 1895-1897 წწ). შესაძლოა, გალაკტიონი გაეცნო ამ მოთხრობებს და ჩაინიშნა რვეულში, როგორც წაკითხული, დამუშავებული მასალა.

მე-6-7 გვერდებზე წერია რუსულენოვანი ლექსი „Черный ворон“. გავარკვიეთ, რომ იგი წარმოადგენს გალაკტიონის ლექსის „შავი ყორანი“ თარგმანს. რამდენადაც ტექსტი ხელნაწერში მნიშვნელოვნად არის ნასწორები, აშკარაა, რომ იგი ასახავს თარგმნის პროცესს და სხვა წყაროდან გადმოწერილი ვერ იქნება. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ხელწერა არ ჰგავს გალაკტიონისას, უნდა გვეფიქრა სავარაუდო სხვა პირზე. 1911 წლის მომდევნო წლებში გალაკტიონის რვეულში ყველაზე დიდი ალბათობით ჩანაწერები შეიძლება გაეკეთებია ოლია ოკუჯავას და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ის ნამდვილად თარგმნიდა გალაკტიონის ლექსებს, საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად გადაწყვიტეთ ჩაგვეტარებინა დღიურში ჩაწერილი რუსულენოვანი თარგმანის შედარებითი გრაფემატული კვლევა გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას ავტოგრაფებთან. კვლევამ აშკარად აჩვენა, რომ თარგმანი შესრულებულია არა გალაკტიონის, არამედ ოლია ოკუჯავას მიერ. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინთ დაკვირვებას რუსულ გრაფემაზე „р“, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ ასახავს მათ ხელწერებში არსებულ სხვაობას:

(დღ. 415)

(გალაკტ.)

(ოლია)

აშკარაა, რომ ხელწერა ოლია ოკუჯავასია და თარგმანიც მას უნდა ეკუთვნოდეს.

რვეულის მე-8 გვერდზე იმავე (ოლია ოკუჯავას) ხელით ფანქრით ჩაწერილია რობერტ ბერნსის ლექსი „ძველი ტკბილი დრო“ („Доброе старое время“). ტექსტს მიწერილი აქვს მთარგმნელის გვარი. გალაკტიონის საარქივო გამოცემის შემდგენელთა მიერ მინაწერი ამგვარადაა გაშიფრული „Л. Андр.“, რამაც ზოგიერთს შეიძლება აფიქრებინოს, რომ იგულისხმება ლეონიდ ანდრეევი, რუსული მოდერნიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. თუმცა, თუ კარგად

დავაკვირდებით, ხელნაწერში აშკარად იკითხება „Л. Андрусон“. ლეონიდ ანდრუსონი (1875-1930) იყო ფინური წარმოშობის რუსი პოეტი, რომელიც რუსულად თარგმნიდა ევროპელი ავტორების, მათ შორის რობერტ ბერნსის შემოქმედებას.

ზემოთ განვიხილეთ ფაქსიმილეებისა და გრაფემატული ანალიზის მიხედვით ხელნაწერთა 1911-1915 წლებით დათარიღების შემთხვევები. ასეთი ვითარება გვაქვს დასახელებულ დღიურშიც, მაგრამ ერთმა დეტალმა შესაძლებელი გახადა ჩანაწერების შექმნის დროის ქვედა ზღვრის კიდევ უფრო დაზუსტება. როგორც აღინიშნა, რვეულში ვხვდებით ოლია ოკუჯავას ხელნაწერებს. გარდა იმისა, რომ მას აქ ჩაუწერია რობერტ ბერნსის ლექსი, ასევე უთარგმნია გალაკტიონის ლექსი „შავი ყორანი“. ეს მიგვანიშნებს ამ პირთა ახლო ურთიერთობაზე. ცნობილია, რომ გალაკტიონმა და ოლიამ ერთმანეთი 1912 წელს გაიცნეს და ამავე წელს დაახლოვდნენ. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია 1912 წლამდე ოლიას გალაკტიონის რვეულში რაიმე ჩაეწერა. აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე 415-ე დღიურში წარმოდგენილი მასალა არა 1911-1915, არამედ 1912-1915 წლებით დავათარიღეთ.

რაც შეეხება 416-ე დღიურს: ისიც არსობრივად საერთო რვეულია, რომელშიც ლექსები და ჩანაწერებია თავმოყრილი. იგი იხსნება რუსულენოვანი უსათაურო ლექსით „Бывает - при шуме угрюмого града...“ ნაწარმოების მხატვრულ სახეთა შედარებითი ანალიზით დავადგინეთ, რომ იგი წარმოადგენს თარგმანს გალაკტიონისავე ლექსისა „ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“, რომელიც პოეტის პირველ წიგნში (1914) დაიბეჭდა.

მეორე გვერდზე ჩამოწერილია პირთა სია, გვერდზე ქალაქების მითითებით: „საჩხერეში – კატია იოსელიანი. კასპში – კნ. მარიამ ამილახვართან. მიხაილოვში – ალექსანდრე შჩელკანოვთან...“ და ა. შ. ესაა წიგნის გამავრცელებელი აგენტების სია. პირველ წიგნზე სარედაქციო მუშაობისას გალაკტიონი ამ საკითხს საგანგებო ყურადღებას აქცევდა. ეს ის წიგნია, რომლის გამოცემაზეც 1911 წლიდან ზრუნავდა, მაგრამ ვერ განახორციელა.

მეორე-მესამე გვერდებზე ვხვდებით ლექსებს „გუგუნს იწყებს ტყე და ფოთოლთ აირევა ჯარი...“ და „შრიალი“, რომლებიც პოეტს შემდეგ

გაუერთიანებია და იქვე (მე-3 გვ.) დაუწერია ახალი ლექსი „ფოთლების შრიალი (ღმერთებთან)“.

მეხუთე გვერდზე გადახაზულია უსათაურო ლექსი „იყავი ჩემთვის, იყავი ჩემთან...“

მეშვიდე გვერდზე წარმოდგენილია ლექსი „ტრიოლეტები“.

მერვე გვერდზე ვხვდებით რუსულ ტექსტს, რომელშიც ფიოდორ ტიუტჩევის შემოქმედების პოეტიკური თავისებურებებია დახასიათებული. გამოირკვა, რომ ეს ამონაწერი გაკეთებულია ვალერი ბრიუსოვის შესავალი წერილიდან, რომელიც თან ერთვის ტიუტჩევის სრულ თხზულებათა კრებულს (10-იან წლებში წიგნი რამდენჯერმე გამოიცა).

დღიურის მომდევნო გვერდებზე (გვ. 9-11) ამავე გამოცემიდან გალაკტიონს ამოუწერია შიდა რითმების, ალიტერაციის, ასონანსის, ანაფორის, ონომატოპოეტური მეტყველების შემცველი ცალკეული სტროფები და სტრიქონები. ამ პოეტური ხერხების ნიმუშებად ასევე მოტანილია გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის ტაეპები.

კომპლექსური კვლევის საშუალებით შესაძლებელი გახდა 416 ნომრით დაცული დღიურის დაწერის წლების მონაკვეთის დაზუსტება. როგორც აღინიშნა, გალაკტიონის ხელნაწერში ორფეხიანი „დ“, თუ მას არ ახლავს სპეციფიკური „გ“, 1911 წლიდან გვხვდება. ასეთი სურათი გვაქვს 416-ე დღიურის მასალებშიც. აქედან გამომდინარე, იგი 1911 წლით, ან მომდევნო პერიოდით დავათარიღეთ.

ზემოთ ითქვა, რომ გალაკტიონს ამონარიდები გაკეთებული აქვს ვალერი ბრიუსოვის წინასიტყვაობიდან, რომელიც წინ უძღვის ტიუტჩევის კრებულს. ბუნებრივია, დავინტერესდით, რომელი წლიდან ერთვებოდა ეს წინასიტყვაობა რუსი პოეტის გამოცემებს და ხომ არ მოგვემდა ეს რამე დამატებით შესაძლებლობას, უფრო დაგვეზუსტებინა თარიღი. ტიუტჩევის გამოცემებზე თარიღები 1911 და 1912 ბეჭდურად მითითებული არ არის და უნდა ითქვას, რომ რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულ და ცალეზე ფანქრით მითითებული და კატალოგში კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ეს წლები აშკარად

შეუსაბამოა:

— ИЗДАНИЕ СЕДЬМОЕ, —
ВНОВЬ ПРОСМОТРѢННОЕ.

ИЗДАНИЕ Т-во А. Ф. МАРКСЪ, С.-ПЕТЕРБУРГЪ
1911.

Тютчев, Федор Иванович (1803-1873).

Полное собрание сочинений / Ф.И. Тютчев; С крит.-биогр. очерком В.Я. Брюсова, библиогр. указ., примеч., вариантами, факс. и портр.; Ред. изд. П.В. Быкова. - 6-е изд испр. и доп. - Санкт-Петербург : Т-во А.Ф. Маркс, [1912]. - XLVIII, 694 с., 1 л. фронт.

1911 წლისას აწერია, რომ მეშვიდე გამოცემა და 1912 წლისას – 6. გარდა ამისა, ამ „სავარაუდო“, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულ წლებს თუ დავუჯერებთ, 1913 წელს ტიუტჩევის სრული კრებული ორჯერ გამოცემულა ერთსა და იმავე გამომცემლობაში ერთი და იმავე პირისა და წინასიტყვაობის ავტორის მიერ, მაგრამ სხვადასხვა მოცულობით (712 / 468).

Полное собрание сочинений / Ф.И. Тютчев; Под ред. [и с предисл.] П.В. Быкова; С крит.-биогр. очерком В.Я. Брюсова, библиогр. указ., примеч., вариантами, факс. и портр. - 8-е изд. - Петроград : Т-во А.Ф. Маркс, [1913]. - [2], XLVIII, 712 с., 1 л. фронт.

Полное собрание сочинений Ф.И. Тютчева / Полное собрание сочинений Федора Ивановича Тютчева / С крит.-биогр. очерком В.Я. Брюсова, библиогр. указ.

[произведений Ф.И. Тютчева, сост. П.В. Быковым], примеч., вариантами, факс. и портр.; Под ред. [и предисл.] П.В. Быкова. - Санкт-Петербург : Т-во А.Ф. Маркс, 1913. - 468 с., 1

468-გვერდიან გამოცემას წელი ბეჭდურად აწერია, ყველა სხვა წელი კი საფუძვლიან ეჭვს იწვევს. შესაბამისად, ცალსახად ვერ გავარკვეით, 1911 წლის გამოცემაში იყო თუ არა უკვე მოთავსებული ბრიუსოვის წინასიტყვაობა, რომელიც თავად 1911 წლით არის დათარიღებული. გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში, მართალია, არის ამ წიგნის 1913 წლის გამოცემა, მაგრამ, რამდენადაც მასში შესაბამისი ადგილები მონიშნული არ არის, ვერ ვიტყვით, რომ პოეტმა აუცილებლად ამ გამოცემიდან გადაწერა წინასიტყვაობის ფრაგმენტები და ლექსები. შესაძლოა, გარკვეულწილად ნაკლებად მოსალოდნელიც იყოს წინასიტყვაობის ვრცელი პასაჟების გადაწერა რვეულში იმ წიგნიდან, რომელიც პირად საკუთრებაში გაქვს, თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმას, რომ ჩანაწერი 1913 წელს სხვისი წიგნიდან გაეკეთებინა და თავად ეს წიგნი უფრო გვიან შეეძინა. მიუხედავად ამ ეჭვებისა, ფაქტობრივი ყველაზე მყარი მოცემულობით (წინასიტყვაობასთან მითითებული 1911)

იძულებულები ვართ, ეს ჩანაწერებიც და მთლიანად დღიური 1911 წლით ან შემდგომი პერიოდით დავათარილოთ.

როგორც ვხედავთ, ფაქსიმილეებისა და ცალკეული ასო-ნიშნების გრაფიმატული კვლევით შესაძლებელი გახდა გალაკტიონ ტაბიძის არაერთი ლექსისა და დღიურის მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა. ამასთან ერთად კვლევის კომპლექსურმა მიდგომამ - ისტორიულ-შედარებითი, კოდიკოლოგიური, გამორიცხვის და სხვ. მეთოდების გამოყენებამ ლექსებისა და ჩანაწერების თარიღების უფრო მეტად დაზუსტების საშუალებაც მოგვცა.

არჩევანი ორი ალტერნატიული თარიღიდან (მაია ნინიძე)

გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს შედგენისას ჩვენი ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის უკვე გამოცემული პირველი 5 ტომი იყო. მეხუთე ტომში შეტანილი ლექსის „მერის თვალებით“ შესახებ ანოტაციების მომზადებისას გაგვიჭირდა ტომში მოცემული შენიშვნის გაზიარება. მასში ვკითხულობთ: „ლექსი დაწერილია ოლია ოკუჯავას ბოლო გადასახლების (1936, ნოემბერი) ახლო ხანებში. პირველად „მერის თვალებით“ დაიბეჭდა 1937 წელს. ტექსტის დაწერის თარიღია არა 1916 თუ 1914 წელი, როგორც ავტოგრაფსა და გამოცემებშია აღნიშნული, არამედ, დიდი ალბათობით, 1936 წლის მიწურული. კონკრეტული ტრაგიკული ფაქტის შესანიშნავად გალაკტიონმა ნაწარმოები „შავბნელ წარსულში“ გადაიტანა“¹. გალაკტიონის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში მითითებული თარიღები რომ არასდროს სანდო არ არის, ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა, მაგრამ ძნელია ასეთ ფალსიფიკაციაზე საუბარი, როდესაც არსებობს ავტოგრაფი, რომელსაც შემოქმედებითი პროცესის კვალი აშკარად ეტყობა (რადაცები გადახაზულია და იმავე მელნით იქვეა შესწორებული) და ბოლოში იმავე მელნით იმავე სტილში აქვს მიწერილი თარიღი. საუბარი გვაქვს ლექსის „მერის თვალებით“ ერთადერთ სრულ ავტოგრაფზე ა-142-1, რომელსაც ბოლოში თარიღად მიწერილი აქვს 1914. არსებობს ამ ლექსის დასაწყისის კიდევ ერთი ავტოგრაფი ა-142-3, რომელიც ასევე იასამნისფერი მელნით არის ნაწერი და ნასწორები. ეს ავტოგრაფი სრულ ვარიანტთან შედარებით ქრონოლოგიურად უფრო ადრეული უნდა იყოს, რადგან ბევრად უფრო ნასწორებია და მასში გადახაზული 15 სიტყვიდან ლექსის სრულ ვარიანტში მხოლოდ ერთი მეორდება. რამდენადაც ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში ავტოგრაფი ყველაზე სანდო ავთენტურ წყაროდ ითვლება, გადავწყვიტეთ ამ ლექსის ორივე ავტოგრაფის ფუნდამენტური კვლევა

¹ გ. ტაბიძე, „თხუთმეტტომეული“, ტ. V, თბ., 2016, გვ. 376.

მისი დაწერის თარიღზე მიმანიშნებელი რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით.

ვიოლინოს გასაღები

ავტოგრაფული ტექსტის დათარიღებაში ხშირად გვეხმარება იმავე ფურცელზე გაკეთებული მინაწერები. ფრაგმენტული ავტოგრაფის (ა-142-3) ფურცელზე ჩვენი ყურადღება მიიქცია გალაკტიონის რუსულმა ხელმოწერებმა, რომელთა ქვედა ნაწილში გამოსახულია ვიოლინოს გასაღები. ეს ხელმოწერა ოთხჯერ მეორდება და რამდენადაც ამ იასამნისფერი მელნით არის ნაწერი როგორც ამავე ფურცელზე განთავსებული ფრაგმენტული ავტოგრაფი, ისე სრული ავტოგრაფის (ა-142-1) ქვედა შრე, დიდი ალბათობაა, რომ ისინი თანადროული იყოს. ასეთივე ხელმოწერა გვხვდება სრული ავტოგრაფის უკანა მხარესაც, მაგრამ იგი მუქი მწვანე მელნით არის ნაწერი და ტექსტის გვიანდელი სწორების შრეს ემთხვევა. ეს ერთ რამეზე მიგვანიშნებს, რომ ა-142-1 ფურცელზე მწვანე მელნით ლექსის სწორებისას გალაკტიონს წინ ედო არასრული ავტოგრაფის შემცველი ა-142-3 ფურცელიც.

საგულისხმოა, რომ ა-142-1 ავტოგრაფის ფურცელზე ასეთივე ვიოლინოს გასაღებით ბოლოში მწვანე მელნით გაკეთებულია კიდევ ერთი რუსული ხელმოწერა – „В. Шарабидзе“. გავარკვეით, რომ ვიქტორ



შარაბიძე იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გალაკტიონის სიმღერის მასწავლებელი, რომლისგანაც გადმოიღო პოეტმა ასეთი სპეციფიკური ხელმოწერა. გალაკტიონის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ვიქტორ შარაბიძე: მოაწერდა ხელს შარაბიძე ბავშებისათვის რაღაც უცნაურად, ჩემთვის კი ძლიერ გასაგებად. შარაბიძე: ამ ძეს ქვევით გაჰკრავდა სწრაფი ჯერ ერთი, მერე მოუხვევდა მეორე ხაზით, მერე კიდევ მესამე ხაზს მიამატებდა. ეს იყო ნოტის ხაზები და ამ ხაზებზე ისევე სწრაფად და ლამაზად გაიყვანდა ნოტების გასაღებს, რომ

გაოცებას ვეძლეოდი. ჩემს მეტს არავის ყურადღება არ მიუქცევია ამ მომენტისთვის; თითქო ჩვეულებრივი ხელისმოწერაა: მაგრამ ამ ხელის მოწერაში ჩართული იყო სპეციფიკა მუსიკის, პროფესიონალიზმა ხელის მოწერის...¹“. როგორც ჩანს, როდესაც გალაკტიონმა ლექსის „მერის თვალებით“ მწვანე მელნით სწორება დაიწყო და ამ ლექსის ფრაგმენტის ხელნაწერზე თავისი ვიოლინოსგასაღებიანი ხელმოწერები დაინახა, გაახსენდა, ვის ბაძავდა ხელის ასე მოწერით და, გარდა იმისა, რომ გააკეთა თავისი ვიოლინოსგასაღებიანი ფაქსიმილე, ვიქტორ შარაბიძის ხელმოწერაც გაიმეორა. ამ მინაწერებზე დაკვირვებით გაირკვა მხოლოდ ის, რომ მწვანე მელნით სწორებისას გალაკტიონს წინ ედო ლექსის ავტოგრაფის არა მხოლოდ სრული ვერსია, არამედ ფრაგმენტულიც, მაგრამ ეს არაფერს გვეუბნება ლექსის პირველი შრის დაწერის თარიღზე. ვიქტორ შარაბიძესთან ურთიერთობა პოეტს ჰქონდა 1908 წლამდე და ეს ხელმოწერები შეიძლება გაეხსენებინა როგორც 1914, ისე 1936 წლებში.

Кукрыниксы

გავაგრძელებთ მწვანე მელნით გაკეთებული მინაწერების კვლევას. თუ რომელიმე მინაწერი ცალსახად მიგვანიშნებდა, რომ მისი ზედა ზღვარი 1936 წელზე ადრეული იყო, გამოირიცხებოდა ლექსის დაწერა ოლია ოკუჯავას დაპატიმრების შემდეგ. ჩვენი ყურადღება მიიქცია სიტყვამ Кукрыниксы. გავარკვიეთ, რომ იგი შედგება სამი ცნობილი კარიკატურისტის გვარის აბრევიატურისგან (**Куприянов + Крылов + Николай Соколов**, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობდა ფსევდონიმით **Никс**). ეს სამეული შეიკრა 1924 წელს. შესაბამისად, ლექსის სწორებაც და მინაწერების გაკეთებაც 1924 წლის შემდეგდროინდელი უნდა იყოს. ეს კი გავარკვიეთ, მაგრამ ჩვენ გვჭირდებოდა ზედა ზღვრის დადგენა, რაც ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ კუკრინიქსები გალაკტიონის გარდაცვალებამდე აგრძელებდნენ მუშაობას.

მიმართება პუბლიკაციასთან

მწვანე მელნით შეტანილი ცვლილებების დროის გასარკვევად გადავწყვიტეთ შეგვემოწმებინა, მასში შეტანილი შესწორებები ლექსის

¹ გ. ტაბიძის ჩანაწერი, ქლმ, დ-508, 5.

რომელ ბეჭდურ წყაროშია გათვალისწინებული. აღმოჩნდა, რომ ეს ცვლილებები გათვალისწინებული არ არის არცერთ ბეჭდურ წყაროში. ყველა მათგანი მისდევს ავტოგრაფის ქვედა შრეს. ეს გამოცემებია 1937 წლით დათარიღებული თხზულებათა პირველი ტომი, 1944, 1954 და 1959 წლების რჩეულები და 1959 წელს საბავშვო გამომცემლობის მიერ გამოცემული კრებული.

ლექსის დაწერის ზედა ზღვრის დასადგენად შევეცადეთ გაგვერკვია, როდის გადასცა გალაკტიონმა გამომცემლობას თხზულებათა პირველი ტომი. წიგნზე აღბეჭდილი ინფორმაციის მიხედვით, ეს მოხდა 1936 წლის 11 ნოემბერს. რამდენადაც აქ გამოქვეყნებული ტექსტი ითვალისწინებს ა-142-1 ავტოგრაფის მელნისფერ შრეში შეტანილ შესწორებებს და არ ითვალისწინებს მწვანე მელნით მასში შეტანილ ცვლილებებს, მელნისფერი შრე დაწერილი და ამავე მელნით ნასწორები უნდა იყოს 1936 წლის 11 ნოემბრამდე, ხოლო მწვანე მელნით განხორციელებული ცვლილებები შეიძლება ნებისმიერ დროს გაკეთებულიყო 1936 წლის 11 ნოემბრის შემდეგ.

რამდენადაც ოლია ოკუჯავა დააპატიმრეს 1936 წლის 16 ნოემბერს, ლექსის დაწერის თარიღად ვერ გამოვრიცხავთ ამ წელს, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით ვერც ავტოგრაფთან მიწერილი 1914 წლის გასაბათილებლად.

იასინსკი

ლექსის „მერის თვალებით“ სრულ ავტოგრაფთან (ა-142-1) გალაკტიონის მიერ მწვანე მელნით ორჯერ არის გაკეთებული ვინმე იასინსკის ხელმოწერა, ერთხელ ინიციალის გარეშე და ერთხელ ინიციალით „I“. იმის გასარკვევად, თუ ვისი ინიციალია ეს და პოეტის ცხოვრების რომელ ეტაპს შეიძლება უკავშირდებოდეს, ჩავატარეთ კორპუსული კვლევა.

ვისაც გალაკტიონ ტაბიძის არქივი ან ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებული მისი არაჩვეულებრივი ვებგვერდი თუნდაც ზერელედ გადაუთვალისწინებია, მისთვის ნაცნობი იქნება ის ფაქტი, რომ მწერალი სხვადასხვა დროს მუშაობდა საკუთარი ფაქსიმილეს დამუშავებაზე და ადრეული თუ გვიანდელი პერიოდის არაერთი ფურცელია გადავსებული მისი ფაქსიმილებით. ეს საკვებით ბუნებრივია

ისეთი ესთეტიკისთვის, როგორც გალაკტიონი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არაერთ ფურცელზე ამუშავებს ის ვინმე იასინსკის ხელმოწერასაც.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ იასინსკის გვარის ხელმოწერებიანი თითოეული ფურცელი. ერთფურცლიანი საარქივო დოკუმენტი **დ-615,4**, რომლის ერთ მხარეს 16-ჯერ არის ხელმოწერა „Я. Ясинский“ გალაკტიონის



ვებგვერდზე 1911 წლით არის დათარიღებული¹, რადგან ფურცლის მეორე მხარეს დაწერილი განცხადების ტექსტიდან ჩანს, რომ ფარცხნალის სკოლა, სადაც პოეტი მუშაობდა, უკვე დახურულია და გალაკტიონი ქუთაისთან ახლოს მდებარე რომელიმე სოფლის სკოლაში ეძებს მასწავლებლის ადგილს. მართალია, ფარცხნალის სკოლის დახურვის გამო მასწავლებლის ადგილის შოვნა გალაკტიონისთვის 1911 წლის სექტემბრიდან გახდა აქტუალური², მაგრამ მისი ეს დაინტერესება მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა, რასაც მოწმობს მიხეილ ბოჭორიშვილის 1912 წლის 1 ნოემბრის წერილი³ და გალაკტიონის მიერ 1913 წლის 7 მაისს, 24 სექტემბერს და 6 ნოემბერს ძმისთვის გაგზავნილი წერილები⁴.

1914 წლის 21 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მიმართვაში თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისადმი აქცენტირებულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ჯარში გაწვევას

¹ <https://galaktion.ge/?page=Diaries&id=6352>

² ქლმ, 24551/352 – 2; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 146, 147

³ მიხეილ ბოჭორიშვილის წერილი, გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 249 -251.

⁴ გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, გალაკტიონ ტაბიძის წერილი ახესალომ ტაბიძისადმი, თბ., 2008, გვ. 9-10; გტცა 814, გვ. 1-2; ავტოგრაფი, გტცა 815, გვ. 1-2.

ექვემდებარება¹. 1916 წლის 9 ოქტომბერს დედისთვის² და 17 ნოემბერს ძმისთვის³ პოეტის მიერ გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ ამ წელს მოსკოვიდან საქართველოში გალაკტიონი სწორედ იმიტომ დაბრუნდა, რომ ჯარში გაწვევა უწყვედა და ადგილზე უნდა ყოფილიყო. 1916 წლის 15 დეკემბერს ის ოლია ოკუჯავას სწერს, რომ ჯარში გაწვევის საქმე ჯერ კიდევ გაურკვეველია⁴. ამასვე იმეორებს იმავე წლის 23-28 დეკემბრის ინტერვალსა⁵ და 1917 წლის 29 იანვარს⁶ გაგზავნილ წერილებშიც. შესაბამისად, ფურცელი, რომლის ერთ მხარესაც გალაკტიონის განცხადების შავი მონახაზია, მეორე მხარეს კი იასენსკის ხელმოწერები, შეიძლება დაწერილი იყოს 1911 წლის სექტემბრიდან 1917-ის ჩათვლით.

რამდენადაც განცხადებაში საქმე ეხება სამხედრო სამსახურს, მისი ტექსტი რუსულ ენაზეა ნაწერი და ადრესატი მითითებული არ არის, სავარაუდოდ მივიჩნიეთ, რომ ეს „Я. Ясинский“⁷ შეიძლებაოდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული რომელიმე უწყების თანამდებობის პირი და დასახელებული წლების კავკასიის კალენდრებში ვემბეთ, შეიძლებაოდა თუ არა კავკასიაში ყოფილიყო ასეთი ინიციალისა და გვარის მქონე მოხელე. გვარი „იასინსკი“ საკმაოდ გავრცელებული აღმოჩნდა. ამ პერიოდში კავკასიაში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე 5-6 იასენსკი მაინც მსახურობდა, მაგრამ არცერთის სახელი არ იწყებოდა ასოზე „Я“.

კვლევის შემდგომ ეტაპზე დავუშვით, რომ უშუალო კავშირი შეიძლებაოდა არც ყოფილიყო ამ გვარსა და მეორე გვერდზე დაწერილ განცხადებას შორის და დავიწყეთ უფრო ფართომასშტაბიანი ძიება, ვინ უნდა ყოფილიყო „Я. Ясинский“, რომლითაც შეიძლებაოდა

¹ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მიწერილობა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისადმი, 21 ივლისი, №4909 (ცსა, ფონდი 153, საქმე 3390, ფ. 186-187). თორმეტტომეული, ტ. 12, 1975, გვ. 681.

² გტცა №805, 1-2; ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 419.

³ ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ. 2000, გვ. 420-423.

⁴ ქლმ, 24551-37; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 37-38.

⁵ ქლმ, 24551-34; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, თბ., 2008, გვ. 39.

⁶ ქლმ, 24551-40; გ. ტაბიძე, სგ, წ. XXIV, 2008, გვ. 40.

⁷ გალაკტიონი რუსულად წერს „Ясинский“, ქართულად „იასენსკი“. რეალურად გვარი არის იასენსკი.

დაინტერესებულიყო გალაკტიონი. იაკუბ ასინსკი (1759-1794) იყო მე-18 საუკუნეში ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირი, რომელიც წერდა ლექსებს და დაიღუპა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დროს.

მართალია, სახელი „Я“-ზე არ ეწეება, მაგრამ 1910-იან წლებში მოღვაწეობდა და პირველი მსოფლიო ომის, ბათუმისა და ჭოროხის თემებზე (1915) ლექსებიც აქვს გამოქვეყნებული მწერალს, ჟურნალისტს, პოეტსა და ლიტერატურის კრიტიკოს იერონიმ ასინსკის (1850-1931) და აქ საყურადღებოა ერთი რამ... მისთვის უცნობ, მით უფრო რუს ავტორთა ნაწერებს გალაკტიონი პუბლიკაციებიდან ეცნობოდა და არა ავტოგრაფებიდან და, წესით, ნაბეჭდი ტექსტების კითხვისას იმაზე არ უნდა ეფიქრა, როგორი იყო ამა თუ იმ ავტორის ფაქსიმილე, მაგრამ საგულისხმოა, რომ იერონიმ ასინსკის



რედაქტორობით 1908-1914 წლებში გამოძავალი ჟურნალის „Новое слово“ გარეკანზე მისი ფაქსიმილე იყო აღბეჭდილი. გალაკტიონის მიერ გაკეთებული ასინსკის ხელმოწერების უმრავლესობაში პირველი ასოს ქვედა ნაწილი ზუსტად ისეა ჩამოგრძელებული, როგორც ეს ჟურნალის გარეკანზე გამოქვეყნებულ ფაქსიმილეშია. რამდენადაც ირკვევა, რომ ასინსკის ხელმოწერა გალაკტიონს შეიძლებოდა ამ ჟურნალის გარეკანზე ენახა, მეტი ალბათობაა, რომ ამ ხელმოწერებიანი ხელნაწერი ფურცლის ზედა დროითი ზღვარი 1914 წელი იყოს და არა 1917. ლექსის „მერის თვალებით“ და ამ ავტოგრაფზე ასინსკის გვარის ხელმოწერების ანალიზით გაურკვეველი რჩება, გალაკტიონის წარმოსახვაში როგორ გადაერთო სახელის „Иероним“ ინიციალი „И“, რომელიც იმდროინდელ რუსულ მართლწერაში ლათინური „I“-თი იწერებოდა, ინიციალზე „Я“. ამ ორი ინიციალის უკან ორი სხვადასხვა პირი იგულისხმებოდა თუ პოეტმა, უბრალოდ, წარმოიდგინა, რომ ამ გვარის დაწერილობას უფრო მეტად ეს ინიციალი მოუხდებოდა. იმედი დავიტოვეთ, რომ ეს შეიძლებოდა სხვა ხელნაწერებიდან გარკვეულიყო და კვლევა გავაგრძელოთ.

იასინსკის ხელმოწერა ასევე გვხვდება **დ-94,1** 102-გვერდიანი უბის წიგნაკის პირველი გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში. მის ზემოთ, ქვემოთ და მარცხნივ სამჯერ მეორდება სიტყვები „რატი რატიშვილი“, სამჯერ წერია ციფრი „9“ და სახელი „Таня“. შესაბამისად, კონტექსტში აქცენტები კეთდება გამეორებასა და სიმეტრიაზე და არა ამ სიტყვების შინაარსსა და მათ კონცეპტუალურ ურთიერთკავშირზე. ამავე გვერდზე წერია თარიღები: „24/1-36“ და „25/1-36“ და ყველაფერი ეს ნაწერია ერთნაირი წითელი მელნით (ფურცელზე დაწერილი ლექსი მოგვიანებით ნასწორებია მუქი მწვანე მელნით), რაც მოწმობს, რომ ფურცლის დასაწყისში გაკეთებული მინაწერებიც 1936 წლის 24 იანვარს ან ცოტა ადრე უნდა იყოს გაკეთებული. წარმოდგენილი მასალის ანალიზი გვაჩვენებს, რომ აქ იასინსკის, რატიშვილსა და ვინმე ტანისას შორის პიროვნული კავშირები არ უნდა ვეძებოთ. უბრალოდ ხაზგასმულია გამეორებები, მათ შორის სახელისა და გვარის დასაწყისებში.



დ-495-11 ფურცელზე, რომელიც გალაკტიონის ვებგვერდზე დათარიღებულია 1920-იანი წლებით¹. შუაში სტილიზებულად, მუქად წერია „Я. Ясинск[ий]“ და ამ სიტყვის ქვეშ ავტორს ქართულად მთავრული ასოებით უწერია „საიდუმლოება“. ძნელი სათქმელია, სიტყვა „საიდუმლოება“ უშუალოდ იასინსკის ხელმოწერასთან არის კავშირში თუ არა, მაგრამ ფურცელზე




¹ <https://galaktion.ge/?page=Diaries&id=5161>

მოთავსებული წარწერების ერთიან სტრუქტურაში ეს ორი წარწერა ერთად აღიქმება. რაც შეეხება თარიღს, ფურცელი 1920-იან წლებში ნაწერი ვერ იქნება, რადგან მასში მოცემული ფაქტები არაუადრეს 1933 წლისაა.

ფურცლის დასაწყისში წერია ილია სელვინსკის ლექსის „სივამის ომი“ ორიოდ სტროფის თარგმანი, ეს ლექსი კი დაწერილია 1933 წელს. ამ ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერების დროის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას გვაძლევს 8 მარტით დათარიღებული ტექსტი, რომელშიც ვკითხულობთ: „კაშენმა გვიამბო რამდენიმე საინტერესო ამბავი გერმანიის მდგომარე[ობაზე]“. სიტყვა „გვიამბო“ მიგვანიშნებს, რომ კაშენი და გალაკტიონი სადღაც ერთ სივრცეში უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ, საგულისხმოა, რომ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მარსელ კაშენი თბილისში ჩამოვიდა 1933 წლის 5 მარტს. 6 მარტს ის სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმზე და ინფორმაცია ამის შესახებ 8 მარტს გამოქვეყნდა გაზეთში „კომუნისტი“. შესაბამისად, ამ ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერები 1933 წლის 8 მარტისა ან შემდეგდროინდელი უნდა იყოს. ამ ფურცელზე გალაკტიონი რამდენჯერმე წერს რუსულად კაშენის გვარს. გასაგებია, რომ კაშენის თემის გააქტიურება მისმა თბილისში ყოფნამ განაპირობა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა კონტექსტში ახსენდება პოეტს ალექსანდრ ბლოკი და რატომ წერს აქვე ორჯერ მის სახელსა და გვარს. კონტექსტთან თითქოს არაფერ კავშირში არ ჩანს აქვე დაწერილი კიდევ ერთი სიტყვა „Кунсткамера“.

პოეტის არქივში დაცულია ერთნაირი ზომისა და ფერის ორი თაბახის ფურცელი **დ-535-12** და **დ-627-18**, რომლებიც ორივე მხარეს მხოლოდ ფანქრით არის ნაწერი. ორსავე შემთხვევაში ფურცლის თითო მხარე უკავია იასინსკის გვარის ხელმოწერებს. დ-535-ში სიახლე არის ის, რომ „Я. Ясинский“-ს 6 ხელმოწერის გვერდით გვხვდება 7 ფაქსიმილე „Я. Ясинская“, რომელშიც გალაკტიონს გამუქებული აქვს და დიდი ასოებით უწერია არა მხოლოდ სახელისა და გვარის ინიციალები, არამედ გვარის ბოლო ასოც. ვფიქრობთ, საჭირო არ არის იმაზე თავის მტვრევა, თუ ვინ არის „Я. Ясинская“. საყურადღებო აქ



არის მხოლოდ დაწერილობის სიმეტრია, რომლის კიდევ უფრო გასამდიდრებლად პოეტს ერთგან **Я. ЯсинЯнскаЯ**“-ც კი დაუწერია. ამ ფაქტმა გვიკარნახა პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე, ინიციალებში „I“ და „Я“ სხვადასხვა პირი უნდა იგულისხმებოდეს თუ – ერთი. ვფიქრობთ, რომ იასინსკის ხელმოწერების კეთების იდეა გალაკტიონს გაუჩნდა ჟურნალის ყდაზე ნანახი იერონიმ იასინსკის ხელმოწერიდან, მაგრამ ინიციალის ცვლილება მის წარმოსახვაში ვინმე სხვა იასინსკის შემოყვანას არ უნდა უკავშირდებოდეს. გალაკტიონი, უბრალოდ, მუშაობს ასოთა განმეორებების შემოტანასა და სიმეტრიულობის გაზრდაზე.

საგულისხმოა, რომ ამ ფურცელზე სამჯერ გვხვდება იასინსკის გვარის ხელმოწერებიან დ-495-11 დოკუმენტზე შეხვედრილი სიტყვა „Кунсткамера“. ბუნებრივია, თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ეს სიტყვა თავისი დენოტატიური მნიშვნელობით იყო გამოყენებული და აღნიშნავდა პეტერბურგის მუზეუმს, რომელშიც ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული იშვიათობებია წარმოდგენილი. რამდენადაც ამ მუზეუმით პოეტის დაინტერესება შეიძლებოდა რაღაც კონკრეტულ დროსთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაგალითად პეტერბურგში მისი ყოფნის პერიოდთან, იმედი გავიჩინა, რომ ეს შეიძლებოდა დათარიღებაში დაგვხმარებოდა, მაგრამ, როგორც გავარკვიეთ, „კუნსტკამერად“ გალაკტიონი მოიხსენიებს ივან კრილოვის ლექსს „Любопытный“, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ კუნსტკამერის ერთი დამთვალიერებელი ამ მუზეუმში ნანახი ყველა პატარა ნივთით მოიხიბლა, სპილო კი საერთოდ ვერ შენიშნა.

ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონს ციტატა მოჰყავს ამ რუსული ლექსიდან¹, სხვაგან კი ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ მისი პოეზიის უგულვებელყოფისა და წვრილ-წვრილი პოეტების განდიდების მცდელობის შესახებ წერს: ამას ჰქვია ფაქტების დამახინჯება! ამასა ჰქვია კრილოვის იგავ-არაკის „კუნსტკამერას“ გმირის ამბავი, კაცი ბუზსა ხედავს და აქლემს კი ვერ ამჩნევს². რეალური კუნსტკამერისგან განსხვავებით, პრობლემა, რომელსაც გალაკტიონი, როგორც ჩანს, სიტყვით


¹ გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XIII, თბ., 2008, გვ. 525.

² გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, წ. XXI, თბ., 2008, გვ. 522.

„კუნსტკამერა“ აღნიშნავდა, აქტუალური იყო მისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე და, შესაბამისად, დათარიღებაში ვერ დაგვეხმარებოდა. განხილული ფურცლის მეორე გვერდზე ვერტიკალურად არის ჩამოწერილი სიტყვები, სიტყვათა საწყისი ან დასასრული ნაწილები, თითქოს საგაზეთო სვეტის კიდიდან იყოს გადმოწერილი. აქვე სამჯერ მეორდება დასაწყისი ილია ჭავჭავაძის ლექსისა „უსულდგმულო ცხოვრება“ (გალაკტიონი წერს ფორმას „უსულგულო“) და პირველი ტაეპის შემდეგ წერია გალაკტიონის, „ვეფხისტყაოსნის“, აკაკი წერეთლისა და ხალხური პოეზიის ფრაზები. ამავე ფურცელზე ხატია კაცის კარიკატურა.

ფურცლის **დ-627-18** ცალი მხარე ასევე უკავია იასინსკის ხელმოწერებს. აქ სიახლე არის ის, რომ ჩნდება „Я. Ясинская“-ს სრული სახელი, რომელიც იმეორებს გვარის დასაწყის ასოებს და ინარჩუნებს სიმეტრიას „Ясина Ясинская“. ეს ფაქტი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს გალაკტიონის მიერ ამ ხელმოწერის გასიმეტრიულების მიზანდასახულობის შესახებ. ამავე ფურცელზე გაკეთებული სხვა ხელმოწერებიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორის ყურადღება ორიენტირებულია გამეორებასა და სიმეტრიაზე: „ოლია ოკლობჟიო“, „ოტია ოლოლო“. „იოსებ იმერელი“, „ოლია ოკუჯავო“, ტიციან ტაბიძე“. ამ კონტექსტში პოეტს შემოაქვს თავისი ფაქსიმილეს ვერსია, რომელშიც სიმეტრიას ქმნის

ხაზხემოთ დაწერილი „ტ“-ები. ამ



ფურცლის მეორე გვერდზე, გარდა იმისა, რომ წერია მოგონებები გალაკტიონის სწავლის პერიოდში სემინარიის სტუდენტების ამბოხებებსა და დაუმორჩილებლობაზე, ისევ მეორდება ამონარიდები ილიას ლექსიდან „უსულდგმულო ცხოვრება“. ამჯერად გალაკტიონი თითქოს ექსპერიმენტს ატარებს. ერთგან ადგილებს უცვლის ამ ლექსის ტაეპებს, მეორეგან კი ორი ტაეპის შემდეგ თავის გაგრძელებას გვთავაზობს. ამ ფურცელზეც არის კაცის კარიკატურები, რომლებიც ძალიან ჰგავს



დ-525-ისას. შესადარებლად წარმოგიდგენთ თითო კარიკატურას ამ ორი ხელნაწერიდან.

არქივის ამ ორ ფურცელზე დაწერილი არცერთი ტექსტის რეალიები არ იძლევა მათი დათარიღების შესაძლებლობას, მაგრამ, რამდენადაც ამ ორ ფურცელს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვს და ერთ-ერთ მათგანზე გვარის „იასინსკი“ ხელმოწერების გარდა სამჯერ გვხვდება სიტყვა „კუნსტკამერა“, რომელიც რეალიების მიხედვით 1933 წლის 8 მარტის შემდგომი პერიოდით დათარიღებულ ფურცელზეც წერია, შესაძლებელი ხდება ამ ორი ფურცლის სავარაუდო დათარიღებაც იმავე პერიოდით. როდესაც ორი საარქივო ერთეულის დამაკავშირებელი მხოლოდ ერთი დეტალი არსებობს, ეს ყოველთვის შეიძლება იყოს შემთხვევითობა, მაგრამ როდესაც მსგავსება ერთზე მეტია, ეს ამ საარქივო ერთეულების ერთმანეთთან კავშირს გარკვეულ სიმყარეს სძენს.

ლექსის „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი...“) ავტოგრაფი

მინაწერებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მწვანე მელნით ლექსის „მერის თვალებით“ სწორებისას პოეტს იქვე უნდა ჰქონოდა მერიზე დაწერილი კიდევ ერთი ლექსის („შენ ჯვარს იწერდი...“) ავტოგრაფი (ა-99) და გვარის „იასენსკი“ ხელმოწერა ამიტომ უნდა გახსენებოდა. საგულისხმოა, რომ მითითებულ ავტოგრაფზე ეს ხელმოწერა 15-ჯერ მეორდება. ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ როგორც ისინი, ისე იმავე ფურცელზე გაკეთებული სხვა მინაწერები. საგულისხმოა, რომ კუნსტკამერის ნაცვლად ამ ფურცელზე მიწერილია ივან კრილოვის გვარი. ფურცლის ქვედა შრე ნაწერია ფანქრით და ძალიან



ცუდად იკითხება. გარკვევით ჩანს მხოლოდ გვერდის შუა ნაწილში ერთმანეთის პირისპირ დაწერილი „გალაკტიონი“ და „ბრინკა“ და მათ გვერდით ხატია ურმის თვალი. თავისი სახელის დაწერის შემდეგ პოეტს ფურცელი შემოუტრიალებია და მეორე მხრიდან დაუწყია წერა. „ბრინკა“ მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი პირველი მოთხრობის პერსონაჟიც იყო, მაგრამ არა ისეთი მნიშვნელოვანი, გალაკტიონს განსაკუთრებული ყურადღება რომ მიექცია. სულ სხვაა ამ სიტყვის დატვირთვა 1924 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ და 1925 წელს წიგნად გამოცემულ „ჯაყოს ხიზნებში“. განათლებული ქართველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი კარგავს ყველაფერს: სახლს, მამულს, ოჯახს და ღირსებას და მისი ამ ახალი მდგომარეობის აღმნიშვნელია ჯაყოს მიერ მისთვის შერქმეული ახალი სახელი „ბრინკა“. ეს ისეთი წინასწარმეტყველური რომანია და ისე აქტუალურად ასახავს ეპოქის საფრთხეებს, რომ წარმოუდგენელია ნებისმიერი გონიერი ქართველი მკითხველი არ აეფორიაქებინა ფიქრს, თავადაც ხომ არ იყო ამ საფრთხის წინაშე. რამდენადაც ავტოგრაფზე სიტყვის „ბრინკა“ გვერდით ურმის თვალი ხატია იმ სცენის საილუსტრაციოდ, რომლითაც იწყება თეიმურაზის ოჯახის ნგრევა და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულია 1925 წლის გამოცემის გარეკანზე, ხელნაწერი ამ წელზე ადრეული არ უნდა იყოს. ფანქრით ნაწერი ეს ტექსტი ქვედა შრეა, იასამნისფერი მელნით ნაწერი ლექსის „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი...“) პირველი სტროფის ავტოგრაფი და იასინსკის ხელმოწერები კი – ზედა შრე. შესაბამისად, ისინი კიდევ უფრო გვიანდელი უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექსი 1915 წელს გამოქვეყნდა,¹ ავტოგრაფი ასახავს მისი არა თხზვის, არამედ გვიანდელი გადამუშავების პროცესს.

„მერის“ (შენ ჯვარს იწერდი...) თავდაპირველი ვერსიის თითოეული ტაეპი ათმარცვლიანი იყო, აქ კი გალაკტიონი ცვლის ლექსის საზომს და წყვილ ტაეპებს ორ მარცვალს აკლებს.

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,

შენი იმ ღამეს თვალით კრთომა,


მაგ უცხო სახის ელვა და ფერი –

¹ ქურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, N36, 5 სექტემბერი, გვ. 2.

გაფითრდა ვით შემოდგომა“.

ლექსის ამ სტროფის ყველასათვის ცნობილი 10-მარცვლიანი ვარიანტი მდინარესავით მიედინება, მშვიდად და თანაზომიერად, წყვილი ტაეპების დამოკლებამ კი არა მხოლოდ რიტმი შეცვალა, თითქოს ეს მშვიდი დინება რაღაცას შეაჯახა და მოულოდნელად შეწყვიტა.

ამავე ფურცელზე ლექსის საზომის შეცვლის მსგავს ექსპერიმენტს გალაკტიონი აკეთებს ილია ჭავჭავაძის ლექსზე „უსულდგმულო



ცხოვრება“.

ამ თოთხმეტმარცვლიანი ლექსიდან აკეთებს შვიდ და ხუთმარცვლიან ტაეპებს. მართალია, ამ გადაკეთების დროს იძულებულია შეცვალოს სიტყვებიც, მაგრამ მისი მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, საზომის შეცვლაა. ამას მოწმობს ტაეპების გასწვრივ მიწერილი მარცვალთა რაოდენობაც 7 და 5. საზომის ეს ცვლილებაც დაახლოებით ისეთსავე გავლენას ახდენს ლექსზე, როგორსაც ათმარცვლიან ლექსში წყვილი ტაეპების დამოკლება.

მართალია, იასინსკის გვარის ხელმოწერების აღმოჩენამ „მერისადმი“ მიძღვნილი ორი სხვადასხვა ლექსის – „მერის თვალებით“ და „მერის“ („შენ ჯვარს იწერდი...“) ავტოგრაფებზე მათ შორის არსებულ უხილავ კავშირზე მიგვანიშნა, ილია ჭავჭავაძის ლექსის „უსულდგმულო ცხოვრება“ პირველი სტროფის ციტირებამ და ვარიაციებმა კი ამ ორ ხელნაწერთან დააკავშირა იასინსკის ხელმოწერებიანი კიდევ ორი ფურცელი, მაგრამ ლექსის „მერის თვალებით“ დაწერის დროის დაკონკრეტება მაინც ვერ მოხერხდა. აღმოჩნდა, რომ ამ გვარის ხელმოწერებს გალაკტიონი აკეთებდა 1911-1914 წლებიდან მოყოლებული 1936 წლის ჩათვლით, ეს ინტერვალი კი არ გამორიცხავს არც 1914-ს და არც 1936-ს.

როგორც ვხედავთ, ლექსის „მერის თვალებით“ დასათარიღებლად შევისწავლეთ ყველა პატარა მინიშნება, რომელიც შეიძლებოდა დაგვხმარებოდა დათარიღებაში. გავაანალიზეთ ამ ავტოგრაფთან რაიმე

ნიშნით დაკავშირებული ყველა ფურცელი და ბევრი წვრილმანი გავარკვეით, მაგრამ „კუნსტკამერისა“ არ იყოს, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი რამ მაინც ამოუცნობი დაგვრჩა – ვერ დავადგინეთ ლექსის „მერის თვალებით“ დაწერის დრო და, აქედან გამომდინარე, მასში გადმოცემული მწუხარების მიზეზი. მთელი ამ კვლევის განმავლობაში ვერცერთი მყარი არგუმენტი ვერ მოვიპოვეთ ისეთი, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავდა ან 1914 წელს, ან 1936-ს.

ლექსის დათარიღებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ავტორისეული სულ პირვანდელი, თუნდაც გადახაზული ფრაზები, რომლებიც შემოქმედებით იმპულსზე ყველაზე უკეთ მიგვანიშნებს. ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფთან დაკავშირებით გაურკვევლობაში ვიყავით ამ თვალსაზრისითაც. ავტოგრაფში თავდაპირველად დაწერილი და გადახაზული ფრაზა „მთელ მსოფლიოში მეფობს ღრმა მწუხარების შხამი“ გვაფიქრებინებდა 1914 წელზე, რადგან სწორედ ამ წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, მაგრამ ასევე თავდაპირველად დაწერილი და გადახაზული სხვა ფრაზა: „ჩემი სამშობლოს ზეცავ, არ გებრალეები კაცი? / მერის თვალებად ჩემთვის ვერ გაბრწყინდები აწი“ უფრო იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ განგვაწყობდა, რომ ლექსში კომუნისტური ტერორის პერიოდში მეუღლის დაპატიმრებით გამოწვეული მძიმე სევდა იკითხება.

გრაფემატული კვლევა

სწორედ ასეთი გამოუვალი შემთხვევებისთვის ახლახან დავამკვიდრეთ ტექსტოლოგიის კიდევ ერთი კვლევითი მიმართულება – ავტოგრაფის გრაფემატული კვლევა. მართალია, ასეთი კვლევის დროს ძნელია ერთი და ორი წლის სიზუსტით ხელნაწერის დათარიღება, მაგრამ ჩვენ წინ იყო ამ თვალსაზრისით ბევრად მარტივი ამოცანა – არჩევანის გაკეთება ორ სავარაუდო წელს შორის, რომლებსაც ერთმანეთისგან 22-წლიანი ინტერვალი აშორებს. დროის ასეთ ინტერვალში ადამიანის ხელწერა საგრძნობლად ვითარდება. ცნობილია, რომ რაც მეტს წერს პირი, ხელწერაც მით უფრო ეცვლება, გალაკტიონის წერილობითი მემკვიდრეობა კი 25 ტომს მოიცავს.


ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფის ზემოხსენებული ორი წლის (1914, 1936) სხვა ავტოგრაფებთან შედარებითი ანალიზისთვის

ავტოგრაფიდან ავირჩიეთ სამი ისეთი გრაფემა, რომლებსაც, გალაკტიონის ხელწერის კვლევისთვის საგანგებოდ შექმნილი ბაზების მიხედვით, რომელიმე ელემენტის მკვეთრად გამოხატული მახასიათებელი ჰქონდა. პირველი ასეთი მახასიათებელია მახვილი კუთხე, რომელსაც პოეტი გრაფემა „მ“-ს ზედა რკალის დასაწყისში აკეთებდა.

ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფში გრაფემა „მ“ გადაბმის გარეშე 21-ჯერ გვხვდება და ზედა რკალის მარცხენა მხარეს არცერთხელ არ აქვს ასეთი კუთხე. ზოგან არის მსგავსი პატარა შტრიხი, მაგრამ კუთხე არსად არ იკვეთება:



გალაკტიონის 1914 წლის ავტოგრაფების ჩვენ მიერ შერჩეულ ორ ხელნაწერში შეგვხვდა ამ გრაფემის 32 ნიმუში და მათგან 13 შემთხვევაში ეს კუთხე მკვეთრად გამოხატულია:



რაც შეეხება 1936 წელს, ასევე ჩვენ მიერ შერჩეულ ორ ავტოგრაფში დაფიქსირებული ბევრად მეტი, 46 „მ“ გრაფემიდან მსგავსი კუთხე აღმოაჩნდა მხოლოდ ორს და თან არცთუ ისე მკვეთრად გამოხატული:




შესაბამისად, გალაკტიონის ხელწერის ეს კომპონენტი მკაფიო მსგავსებას ამჟღავნებს 1936 წელთან და არა 1914-თან.

მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე პოეტი ასეთსავე კუთხოვან დასაწყისს უკეთებდა გრაფემა გ-საც. ისევ ავირჩიეთ ორ-ორი ხელნაწერი 1914 და 1936 წლის ავტოგრაფებიდან და შედარების შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ.

ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფში გრაფემა „გ“ სულ ხუთგან გვხვდება და გრაფემის დასაწყისში ასეთი კუთხე არცერთგან არა აქვს:



1914 წლის ორ ავტოგრაფში ეს გრაფემა შეგვხვდა 15-ჯერ და აქედან 11 შემთხვევაში ასოს დასაწყისში თუ მკვეთრად გამოხატული არა, პატარა კუთხოვანი ფორმა მაინც არის:




რაც შეეხება 1936 წლიდან შერჩეულ ორ ავტოგრაფს, ორსავეში ერთად შეგვხვდა 34 გრაფემა „გ“ და აქედან მხოლოდ 5-ს ჰქონდა კუთხოვანი დასაწყისი:




შესაბამისად, მეორე გრაფემის კვლევამაც 1936 წელთან გაცილებით დიდი მსგავსება გამოავლინა. ისეთი სახის მცირეოდენი განსხვავება, რაც ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფსა და 1936 წლის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ავტოგრაფებს შორის გამოვლინდა, როგორც წესი, ერთი და იმავე წლის თარიღთან დოკუმენტებს შორისაც ვლინდება ხოლმე.

შედარებითი ანალიზისთვის შერჩეული მესამე გრაფემა „დ“ ლექსის „მერის თვალებით“ ავტოგრაფში 22-ჯერ არის გამოყენებული და ყველგან ერთრკალიანია:



დაკვირვებისთვის 1914 წლიდან შერჩეული 2 ავტოგრაფში შეხვედრილი 9 „დ“ გრაფემიდან 4 არის ორრკალიანი:



1936 წლის ავტოგრაფებიდან შერჩეული ორი დოკუმენტიდან ამოკრებილი 55 „დ“ გრაფემიდან კი ყველა ისევე ერთრკალიანია, როგორც საანალიზო ავტოგრაფი:



როგორც ვხედავთ, აქ არათუ მსგავსება, შედეგების სრული თანხვედრაა. შესაბამისად, გრაფმატულმა კვლევამ ფაქტობრივად დაადასტურა მწერლის თხუთმეტომეულის მეხუთე ტომში გამოთქმული აზრი გალაკტიონის მიერ ლექსის „მერის თვალებით“ თარიღის ფალსიფიცირებასთან დაკავშირებით. ავტოგრაფის ა-142-1 იასამნისფერი მეღნიტ ნაწერი ქვედა შრე, რომელიც ლექსზე მუშაობის შემოქმედებით პროცესს ასახავს და რომელსაც ეყრდნობა ტექსტის პირველივე პუბლიკაცია, შექმნილია არა 1914, არამედ 1936 წელს და ლექსი დაწერილია ოლია ოკუჯავას დაპატიმრებით გამოწვეულ განცდებზე. შემთხვევითი არ არის მკვლევარ ნათია ნიშნაიანიძის მიერ შემჩნეული ის ფაქტი, რომ ლექსის პირველ ბეჭდურ წყაროში, მისი თხზულებების პირველ ტომში, ეს ერთადერთი ლექსია, რომელიც ავტორს მანამდე არსად გამოუქვეყნებია. როგორ გამოაქვეყნებდა, როცა იგი წიგნის გამომცემლობისთვის გადაცემამდე (1936 წლის 16 ნოემბერი) 5 დღით ადრე, 11 ნოემბერს მომხდარი ფაქტით – მეუღლის გადასახლებით არის შთაგონებული. სამწუხაროდ, პოეტის მიერ ლექსში გადმოცემული შემზარავი წინათგრძნობა რეალობად იქცა. მართალია, ოლიას თავდაპირველად გადასახლება ჰქონდა მისჯილი, რაც მას ერთხელ უკვე გადატანილი ჰქონდა, მაგრამ 1941 წელს განაჩენი შეუცვალეს და ამავე წლის 11 სექტემბერს რუსეთის ქალაქ ორიოლთან მდებარე ტყეში 157 სხვა პოლიტპატიმართან ერთად დახვრიტეს.

ჩვენი დასკვნის ლეგიტიმაციისთვის აუცილებლად მიგვაჩნია, განვიხილოთ მისი საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც სხვადასხვა პირთა მოგონებებშია გამოთქმული. მაგალითად, გალაკტიონის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ფატი დიდიამ გამოაქვეყნა სტატია

„გალაკტიონის ერთი ლექსის შთაგონება“¹, რომელშიც აღწერილია მისი საუბარი გალაკტიონთან მერი შერვაშიძის თემაზე და რომლის მიხედვითაც ისე გამოდის, თითქოს ამ ქალბატონს ეძღვნებოდეს გალაკტიონის მიერ მერიზე დაწერილი ყველა ლექსი. ასევე ჩანს, თითქოს მას შეხვედროდეს პარიზის კონგრესზე ყოფნისასაც და ფატი დიდიასათვის ამ საუბრის დროს ეთქვას: „პარიზში ყოფნისას კიდევ ერთხელ მეღირსა მერის ნახვა და ისევ შორიდან. პარიზის ციკლში რომ ლექსია, ისიც მერი შერვაშიძეს ეძღვნება“). საუბარია ლექსზე, რომელშიც იკითხება: „შენ მაინც ვერსად გიპოვე, მერი! / ო, გული მტკივა, გული სხვა გრძნობის, / არსად არ გნიშნავს ჩემს წინ ცბიერი / რელიეფური რუკა ევროპის! / სადა ხარ, სადა? რომელი მიწა / შენ აირჩიე ჩვენის მაგიერ?– / ბადენ–ბადენი, ლონდონი, ნიცცა, / თუ (მოგონებავ, გვერდს ვერ აგიარ).“ თუ ამ ლექსს დავეყრდნობით, პირიქით, პოეტი აშკარად ამბობს, რომ 1935 წელს ევროპაში ყოფნისას მერი ვერსად იპოვა. ამ პარიზულ ციკლში გალაკტიონი მოგვიანებითაც ამატებდა ლექსებს და, რამდენადაც ეს ტექსტი 1944 წლამდე („ოქრო აჭარის ლაჟვარდში“) არ გამოქვეყნებულა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ლექსშიც ოღია ოკუპავა იგულისხმებოდეს და მისი დაპატიმრების შემდეგ იყოს დაწერილი.

¹ ფ. დიდია, „გალაკტიონის ერთი ლექსის შთაგონება“, ჟ. „საქართველოს ქალი“, 1961, N4, გვ. 88.

Automated dating of Galaktion Tabidze's handwritten texts¹

(*Tea Tvalavadze, Ketevan Gigashvili, Esma Mania, Maksim Iavich*)

Instruction

